
საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი

გიორგი ბარბაქაძე
დავით ოგოლაძე

საქართველოს საგარეო ვალუტი 2

დავით ლომიძე

საქართველოს ეროვნული ბანკის პოლიტიკა 44

საქართველოს საგარეო ვაჭრობის განვითარებისათვის

■ გიორგი ბარბაქაძე
დავით ობოლაძე

სახელმწიფო საგარეო ვაჭრობის ფართო დისკუსიის საგანი და ამ საკითხისადმი ეკონომისტების მოსაზრებანი სხვადასხვაგვარია. ერთნი ფიქრობენ, რომ სახელმწიფო საგარეო ვაჭრობა მომავალ თაობას მძიმე ტვირთად აწვება, მეორეთა აზრით კი — პრობლემას არ წარმოშობს, რადგან შეიძლება ახალი კრედიტებით ძველი დავალიანებების დაფარვა ანუ რეფინანსირება. ზოგიერთი ეკონომისტის აზრით, საგარეო ვაჭრობა საშიში არ არის, თუ კი მისი ზრდის ტემპი უფრო დაბალია ვიდრე მშპ-ისა. საქართველოს საგარეო ვაჭრობა ამჟამად დაახლოებით მშპ-ს 37%-ს შეადგენს.

სახელმწიფოსათვის საგარეო ვაჭრობის მართვა დღესდღეობით ერთ-ერთი მთავარი პრობლემაა. ნაშრომში საქართველოს საგარეო ვაჭრობის მდგომარეობასა და პრობლემების რეგულირების რამდენიმე გზას განვიხილავთ.

საქართველოს საგარეო ვაჭრობის მძიმე ტვირთის და მისი მომსახურების შეზღუდული შესაძლებლობების გათვალისწინებით, მთავრობა თავს შეიკავებს ახალი საგარეო სავალო ვალდებულებების მიღებისა და გარანტირებისაგან. 5 წლამდე (ჩათვლით) დაფარვის ვადით და მკაცრად შეზღუდვას პროგრამის მოქმედების მანძილზე არაშეღავათიანი პირობებით ახალი საგარეო გრძელვადიანი სავალო ვალდებულებების მიღებას ან გარანტირებას. საქართველო, საერთაშორისო სავალუტო ფონდთან შეთანხმებით, ორმხრივ საფუძველზე კრედიტორებთან ვაჭრობის რესტრუქტურირების საქმიანობის მეორე რაუნდის ჩატარების შესაძლებლობის შესწავლას დაიწყებს. მთავრობა ფინანსთა სამინისტროს სამმართველოსათვის ვაჭრობის შესახებ მთელი ინფორმაციის (მთავრობის ყველა უწყებისა და ეროვნული ბანკის სახელმწიფო ან სახელმწიფოს მიერ გარანტირებული სავალო ვალდებულებების შესახებ) მიწოდებას უზრუნველყოფს. ფინანსთა სამინისტრო წინანდებურად პასუხს აგებს ნებისმიერი ახალი სავალო ვალდებულებების დამტკიცებაზე, რომელიც მიღებული ან გარანტირებული იქნება მთავრობის მიერ და ნასესხობის პროგრამის ჩარჩოებში განხორციელებას უზრუნველყოფს. ასევე, იზრუნებს რომ, ასეთი ნასესხობა დაგროვილი ვადაგადაცილებული სახელმწიფო საგარეო

დავალიანების პროგრამის ჩარჩოებში მოექცეს.

1999 წელს საქართველო წიდერლანდების ბანკში სპეციალურ ანგარიშზე, ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე, 8 მილიონი აშშ დოლარის კრედიტორებზე ვაჭრობის მომსახურებისათვის ყოველკვარტალურ გადახდას გააგრძელებს. საქართველო და თურქმენეთი გააგრძელებენ მოლაპარაკებას თურქ-მენეთისათვის ვაჭრობის შემდგომი რესტრუქტურირების შესახებ.

1994 წლიდან საქართველოს ეკონომიკის სტაბილიზაციის პროგრამის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილი საქართველოს საგარეო დავალიანების პრობლემის მოგვარებაა. საქართველოში საგარეო დავალიანების პრობლემა წარმოიშვა სოციალისტური სისტემის დაშლით დანგრეული ეკონომიკის ასაღორძინებლად საჭირო დამატებითი სახსრების მოზიდვამ და პოსტსაბჭოური რესპუბლიკების ეროვნულ ბანკებში საკორესპოდენტო ანგარიშების გახსნამდე არსებულმა დავალიანებებმა.

საქართველოს, თუ არ ჩავთვლით შემდეგში დსთ-ს ქვეყნებთან სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობებით წარმოქმნილ დავალიანებებს, სრკ-დან მემკვიდრეობით საგარეო ვაჭრობა არ მიუღია, რადგან რუსეთმა მთელი ვალდებულებები, 80 მილიარდი აშშ დოლარის ოდენობით, თავის თავზე აიღო.

დამოუკიდებლობის მიღებისას საქართველოს საკმაოდ დაბალი საგარეო ვალდებულებები ქონდა. თუმცა 1991-1994 წლებში წარმოების მოცულობის სწრაფი დაცემის, საექსპორტო ბაზის შემცირების, იმპორტულ საქონელზე მოთხოვნილებების ზრდისა (ძირითადად ხორბალზე) და იმპორტულ ენერგომატარებელზე ფასების ზრდის პირობებში 1994 წლის ბოლოსათვის ქვეყნის საგარეო ვალდებულებებმა თითქმის 1 მილიარდი აშშ დოლარს მიაღწია. ამ პერიოდისათვის საქართველოს ვალდებულებები ყოფილი სსრკ-ს ქვეყნებთან 664 მილიონ აშშ დოლარს შეადგენდა. მნიშვნელოვანი დავალიანებები თურქმენეთთან, რუსეთთან და ყაზახეთთან ქონდა.

საქართველოს მიერ აღებული კრედიტები მიმართულია ფინანსური სისტემის სტაბილიზაციისაკენ და ეროვნული ვალუტის

სტაბილური კურსის შენარჩუნებაში დიდ როლს თამაშობს. ამ მიზნით გამოყენებულია 293,76 მილიონი აშშ დოლარი, რაც მთელი კრედიტების 16,22%-ია.

აღებული კრედიტების მნიშვნელოვანი ნაწილი საკვები პროდუქტებისა და მედიკამენტების იმპორტს, მოსახლეობისათვის ბუნებრივი აირისა და სანავის შეძენას მოხმარდა, რითაც მოსახლეობაში სოციალური დაძაბულობა შემცირდა.

საქართველოს მიერ 1994 წლამდე მიღებულ საერთაშორისო კრედიტებს მაღალი საპროცენტო განაკვეთები და მოკლე პერიოდი ჰქონდათ. ამ პერიოდისათვის დავალიანებებზე მომსახურების საერთო თანხამ 150 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა, რაც საქონლისა და მომსახურების ექსპორტის 31%-ს შეადგენდა. ოფიციალური რეზერვების სწრაფმა შემცირებამ 1994 წელს გამოიწვია ახალი 409 მილიონი აშშ დოლარის ოდენობის დავალიანებების დააგროვა. 1995 წლისათვის, როდესაც საერთაშორისო დავალიანებებზე მომსახურების თანხამ 325 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა, საქონლისა და მომსახურების ექსპორტის 69% (რაც 8-ჯერ აჭარბებდა 1994 წლის მდგომარეობით ოფიციალური უცხოური ვალუტის რეზერვების ოდენობას).

ეროვნული დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების ეროვნულ ბანკებში საკორესპოდენტო ანგარიშების გახსნამდე სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების შედეგად წარმოქმნილი დავალიანებები სახელმწიფო კრედიტად გაფორმდა, რაც საერთო მოცულობის 14,08% იყო. ეს თანხები საქართველოს ფაქტიურად არ მიუღია.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საქართველოს მიერ 1994 წლამდე მიღებულ საერთაშორისო კრედიტებს ძალიან მძიმე პირობები ჰქონდათ. მათ შორისაა სომხეთის, თურქეთისა და ყაზახეთის ვალები. ამ კრედიტებზე წლიური საპროცენტო განაკვეთი შესაბამისად წარმოადგენდა პირველ და მეორე ქვეყნის კრედიტებზე - LIBOR+1, ხოლო მესამეზე - LIBOR+2 ექვსთვიანი დეპოზიტებისათვის. თურქეთის კრედიტზე საჯარიმო საპროცენტო განაკვეთი იყო LIBOR+3, ხოლო სომხეთის კრედიტზე კი წლიური 2*(LIBOR+2) ექვსთვიანი დეპოზიტებისათვის.

გერმანიის მესამე საკრედიტო შეთანხმებაში ასევე მაღალი საპროცენტო განაკვეთია, რომელიც საქართველოს კავშირგამბულობის სამინისტროსა და ფირმა „სიმენს“-ს შორის 7,25%-იანი საპროცენტო განაკვეთით დაიდო და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (ერგბ) სამივე კრედიტზე შესაბამისად 7,2%; 6,59% და LIBOR+1 წლიური საპროცენტო განაკვეთით და ამას ემატება ერთჯერადი საკომისიო 1%. აღსანიშნავია რომ „სიმენსისა“ და ერგბ-ს კრედიტები კომერციული სახისაა და სახელმწიფო

გარანტიებითაა მიღებული.

რუსეთის კრედიტზე საპროცენტო თანხის გადაცილების შემთხვევაში ძალაში შედის საჯარიმო 4,5%-იანი საპროცენტო განაკვეთი. თუ ეს თანხა ერთი თვის ვადაში არ დაიფარება, რესტრუქტურისაციის შეთანხმება, მისი VI პუნქტის თანახმად, კარგავს თავის იურიდიულ ძალას და დგება კრედიტის მთლიანი თანხის დაფარვის საკითხი.

კარგი პირობები და მაღალი გრანტ-ელემენტი (საკრედიტო თანხის წილი, რომელიც თითქმის გრანტის ტოლფასია და გვიჩვენებს თუ რამდენად შეღავათიანია კრედიტი) ძირითადად საერთაშორისო ორგანიზაციებიდან (საერთაშორისო სავალუტო ფონდი, მსოფლიო ბანკი, სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდი, გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო დანესებულება, იაპონიის საზღვარგარეთთან ეკონომიკური თანამშრომლობის ფონდი) მიღებულ კრედიტებს აქვს.

საუკეთესო პირობებია გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო დანესებულების მიერ გაცემულ I და II კრედიტზე, რომელთაც 10 და 13 წლიანი შეღავათიანი პერიოდი აქვთ. იგივე შეიძლება ითქვას მსოფლიო ბანკის კრედიტებზეც. რესტრუქტურისაციის შემდეგ გრანტ-ელემენტი აზერბაიჯანის, სომხეთის, ირანის, ყაზახეთისა და უზბეკეთის კრედიტებზე საშუალოდ მისაღებია. ისინი ფინანსთა სამინისტროს რესტრუქტურირების პროგრამას აკმაყოფილებენ. შემდგომში ჩინეთისა და თურქეთის კრედიტებიც ამ პირობებით რესტრუქტურდა.

ამ პირობების დაცვა ასევე განაპირობებდა, ერთის მხრივ, საკუთრივ საგარეო დავალიანების პრობლემის, ხოლო მეორეს მხრივ, საქართველოსათვის საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ ESAF-ის კრედიტის გამოყოფის საკითხის დადებით გადანწყვლას.

საქართველოს დავალიანების რესტრუქტურისაციისათვის ESAF-ის კრედიტის გამოყოფის წინაპირობა საერთაშორისო სავალუტო ფონდის მოთხოვნა იყო. რესტრუქტურირების მაშინდელი სქემით მხოლოდ 1995-96 წლების გადასახდელების გადავადება და მათზე საპროცენტო განაკვეთის შემცირება იყო გათვალისწინებული.

სავალუტო ფონდის ინიციატივით ფინანსთა სამინისტრომ კრედიტორ ქვეყნებს ასეთი თხოვნით მიმართა და თანხმობა მიიღო. რესტრუქტურირების ზემოთ აღნიშნული სქემის რეალიზების შემთხვევაში 1995-96 წლების განმავლობაში საქართველო ძირითადი ვალის დაფარვისა და საპროცენტო გადასახდელებისაგან განთავისუფლდებოდა. ამასთან იღებდა ESAF-ის კრედიტს, რომლის ორმა ტრანშმა 1996 წლის განმავლობაში 80 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა. ასეთი ვარიანტის გატარება ნიშნავდა, რომ 1997 წლიდან ძველი საკრედიტო

ხელშეკრულებებით გათვალისწინებული საქართველოს მთავრობის ვალდებულებები, რომელთა უმრავლესობა საპროცენტო თანხებთან ერთად ძირითადი ვალის დაფარვასაც გულისხმობდა, კვლავ ძალაში შევიდოდა. გარდა ამისა გადავადებული დავალიანებების საპროცენტო თანხების გადახდაც უნდა დაწყებულიყო. რეალურად ნახევარწლიან შეღავათიან პერიოდს მივიღებდით. ესე იგი 1997 წლიდან საქართველო აღმოჩნდებოდა იგივე პრობლემის წინაშე, რომელიც მას რესტრუქტურირების პროცესის დაწყებამდე ქონდა.

ცხადია, რომ ეროვნული ეკონომიკისათვის 3-5 წლიანი შეღავათიანი პერიოდის შექმნას, რაც ჩვენ ეკონომიკას ამოსუნთქვისა და ფეხზე დადგომის შესაძლებლობას მისცემდა, ვერ მივალწევდით.

ფინანსთა სამინისტროში შემუშავდა ზემოაღნიშნულისაგან განსხვავებული რესტრუქტურირების სქემა, რომლის მიხედვითაც რესტრუქტურირების თანხის გამოთვლისას გაითვალისწინებდნენ როგორც გარკვეული თარიღისათვის არსებულ დავალიანებებს, ასევე მომავალი გეგმიური გადასახდელების თანხებსაც. ამ თანხის გამოთვლა შემდეგი წესით მოხდა:

- კრედიტორთან შეთანხმებით რომელიმე თარიღი დაფიქსირდა;

- ამ თარიღისათვის გაანგარიშდა დავალიანების საერთო თანხა (რომელიც მაქსიმალურ ვარიანტში შეიცავს როგორც ძირითად და საპროცენტო თანხებს, ასევე ვადაგადაცილებულ დავალიანებაზე დარიცხულ საჯარიმო თანხასაც);

- ამ დავალიანების საერთო თანხას ძირითადი ვალის დაუფარავი ნაშთი დაემატა.

ასეთი წესით გამოანგარიშებულ რესტრუქტურირების საერთო თანხაზე ახალი ხელშეკრულებები გაფორმდა, რომლებშიც მათი დაფარვის ახალი ვადები, შეღავათიანი პერიოდის ხანგრძლივობა, კრედიტით სარგებლობისა და საჯარიმო საპროცენტო განაკვეთები განისაზღვრა.

ცხადია, ძველი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები აღარ გაგრძელდა და, მაშასადამე, კრედიტორთან შეთანხმებული შეღავათიანი პერიოდის განმავლობაში საქართველოს მხარემ მხოლოდ საპროცენტო ვალის თანხა გადაიხადა. ამით მივალწიეთ რეალურ 5 წლიან შეღავათიან პერიოდს, რომლის განმავლობაში საქართველოს ეკონომიკაში (ნაწილობრივ მაინც) საგარეო ვალის ძირითადი და საპროცენტო თანხების დაფარვის შიდა წყაროები უნდა შეიქმნას. ამის შემდეგ საპროგნოზო მონაცემებით საერთაშორისო დავალიანებების დაფარვის საშუალება შეიქმნა. თუმცა ცალკე დიკუსიის საგანია განვლილ პერიოდში ეს ძვრები რამდენად მოხერხდა.

ფინანსთა სამინისტროს მიერ სავალუტო

ფონდის რეკომენდაციით შერჩეული რესტრუქტურირების პირობებია:

- რესტრუქტურირებული კრედიტის ვადა 10 წელზე ნაკლები არ უნდა იყოს (აქედან პირველი 5 შეღავათიანი წლის განმავლობაში მხოლოდ საპროცენტო განაკვეთის თანხა გადასახდელი);

- საპროცენტო განაკვეთი წელიწადში 4%-ს არ უნდა აღემატებოდეს.

უნდა აღინიშნოს, რომ უმრავლესობა სანყისი საკრედიტო ან სხვა დოკუმენტებისა 1992-94 წლებშია გაფორმებული. ამ დოკუმენტებში არ არის გათვალისწინებული საქართველოს ეკონომიკის არც მაშინდელი მდგომარეობა და არც უახლოესი რამოდენიმე წლის პროგნოზი. ზოგი შემთხვევაში დოკუმენტების შემდგენელთა დაბალ პროფესიულ დონეზეც კი მიგვითითებს. მაგალითისათვის, სომხეთთან დადებულ პირველ საკრედიტო ხელშეკრულებაში საჯარიმო საპროცენტო განაკვეთი განსაზღვრული იყო, როგორც $2*(LIBOR+2)$, რაც დღეისათვის დაახლოებით 15-16%-ს შეადგენს. ასეთი პირობები მსოფლიო პრაქტიკაში არ მოიძებნება. ამასვე აღნიშნავდნენ სავალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკის ექსპერტებიც. მსგავსი მდგომარეობა იყო თურქეთისა და ჩინეთის კრედიტებზეც, სადაც მრავლადაა არაპროფესიონალიზმის მაგალითები.

↓ 1998 წლის მარტამდე საქართველოს საგარეო ვალის ალების, მართვის, მომსახურების და დაბრუნების წესებს საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს 1992 წლის 8 სექტემბრის „საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ვალის შესახებ“, დეკრეტი და ქვეყნის მინისტრთა კაბინეტის 1995 წლის 14 აგვისტოს №483 „საზღვარგარეთული კრედიტების ალების, განაწილებისა და მომსახურების წესის შესახებ“, დადგენილება განსაზღვრავდა, ხოლო 1998 წლის 5 მარტს ამ საკითხების დარეგულირების მიზნით მიღებულ იქნა კანონი „სახელმწიფო ვალის შესახებ“.

აღნიშნული კანონით, ნორმატიული აქტებითა და დებულებებით, საქართველოს სახელით ალებული ვალის ფორმირებაზე პასუხისმგებლობა ფინანსთა სამინისტროს ეკისრება. ამასთან, თანხების დაუბრუნებლობის შემთხვევაში სამინისტროს ინდივიდუალური მსესხებლების ანგარიშებიდან სახსრების უპირობო, ხოლო სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე მოვალისათვის შესაბამისი ღირებულების ქონების ჩამოწერის უფლება აქვს.

ფაქტობრივად, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სტრუქტურული ერთეულს - სახელმწიფო საგარეო ვალის დეპარტამენტს ჯერ კიდევ არა აქვს დამტკიცებული დებულება და არც მისი ფუნქციებია დაზუსტებული. ამის გამო დეპარტამენტსა და თვით ფინანსთა სამინისტროს კრედიტის მიზნობრივად გამოყენებისა და ბენეფიციარების მიერ მათი დაუბრუნებლობის

რეალური მიზეზების შესახებ რეალური ინფორმაცია არ გააჩნიათ. შესაბამისად, კრედიტების დასაბრუნებლად არც კანონით გათვალისწინებული ღონისძიებებია გატარებული.

საყურადღებოა, რომ საქართველოს საგარეო ვალების უმეტესი ნაწილი დღეისათვის რესტრუქტურულიზებულია. ამასთან, რუსეთთან რესტრუქტურულიზაციის შესახებ გაფორმებული ხელშეკრულება მათი საკანონმდებლო ორგანოს მიერ რატიფიცირებული არ არის. მიუხედავად ამისა, ამ ქვეყნის ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით, გეგმიური გადასახადების გადახდა რესტრუქტურულიზაციის ხელშეკრულების მიხედვით წარმოებს.

საქართველოს რიგ სამინისტროებსა და უწყებებს, საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, პოსტაბჭოურ სივრცეში არსებულ სახელმწიფოებთან მუდმივი საფინანსო-ეკონომიკური ურთიერთობები გააჩნიათ, რაც თავისთავად მისასალმებელია. ამასთან, საყურადღებოა, რომ საქართველო სრულად ვერ იყენებს საკუთარ შესაძლებლობებს და ხშირ შემთხვევაში ეკონომიკურად წამგებიან პოზიციაში რჩება. მაგალითად, 1998 წლის პირველ ნახევარში, ზემოთ მითითებული სახელმწიფოების რკინიგზათა მიერ სატვირთო ვაგონებით ერთობლივი სარგებლობის შედეგად წარმოქმნილი 45,4 მილიონი შვეიცარული ფრანკის ოდენობის საერთო ურთიერთ-დავალიანებაში 14,2 მილიონი შვეიცარული ფრანკი ანუ 31,3 პროცენტი საქართველოს რკინიგზაზე მოდის. ეს მაშინ, როცა საკუთარი სავაგონო პარკი არასრულად იყო დატვირთული. კონტროლის პალატა საგანგებოდ აღნიშნავს, რომ ასეთი არამეურნეობრივი მიდგომა თავის მხრივ უარყოფითად მოქმედებს, როგორც რკინიგზის დეპარტამენტის, ასევე მთლიანად ქვეყნის საგარეო დავალიანების მდგომარეობაზე. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ანალოგიური მაჩვენებელი (დავალიანება) მოლდოვას, აზერბაიჯანის და სომხეთის რკინიგზებისათვის მხოლოდ 0,6-დან 4,3 პროცენტამდეა, რაც საქართველოს რკინიგზის დეპარტამენტის მხრიდან სათანადო დასკვნებისა და შესაბამისი ზომების გატარებას საჭიროებს.²


მწირი საბიუჯეტო შემოსავლების პირობებში ქვეყნის საგარეო და საშინაო ვალდებულებების დაფინანსება კიდევ უფრო გართულდა. საქართველო ინტენსიურად თანამშრომლობს საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებთან, ქვეყნის დამოუკიდებლობის პერიოდში მათი დახმარების ხვედრითი წილი დიდია. ამასთან, საერთაშორისო სავალუტო ფონდთან, მსოფლიო ბანკთან და ევროგაერთიანებასთან გარკვეული ვალდე-

ბულებანიც გაგვაჩნია. მომავალი წლების დახმარებათა მიმართულებები და ოდენობა მათ შესრულებაზე დამოკიდებული.

აღსანიშნავია, რომ ფინანსთა სამინისტროს მონაცემებით მიმდინარე წლის 1 იანვრისათვის სახელმწიფო ვალი (რაც 88,1 მლნ. დოლარია) საგარეო კრედიტის მომხმარებელ 32 ორგანიზაციას გააჩნია. მათ შორის, 64,3 მილიონი დოლარი ძირითადი თანხის ნაწილში, 7,5 მილიონი დოლარი საპროცენტო თანხის და 16,4 მილიონი დოლარი საჯარიმო თანხის სახით.

საყურადღებოა, რომ კრედიტის ზოგიერთ მომხმარებელს სახელმწიფოს წინაშე ვალდებულებები უკვე 1996 წლიდან უნდა გასეტუმრებინა, რაც ფაქტიურად არ სრულდება. ხოლო მათ მიერ მოხმარებულ ფულად რესურსებზე საპროცენტო და საჯარიმო გადასახადებს სახელმწიფო იხდის. ასეთ შემთხვევებში ფინანსთა სამინისტრო მომხმარებელთა მიერ მიღებული კრედიტების მიზნობრივად გამოყენების და მათი დაუბრუნებლობის მიზეზების შესწავლას არ ახორციელებს. ასევე, არ არის გამოყენებული საბანკო ანგარიშებიდან დავალიანების თანხების უპირობო ჩამოწერისა და სასამართლოს გადაწყვეტილების ქონების ჩამორთმევის უფლება. უფრო მეტიც, კრედიტის ზოგიერთ მომხმარებელთან, მაგალითად ვაჭრობისა და საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობის სამინისტროსთან დასაქვენერგოსთან, რომელთაც 3,7 მილიონი დოლარის ვადაგადაცემული დავალიანებები ერიცხებათ, ხელშეკრულებები დღესაც არ არის გაფორმებული.

(საქართველოს საგარეო ვალების მდგომარეობის შესახებ იხილეთ დანართი №1, დიაგრამა №1 და №2).



საქართველოს მიერ მიღებული კრედიტები სამ ჯგუფად იყოფიან:

ტექნიკური კრედიტები, რომლებსაც საფუძვლად დაედოთ ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებთან (რუსეთი, სომხეთი, აზერბაიჯანი, ყაზახეთი, უზბეკეთი) სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების შედეგად წარმოქმნილი დავალიანება. მათი წილი კრედიტების საერთო მოცულობაში 12,63% და თითქმის 228,77 მილიონი აშშ დოლარს აღწევს.

სასაქონლო კრედიტები, რომელსაც საფუძვლად დაედო მოწოდებული პროდუქციის (ბუნებრივი გაზი, ხორბალი, სურსათი, მედიკამენტები, ტრაქტორები და სხვა) შედეგად წარმოქმნილი დავალიანება (თურქმენეთის, უკრაინის, ჩინეთის, თურქეთის, ირანის, ევროგაერთიანების კრედიტები).

? სარეაბილიტაციო კრედიტები
(რუსეთის მეორე და მესამე, გერმანიის სამი, სავალუტო ფონდის, მსოფლიო ბანკის, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის, სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდის კრედიტები), რომელიც ეკონომიკის ამა თუ იმ დარგის საჭიროებისათვის იყო გამოიზნული.

1998 წელს საერთაშორისო სავალუტო ფონდის დახმარებით გრძელდებოდა საქართველოს საგარეო ვალის მომსახურებისა და გადახდის პრობლემების მოგვარება. საანგარიშო წლის დასაწყისში საგარეო ვალიდან (1450 მილიონი აშშ დოლარი) რესტრუქტურზაციას ექვემდებარებოდა თურქმენეთის, ევრო-გაერთიანებისა და თურქეთის 600 მილიონი აშშ დოლარის ოდენობის ვალები, რაც მიღწეულ იქნა. ამასთან, თურქმენეთის ვალის პრობლემა საბოლოოდ ჯერ კიდევ არ არის გადაწყვეტილი.

საგარეო ვალების მომსახურება ხორციელდება ამსტერდამის ბანკში თანხების ყოველკვარტალური გადარიცხვებით. 1995 წლიდან დაწყებული საქართველოს ანგარიშზე ამსტერდამის ბანკში ყოველკვარტალურად ჩვენი მთავრობა რიცხავს 8 მილიონი აშშ დოლარს საგარეო ვალების მომსახურებისათვის, ე.ი. ყოველწლიურად ეს თანხა 32 მილიონ აშშ დოლარს შეადგენს.

საყურადღებოა, რომ 1997 წლის 1 იანვრისათვის საქართველოს გეგმიური გადასახადები 350,98 მილიონ დოლარს შეადგენდა. მათ შორის, ძირითადი თანხის ნაწილში - 252,5 მილიონ დოლარს, ხოლო საპროცენტო თანხის ნაწილში - 98,5 მილიონ დოლარს. სულ, ფაქტიურმა გადახდამ გეგმიური გადასახადების 13,8%, ანუ 48,6 მილიონი დოლარი შეადგინა; ვადაგადაცილებულმა გადასახადებმა კი — 302,4 მილიონი დოლარი. მათ შორის: ძირითადი თანხის ნაწილში - 49,9 მილიონი დოლარი. ამასთან, საჯარიმო გადასახადებმა ვადაგადაცილებაზე 16,9 მილიონი დოლარი, მათ შორის ძირითადი თანხის ნაწილში - 11,3, ხოლო საპროცენტო თანხის ნაწილში კი - 5,6 მილიონი დოლარი შეადგინა.

შესაბამისად, 1997-1998 წლებში საქართველოს გეგმიური გადასახადები 182,3 მილიონ დოლარს შეადგენდა, საიდანაც 1999 წლის 1 იანვრისათვის გადახდილი იქნა 67,6%, ანუ 123,26 მილიონი დოლარი და ვადაგადაცილებულმა გადასახადებმა 59,04 მილიონი დოლარი, მათ შორის საჯარიმო გადასახადმა - 1,2 მილიონი დოლარი შეადგინა.

საქართველოში საგარეო ვალების მომსახურებისათვის 1997 წლის სახელმწიფო

ბიუჯეტში 55,5 მილიონი ლარი გამოიყო, რაც ბიუჯეტის ხარჯების 7,1%-ია. მათ შორის 41,6 მილიონი ლარი რესტრუქტურირებულ კრედიტებზე პროცენტების გადახდას მოხმარდა.

1998 წლის ბიუჯეტის შესაბამისად, საგარეო ვალების პროცენტების დასაფარავად საქართველოს მთავრობას მნიშვნელოვანი თანხების გაღება მოუწია. აღნიშნულმა 49,5 მილიონი ლარი შეადგინა, რაც ცენტრალური ბიუჯეტის მთლიანი ფაქტიური ხარჯვითი ნაწილის 7,5 პროცენტია. აღნიშნული თანხების ვალუტაში გადახდისა და ეროვნული ვალუტის კურსის ცვლილების გამო ამ მუხლით ადგილი ჰქონდა მნიშვნელოვან გადახარჯვებს, მაგალითისათვის, მხოლოდ დეკემბერში დამატებით გადახდილია 1,6 მილიონი ლარი, რის გამოც ამ მუხლით შესრულებამ (გადახარჯვამ) 113 პროცენტი შეადგინა.

თურმენეთის კრედიტის ძირითადი თანხის

1998 წელს თურქმენეთის კრედიტზე გადასახდელის მიუთხაღი ნაწილის დასაფარავად ძირითადი თანხა — 19,68 მილიონი აშშ დოლარი გადახდილი იქნა

(393.57 მილიონი აშშ დოლარი) დასაფარავად ჯერ კიდევ 1998 წლისათვის საქართველოს უნდა გადაეხადა 78,7 მილიონი აშშ დოლარი, რაც ვერ მოხერხდა. თურქმენეთის მხარე მოითხოვდა პირველი კვარტლის თანხის დაფარვას და მოლაპარაკებები შემდგომ გაეგრძელებინათ. გადასახდელის მეოთხედი ნაწილის დასაფარავად 19,68 მილიონი აშშ დოლარის ოდენობის თანხა იქნა გადახდილი. ხოლო 59,04 მილიონი აშშ დოლარი ვადაგადაცილებულად ითვლება.

1999 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტში საერთაშორისო ვალდებულებების მომსახურებისათვის 184,8 მილიონი ლარია გამოყოფილი, რაც სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების საპროგნოზო მოცულობის 15,0 პროცენტია. მათ შორის საგარეო ვალების საპროცენტო თანხის მომსახურებაზე 85,2 მილიონი ლარია გამოყოფილი, ხოლო ძირითადი თანხის გადახდაზე — 98,6 მილიონი ლარი (49,3 მილიონი დოლარი).

1999 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტში საერთაშორისო ვალდებულებების მომსახურებისათვის 184,8 მილიონი ლარია გამოყოფილი

საპროგნოზო წელს, მიმდინარე წელთან შედარებით, საგარეო ვალის მომსახურების თანხების ძირითადი ზრდა ევროგაერთიანების ვალის ძირითადი თანხის (48,6 მილიონი ლარი ანუ 24,3 მილიონი აშშ დოლარი) და თურქმენეთის კრედიტის ძირითადი თანხის (50,0 მილიონი ლარი ანუ 25 მილიონი აშშ დოლარი) დაფარვაზე მოდის.

1999 წელს გათვალისწინებულია 284,8 მილიონი ლარის (142,4 მილიონი აშშ დოლარის) უცხოური კრედიტის მიღება (ცხრილი №2). აქედან 254,8 მილიონი ლარი (127,4 მილიონი აშშ დოლარი) მსოფლიო ბანკის, ხოლო 30 მილიონი ლარი (15 მილიონი აშშ დოლარი) აშშ-ს ხორბლის კრედიტებია.

„საქართველოს 1999 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ„ კანონის მე-9 მუხლით განსაზღვრულია საქართველოს მთავრობის საგარეო ვალის ზღვრული მოცულობა 1999 წლის ბოლოსათვის 3,81 მილიარდი აშშ დოლარით.

1999 წლის ბიუჯეტში საერთაშორისო ვალდებულებების მომსახურებისათვის გათვალისწინებული ხარჯები

ცხრილი №1

	მილიონი ლარი	მილიონი აშშ დოლარი
რესტრუქტურირებული საგარეო ვალდებულების მომსახურება	79,7	39,85
მსოფლიო ბანკის კრედიტების მომსახურება	5,5	2,75
თურქმენეთის ვალის დაფარვა	50,0	25
ევროკავშირის კრედიტის დაფარვა	48,6	24,3
საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს მონაწილეობასთან დაკავშირებული ხარჯები	1,0	0,5
სულ	184,8	92,4

დსთ-ს ქვეყნებიდან მიღებული კრედიტების საერთო თანხა 1999 წლის 1 აპრილისათვის 638,31 მილიონ აშშ დოლარს შეადგენს.

ცალკეული ქვეყნების მიერ გამოყოფილი

დსთ-ს ქვეყნებიდან მიღებული საერთო თანხა 638,31 მილიონ აშშ დოლარს შეადგენს

კრედიტების განაწილების, ათვისებისა და დაფარვის არსებული მდგომარეობა შემდეგნაირად გამოიყურება:

1. რუსეთის რესპუბლიკის მიერ გამოყოფილი იყო სამი კრედიტი.

• რუსეთის პირველი კრედიტი-135 მილიონი აშშ დოლარის ოდენობით, ეროვნულ ბანკებში საკორეს-პონდენტო ანგარიშების გახსნამდე 1992 წელს წარმოებული ოპერაციების შედეგად მიღებული ტექნიკური (საგა-დამხდელი) კრედიტის ცნობით სახელმწიფო ვალად წარმოიშვა. სახელმწიფო კრედიტად 1993 წლის 15 სექტემბერს ქ. მოსკოვში გაფორმდა.

• რუსეთის მეორე კრედიტი 10,0 მილიარდი რუბლი ანუ 6,3 მილიონი აშშ დოლარის ოდენობით, 1993 წლის 15 სექტემბერს საქართველოსა და რუსეთის მთავრობებს შორის დადებული საკრედიტო შეთანხმებით წარმოიშვა, რომლის მიზანი ზამთრის სეზონისათვის

ენერგოსისტემის მომზადება იყო.

კრედიტის უშუალო მომხმარებლები არიან:

1. ნავთობკონცერნი — 7,9 მილიარდი რუბლი.
2. ვაჭრობისა და მატერიალური რესურსების სამინისტრო — 0,55 მილიარდი რუბლი.

3. ზუგდიდის ქალაქის კომბინატი — 0,55 მილიარდი რუბლი.

4. საქენერგო — 1,00 მილიარდი რუბლი.

ნავთობკონცერნმა ნავთობპროდუქტები, ვაჭრობის სამინისტრომ ფართო მოხმარების საქონელი, ზუგდიდის ქალაქის კომბინატმა ქალაქის პრესი შემოიტანეს.

• რუსეთის მესამე კრედიტი 20 მილიარდი რუბლის ანუ 6,055 მილიონი აშშ დოლარის ოდენობით, 1994 წლის 10 აგვისტოს საქართველოსა და რუსეთის მთავრობებს შორის დადებული საკრედიტო შეთანხმებით წარმოიშვა, რომლის მიზანი ზამთრის სეზონისათვის ენერგოსისტემის მომზადება იყო. ამ კრედიტის გარანტიად ქართულ მხარეს სახელმწიფო ქონება საწარმოთა აქციების სახით აქვს ჩადებული.

კრედიტის უშუალო მომხმარებლები არიან:

1. საქგაზი — 1,5 მლრდ. რუბლი, რუსეთის გაზის ვალის დასაფარავად;

2. საქენერგო — 16,0 მილიარდი რუბლი, საწვავისა და აღჭურვილობის შესაძენად;

3. მეტროპოლიტენი — 1,0 მილიარდი რუბლი, მეტროს რეაბილიტაციისათვის;

4. განათლების სამინისტრო — 0,5 მილიარდი რუბლი, ნიგნების შესაძენად;

5. ფირმა „ეგრისი“ — 1,00 მილიარდი რუბლი, შაბიამნის შესაძენად;

აღსანიშნავია, რომ რუსეთის მეორე კრედიტით ვაჭრობის სამინისტროსა და ზუგდიდის ქალაქის კომბინატისათვის გამოყოფილი 1,10 მილრდ. რუბლი, ხოლო მესამე კრედიტით განათლების სამინისტროსა და ფირმა

საქართველოს მხარეს რუსეთთან საკრედიტო შეთანხმების საფუძველზე გირაოში სააძვირო საზოგადოებას „ტიათურმარბანცისა„ და „ელექტროვაგონშემკეთავლის„ აქციების ნომინალური 10,5 მილიონი აშშ დოლარის ღირებულების პაკეტი აქვს ჩადებული

„ეგრისი“-სათვის გამოყოფილი 1,5 მილიარდი რუბლი არამიზნობრივად და გამოყენებული. ეს უკანასკნელი მისი არაეფექტურობის მიზეზია.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს მხარეს ამ შეთანხმების საფუძველზე გირაოში ჩადებული აქვს სააქციო საზოგადოებების „ჭიათურმარბანცისა„ და „ელექტროვაგონშემკეთებელის„ აქციების პაკეტი ნომინალური ღირებულებით 10,5 მილიონი აშშ

დოლარი. საგარეო კრედიტების მიღებისას საკმარისი სახელმწიფო გარანტია და დამატებით რაიმე გირაოს ჩადება არ არის საჭირო. ამასთან, ვალის რესტრუქტურის საკითხი რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო დუმაში ჯერ კიდევ არ არის რატიფიცირებული და ვადაგადაცილებული გადასახდელებიდან გამომდინარე რუსეთის მხარეს საკუთარ მფლობელობაში 5,2 მილიონი აშშ დოლარის ღირებულების აქციები გადატანის უფლება აქვს.

ამ კრედიტის რესტრუქტურის საკითხი მოწოდებული საქონლის (მომსახურების) ღირებულების შესწავლის გარეშე მოხდა, მაშინ, როდესაც კრედიტის ზოგიერთ მომხმარებელთან ფინანსთა სამინისტროს მცდელობის მიუხედავად ხელშეკრულების გაფორმებაც ვერ მოხერხდა. ამასთან, რესტრუქტურის საკითხი დროს არ იქნა გათვალისწინებული და დავალიანების დაფარვაში ნაჩვენებია საქართველოს სახელმწიფო ვალის ანგარიშში 1993-1995 წლებში რუსეთის მხარის მიერ ჩამოჭრილი 1,9 მილიარდი რუბლი.

რუსეთის კრედიტი სახელმწიფოთა შორის შეთანხმებით არსებული დავალიანებებზე გადახდის მომენტისათვის რუსეთის ცენტრალური ბანკის კურსით რუსული რუბლის აშშ დოლარებში გადაანგარიშებით უნდა დაიფაროს, ხოლო მოხმარებელბთან დადებულ ხელშეკრულებაში კრედიტის დაფარვა კუპონებში იყო გათვალისწინებული. გადასახდელი თანხის კურსის მიმართება აშშ დოლარებთან ბუნდოვნად და გაურკვევლად განსაზღვრული. ანალოგიური მდგომარეობა ზოგიერთ სხვა კრედიტებზეც.

1997 წლის 17 იანვარს ხელი მოეწერა საქართველოს რუსეთისადმი დავალიანების რესტრუქტურის შეთანხმებას, რითაც მანამდე მოქმედი სამივე საკრედიტო შეთანხმება გაერთიანდა.

რესტრუქტურირებული შეთანხმებით განისაზღვრა:

რესტრუქტურირებული კრედიტის თანხა—179,27 მილიონი აშშ დოლარი;

სამწლიანი შეღავათიანი პერიოდი 1997-1999 წლები;

ძირითადი ვალის დაფარვის პერიოდი 2000-2007 წლები;

საპროცენტო განაკვეთი

წლიური 4%.

საპროცენტო თანხის

გადახდა წარმოებს

ყოველკვარტალურად არაუგვიანეს კვარტლის მესამე თვის 30 რიცხვისა, გადაცილების შემთხვევაში კი ძალაში შედის საჯარიმო საპროცენტო განაკვეთი 4,5%-ის ოდენობით. თუ საპროცენტო თანხა ამის მერეც არ იქნება დაფარული კიდევ 30 კალენდარულ დღეში, მაშინ რესტრუქტურირების შეთანხმება მისივე მე-6 პუნქტიდან გამომდინარე კარგავს თავის იურიდიულ ძალას და დგება საკითხი კრედიტის

მოთიანე თანხის დაფარვისა.

უნდა აღინიშნოს, რომ 1997 წლის 17 იანვრის შეთანხმებით რესტრუქტურის საკითხი შესახებ ჩვენ ვერ მივაღწიეთ ადრე ხელმოწერილ პირველ, მეორე და მესამე საკრედიტო შეთანხმებებში არსებული ზოგიერთი დებულების მოხსნას. შეთანხმების მიხედვით:

ა) საქართველოს მხარის მიერ ნაკისრი სავალ ვალდებულებების დროულად შეუსრულებლობის შემთხვევაში გადავადებული ყველა თანხა ვადაგადამდგარ გადასახდელად ჩაითვლება და დაუყოვნებლივ უნდა დაიფაროს.

ბ) ყველა დანარჩენ რესტრუქტურის საკითხი შეთანხმებით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ძალაში რჩება ადრე მოქმედი სამივე საკრედიტო შეთანხმებათა პირობები.

რესტრუქტურის საკითხი შეთანხმებით გათვალისწინებული თუნდაც ერთი გადასახდელის დროულად გადაუხდელობის შემთხვევაში, საქართველოს მთავრობამ მეორე დღესვე უნდა შეასრულოს შემდეგი პირობები:

- რუსეთს 138,87 მილიონი აშშ დოლარის ოდენობის თანხა უნდა გადაუხადოს;

- რუსეთს ჩვენი დავალიანების დასაფარად დავალიანების მოცულობის ექვივალენტური თანხის საქართველოს მიერ გირაოდ გადაცემული აქციების წილის თავის საკუთრებაში დაიტოვების უფლება ეძლევა.

აღსანიშნავია, რომ რესტრუქტურირების შეთანხმება არ არის რატიფიცირებული რუსეთის ფედერაციის პარლამენტის მიერ, რის გამოც რუსეთის ფედერაციის ცენტრალურმა ბანკმა 1997 წლის დასაწყისში უარი განაცხადა, რათა საქართველოს მხარის გადასახადების დარიცხვა ხელმოწერილი რესტრუქტურირების შეთანხმების შესაბამისად მომხდარიყო.

პრობლემური სიტუაციის მოგვარება მხოლოდ რუსეთის ფინანსთა სამინისტროს ჩარევის შემდეგ მოხერხდა. კრედიტის რესტრუქტურის საკითხი პირობები რამდენად ხელსაყრელია, ეს კიდევ გასარკვევია.

რუსეთის კრედიტები კაბალური პირობებით იქნა მიღებული, რაზეც დაბალი შლავათიანი პერიოდი, გადავადების შეუძლებლობა, გირაოდ ჩადებული სანარმოების აქციები მიუთითებს.

რუსეთის კრედიტები კაბალური პირობებით იქნა მიღებული

2. უკრაინიდან საქართველოს კრედიტის სახით ერიცხება 915,029 აშშ დოლარი. კრედიტი 1997 წლის თებერვალში გაფორმდა და კომპანია „ხლებ უკრაინი“-სადმი საქართველოს პურპროდუქტების სახელმწიფო კორპორაციისა და მეფრინველეობის მრეწველობის დავალიანებით წარმოიშვა, რომელიც შემდგომ სახელმწიფო კრედიტად გაფორმდა.

1997 წლის 13 თებერვალს ხელი მოეწერა უკრაინისადმი დავალიანების რესტრუქტურირების შეთანხმებას, რომლითაც განისაზღვრა:

რესტრუქტურირებული კრედიტის თანხა 915 ათასი აშშ დოლარი;

ხუთწლიანი შეღავათიანი პერიოდი 1997-2001 წლები;

ძირითადი ვალის დაფარვის პერიოდი 2000-2005 წლები;

საპროცენტო განაკვეთი წლიური 4%.

საჯარიმო საპროცენტო განაკვეთი წლიური 4,5%.

3. სომხეთიდან საქართველოს რესპუბლიკას ორი კრედიტი აქვს მიღებული. პირველი თანხით 10,6 მილიონი აშშ დოლარი წარმოიშვა 1992 წლის განმავლობაში და 1993 წლის იანვარ-მაისის თვეებში ეროვნულ ბანკებში საკორესპოდენტო ანგარიშების გახსნამდე წარმოქმნილი დავალიანების ცნობით სახელმწიფო კრედიტად, ხოლო მეორე კრედიტი თანხით 6,5 მილიონი აშშ დოლარი 1993 წელს სომხეთის რესპუბლიკასთან წარმოებული სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობებით დავალიანების სახელმწიფო კრედიტად გაფორმების შედეგად წარმოქმნილი.

1996 წლის 5 ივნისს ხელი მოეწერა საქართველოს სომხეთისადმი დავალიანების რესტრუქტურირების შეთანხმებას, რომლითაც გაერთიანდა მანამდე მოქმედი ორი საკრედიტო ხელშეკრულება.

რესტრუქტურირების შეთანხმებით განისაზღვრა შემდეგი:

რესტრუქტურირებული კრედიტის თანხა 19,6 მილიონი აშშ დოლარი;

ხუთწლიანი შეღავათიანი პერიოდი 1996-2000 წლები;

ძირითადი ვალის დაფარვის პერიოდი 2001-2005 წლები;

საპროცენტო განაკვეთი წლიური 4%.

საინტერესო ალინიშნოს, რომ საქართველოს სომხეთის მხარისადმი გააჩნია პრეტენზიები, რომელსაც შემდგომში სხვა პრეტენზიებთან ერთად განვიხილავთ.

4. აზერბაიჯანის მიერ ორი კრედიტი გამოიყო:

ა) პირველი კრედიტი თანხით 4,9 მილიონი აშშ დოლარი, წარმოიშვა ეროვნულ ბანკებში საკორესპოდენტო ანგარიშებზე 1993 წლის 17 ივნისამდე წარმოქმნილი დავალიანებით, რომელიც საქართველოს მიერ სახელმწიფო კრედიტად იქნა ცნობილი.

ბ) მეორე კრედიტი თანხით 2,68 მილიონი აშშ დოლარი, წარმოიშვა 1993 წლის 26 ივნისს ქ. ბაქოში, საქართველოსა და აზერბაიჯანის მთავრობებს შორის დადებული სახელმწიფოთაშორისო შეთანხმებით, რომლის მიზანი ზამთრის სეზონისათვის ენერგოსისტემების მომზადება იყო.

კრედიტის უშუალო მომხმარებლები არიან:

1. კონცერნი „საქნავთობპროდუქტი“- 2,8 მილიარდი რუბლი;

2. დეპარტამენტი „საქენერგო“-0,184 მილიარდი რუბლი, რომლითაც სანავაგ-საცხები მასალებია შეძენილი.

ამას 1992 წლის განმავლობაში (საკორესპოდენტო ანგარიშების გახსნამდე) წარმოქმნილი 6,99 მილიონი აშშ დოლარის ოდენობის სალდო დაემატა.

1997 წლის 19 იანვარს ხელი მოეწერა საქართველოს აზერბაიჯანისადმი დავალიანების რესტრუქტურირების შეთანხმებას, რომლითაც განისაზღვრა:

რესტრუქტურირებული კრედიტის თანხა 16 მლნ. აშშ დოლარი;

ხუთწლიანი შეღავათიანი პერიოდი, 1997-2002 წლები;

ძირითადი ვალის დაფარვის პერიოდი 2002-2007 წლები;

საპროცენტო განაკვეთი წლიური 4%.

საჯარიმო საპროცენტო განაკვეთი წლიური 4,5%.

5. ყაზახეთიდან საქართველოს ორი კრედიტი აქვს მიღებული:

ა) პირველი, თანხით 17,9 მილიონი აშშ დოლარი ყაზახეთის ეროვნული ბანკიდან 1992 წელს მიღებული ტექნიკური (საგადამხდელო) კრედიტით წარმოქმნილი დავალიანების სახელმწიფო კრედიტად ცნობის შედეგად წარმოიშვა.

ბ) ყაზახეთის მეორე კრედიტი, თანხით 4,451 მილიონი აშშ დოლარი 1993 წლის იანვარ-ოქტომბერში ყაზახეთის რესპუბლიკასთან წარმოებული სავაჭრო-ეკონომიკური თანამშრომლობის (პურის ხორბლის მიწოდება) შედეგად წარმოქმნილი დავალიანების სახელმწიფო კრედიტად ცნობის შედეგად წარმოიშვა.

1996 წლის 1 ივლისს საქართველოს ყაზახეთისადმი დავალიანების რესტრუქტურირების შეთანხმებას მოეწერა ხელი, რომლითაც მანამდე მოქმედი ორი საკრედიტო შეთანხმება გაერთიანდა და შემდეგი განისაზღვრა:

რესტრუქტურირებული კრედიტის თანხა 27,8 მილიონი აშშ დოლარი;

ხუთწლიანი შეღავათიანი პერიოდი, 1996-2000 წლები;

ძირითადი ვალის დაფარვის პერიოდი 2001-2005 წლები;

საპროცენტო განაკვეთი წლიური 4%.

საჯარიმო საპროცენტო განაკვეთი წლიური 5%.

გარდა ამისა, დარიცხული საჯარიმო თანხების 2,6 მილიონი აშშ დოლარის ჩამონერის საკითხი დაისვა, რაზეც ყაზახეთის მხარე დათანხმდა, რაც შესაბამისი ოქმით დაფიქსირდა.

6. უზბეკეთის კრედიტს საფუძვლად დაედო

1992 წლის განმავლობაში სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების შედეგად წარმოქმნილი დავალიანება, რომელიც, როგორც სახელმწიფო კრედიტი, 1996 წლის 28 მაისის ხელმოწერილი ხელშეკრულების თანახმად გაფორმდა.

საკრედიტო შეთანხმებით განისაზღვრა:

კრედიტის თანხა 1,002 მილიონი აშშ დოლარი;

ხუთწლიანი შეღავათიანი პერიოდი, 1996-2000 წლები;

ძირითადი ვალის დაფარვის პერიოდი 2001-2005 წლები;

საპროცენტო განაკვეთი წლიური 4%.

საჯარიმო საპროცენტო განაკვეთი წლიური 4,5%.

7. თურქმენეთის კრედიტი, 393,567 მილიონი აშშ დოლარი 1992 წლის და 1993 წლის

7 თვის შედეგებით საკორესპონდენტო ანგარიშსწორებისას წარმოქმნილი

სხვაობისა და 1993-94 წლებში მოწოდებული ბუნებრივი აირის

ღირებულებით დამსაზღვრავი საწვავით წარმოიშვა, რამაც საერთო ჯამში 440,3 მლნ. აშშ

დოლარი შეადგინა. რესტრუქტურული ხარჯების თარიღისათვის სულ დავალიანების თანხა 35,42

მილიონი აშშ დოლარი იყო. ქ. თბილისში 1996 წლის 20 მარტს ხელმოწერილი იქნა

ხელშეკრულება რესტრუქტურული ხარჯების შესახებ, რითაც განისაზღვრა:

რესტრუქტურირებული კრედიტის თანხა 393,6 მილიონი აშშ დოლარი;

ხუთწლიანი შეღავათიანი პერიოდი, 1995-1997 წლები;

ძირითადი ვალის დაფარვის პერიოდი 1998-2002 წლები;

საპროცენტო განაკვეთი წლიური 4%.

საჯარიმო საპროცენტო განაკვეთი წლიური 6%.

შეღავათიანი პერიოდი 3 წლის ვადითაა განსაზღვრული. ხოლო, თურქმენეთის მიერ

დარიცხული საჯარიმო თანხის 51 მილიონი აშშ დოლარის ოდენობის ჩამოწერამ შეღავათიანი

პერიოდის ხანგრძლივობა 5 და მეტი წლის ექვივალენტური გახადა. შეღავათიანი პერიოდის

გაგრძელებას თურქმენეთის მხარეც დაეთანხმა.

1998 წელს, რადგან თურქმენეთის კრედიტზე შეღავათიანი პერიოდის გაგრძელება ერთი წლით

ვერ მოხერხდა, გადასახდელი იყო ძირითადი თანხა. თურქმენეთის მხარე მოითხოვდა პირველი

კვარტლის თანხა მაინც გადაეხადათ და მოლაპარაკებები შემდგომ გაეგრძელებინათ. 1998

წელს გადახდილ იქნა 19,68 მილიონი აშშ დოლარის ოდენობის თანხა, რაც გადასახდელის მეოთხედ

ნაწილს შეადგენდა. ხოლო 59,04 მილიონი აშშ დოლარი ვადაგადაცილებულ გადასახდელებში

ითვლება.

საქართველო და თურქმენეთი გააგრძელებენ მოლაპარაკებას თურქმენეთის ვალის შემდგომი რესტრუქტურირების შესახებ. მაგრამ, ასეთი

თურქმენეთის კრედიტის ძირითადი თანხის დასაფარავად 1999 წელს საპროცენტო მთავრობა მხოლოდ 25 მილიონ აშშ დოლარს გადაიხდის

შეთანხმების დადებამდე 1999 წელს საქართველო მზადაა 25 მილიონი აშშ დოლარი გადაიხადოს, როგორც საქართველოს მიერ მოლაპარაკებათა „კეთილი ნების“ გამოვლენა.

შორეული საზღვარგარეთის ქვეყნებიდან მიღებული კრედიტების საერთო თანხა 304,61 მილიონი აშშ დოლარს შეადგენს.

1. ავსტრიის მიერ გამოყოფილია ორი

შორეული საზღვარგარეთის ქვეყნებიდან მიღებული კრედიტების საერთო თანხა 304,61 მილიონ აშშ დოლარს შეადგენს

კრედიტი 1079,58 მილიონი ავსტრიული შილინგი და 34,08 მილიონი ავსტრიული შილინგი.

1) პირველი ხელშეკრულება გაფორმდა საქართველოსა და ავსტრიის კონტროლ ბანკს შორის, რომლითაც ორივე საკრედიტო თანხის ავსტრიის რესპუბლიკის მიერ გარანტირებული ნაწილი რესტრუქტურდა.

რესტრუქტურირებული კრედიტის თანხა 1.079.577.725 ავსტრიული შილინგი (83,24 მილიონი აშშ დოლარი);

შეღავათიანი პერიოდი, 1997-2001 წლები;

ძირითადი ვალის დაფარვის პერიოდი 2001-2012 წლები;

საპროცენტო განაკვეთი წლიური 4%.

საჯარიმო საპროცენტო განაკვეთი წლიური 4%.

2) მეორე ხელშეკრულება გაფორმდა საქართველოსა და ავსტრიის ბანკ „კრედიტანშტალტ“-ს შორის, რომლითაც ორივე საკრედიტო თანხების არაგარანტირებული ნაწილი რესტრუქტურდა.

რესტრუქტურირებული კრედიტის თანხა 34.077.576 ავსტ. შილინგი (2,63 მილიონი აშშ დოლარი);

შეღავათიანი პერიოდი, 1997-2001 წლები;

ძირითადი ვალის დაფარვის პერიოდი 2001-2012 წლები;

საპროცენტო განაკვეთი წლიური 4%.

საჯარიმო საპროცენტო განაკვეთი წლიური 4%.

2. ირანის კრედიტი. 1994 წლის 6 ოქტომბერს დადებული ხელშეკრულებით ირანიდან ბუნებრივი აირის მოწოდებაზე დავალიანების გამო თეირანში 1996 წლის 19-24

ივლის (ირანის ისლამური რესპუბლიკა) ირანის გაზის ეროვნულ კომპანიასა და სახელმწიფო დეპარტამენტ „საქგაზ“-ს შორის ჩატარდა მოლაპარაკებები. აქ შემუშავებული შეთანხმებებით განისაზღვრა შემდეგი:

რესტრუქტურირებული კრედიტის თანხა 12,6 მილიონი აშშ დოლარი;

ხუთწლიანი შეღავათიანი პერიოდი, 1997-2001 წლები;

ძირითადი ვალის დაფარვის პერიოდი 2001-2006 წლები;

საპროცენტო განაკვეთი წლიური 4%.

საჯარიმო საპროცენტო განაკვეთი წლიური 6%.

3. ჩინეთის მიერ (რესტრუქტურისაზიამდე) 3,6 მილიონი აშშ დოლარის კრედიტი გამოიყო. კრედიტი 1994 წლის 2 თებერვალს ქ. პეკინში საქართველოს რესპუბლიკის საგარეო-ეკონომიკურ გაერთიანება „საქიმპექს“-სა და ჩინეთის ექსპორტ-იმპორტის სახელმწიფო კორპორაცია „მაშიმპექს“-ს შორის დადებული საკრედიტო ხელშეკრულებით წარმოიშვა.

„საქიმპექს“-მა რესპუბლიკაში შემოიტანა 1204 ცალი მცირეგაბარიტიანი ტრაქტორი, რომელთა საცალო ფასი 4200 აშშ დოლარი ფერმერთათვის ხელმიუწვდომელი იყო, მაშინ, როდესაც მსოფლიო ბაზარზე გაცილებითი ფაფი ღირდა. ტრაქტორები დღეისათვის სარეალიზაციოდ ქუთაისის სატრაქტორო ქარხნის საწყობშია განთავსებული. ამონაგები თანხის 35% ამავე ქარხანას კრედიტის სახით გადაეცემა, ხოლო დანარჩენი თანხა ბიუჯეტში ჩაირიცხება. რეალიზებული ტრაქტორების საერთო თანხიდან გამომდინარე თითოეულის ღირებულება საშუალოდ 1650 ლარს უტოლდება. ამ ფასში რეალიზაციის შედეგად შემოსული ამონაგები ვერ უზრუნველყოფს დავალიანების თანხის დაფარვისა. ჩინეთის მხარესთან მოლაპარაკებების შედეგად შეთანხმდნენ დავალიანების რესტრუქტურისაზიამდე.

რესტრუქტურირების შეთანხმებით განისაზღვრა შემდეგი პირობები:

რესტრუქტურირებული კრედიტის თანხა 5,42 მილიონი შვეიცარული ფრანკი (3,56 აშშ დოლარი);

ხუთწლიანი შეღავათიანი პერიოდი, 1998-2002 წლები;

ძირითადი ვალის დაფარვის პერიოდი 2003-2007 წლები;

საპროცენტო განაკვეთი წლიური 4%.

3. თურქეთის კრედიტი. 1992 წლის 10 დეკემბრის შეთანხმების ოქმის საფუძველზე საქართველოსა და თურქეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრები „შეთანხმდნენ, თურქეთის საკრედიტო ბანკსა და საქართველოს რესპუბლიკის ეროვნულ ბანკს შორის გაიხსნას სპეციალური საკრედიტო ხაზი. ეს საკრედიტო

ხაზი მოიცავს მხოლოდ თურქეთიდან საქართველოში შემდგომში განსახორციელებელ საექსპორტო ოპერაციებს. საქართველოს ეკონომიკის მოთხოვნების გათვალისწინებით აუცილებელ სპეციფიკურ იმპორტში ბანკი თითოეულ კონკრეტულ შემთხვევაში სავაჭრო ოპერაციებს აღნიშნული საკრედიტო ხაზების მეშვეობით განახორციელებს. საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ამ მიზნით მიღებულ კრედიტებთან დაკავშირებულ ვალდებულებათა მიმართ გარანტიად საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა გამოვა.”³

ამ შეთანხმების საფუძველზე 1993 წლის 12 თებერვალს დაიდო ახალი „საკრედიტო შეთანხმება თურქეთის საექსპორტო საკრედიტო ბანკსა და საქართველოს რესპუბლიკის ექსპორტ-იმპორტის ბანკს შორის“, რომელშიც ნათქვამია რომ: „თურქეთის საექსპორტო საკრედიტო ბანკი განათავსებს 50 მილიონი აშშ დოლარის ოდენობის თანხას ამორჩეული თურქული წარმოების საქონლის ფობ-ღირებულების 95% დაფინანსებისათვის, რომელიც იმპორტირებული იქნება ქართველი იმპორტიორების მიერ თურქეთიდან.”⁴

მითითებული შეთანხმების თანახმად სესხის გაცემის ძირითადი პირობებია:

თურქეთის მხრიდან მოწოდებული პროდუქციის მინიმუმ 50% თურქული წარმოების უნდა იყოს;

კრედიტი თვარება მოწოდებული საქონლის ღირებულების მხოლოდ 95%, დარჩენილ 5%-ს საქართველოს მხარე იხდის;

წლიური საპროცენტო განაკვეთი LIBOR+1%;

საპროცენტო თანხის გადახდის პერიოდი ყოველი 6 თვე;

კრედიტის დაფარვა უნდა მოხდეს 3 წლის განმავლობაში, შემდეგი სქემის მიხედვით: 40% - 40% - 20%, დაწყებული კონკრეტული პროექტით გათვალისწინებული საქონლის მოწოდების თარიღიდან;

ნებისმიერი თანხის გადაუხდელობა (იქნება ეს ძირითადი თუ საპროცენტო თანხა) ჯარიმდება დამატებითი საპროცენტო განაკვეთით LIBOR+4% ყოველი გადაუხდელი თანხიდან;

კრედიტის დაფარვა წარმოებს საიმპორტო დოკუმენტური, არაგაუქმებადი და არაგადაცემადი აკრედიტივით, რომელიც არ შეიცავს გადავადებული გადახდის პირობებს.

კრედიტის გაცემის ასეთი პირობები, როგორც ვადების, ასევე დაფარვის თვალსაზრისით, იმდენად მკაცრი და ძნელად შესასრულებელია, რომ საქართველოს მხარეს, ჩვენი ინტერესებიდან გამომდინარე, შეთანხმების თაობაზე ჩატარებული მოლაპარაკებებისას კრედიტის გაცემის პირობების ლიბერალიზაციის მისაღწევად მეტი ძალისხმევა უნდა გამოეჩინა. კრედიტის გამოყენების ეფექტურობის, ათვისებისა და დასაფარავად, სესხის ამღები ორგანიზაციებიდან

მოითხოვდა საკრედიტო პროექტების სრულყოფილ და ობიექტურ ტექნიკურ-ეკონომიკურ დასაბუთებას.

მაგალითად, საქართველოს მხარისათვის მიუღებელი უნდა ყოფილიყო საბაზო საკრედიტო შეთანხმების მე-9 მუხლის „ა“, პუნქტის დეზუბლება, სადაც მითითებულია, რომ „Обязательства ЕІВ-а (Эксимбанк Грузии) выплатить любую сумму в рамках кредитного соглашения является безусловным и ни в коем отношении юридически независимым от выполнения Экспортером своих обязательств по Экспортному контракту и никогда не будет подвержено влиянию любой причины или любой претензии которую ЕІВ или соответствующий импортер мог бы иметь или предполагать против Экспортера.“⁵

აღნიშნული მუხლის პირობებმა კონტრაქტებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობაზე თურქ ექსპორტიორებს ყველა სახის პასუხისმგებლობა მოუხსნა, ხოლო ქართველ იმპორტიორებს სამართლებრივი გარანტიები და ექსპორტიორების მხრიდან ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არასათანადო შესრულების თავიდან აცილებისას არავითარი მექანიზმები არ დაუტოვა.

მითითებული შეთანხმების მე-9 მუხლის „ბ“, პუნქტში ნათქვამია რომ, საკრედიტო შეთანხმება შედგენილია და მისი მართვა ინგლისის კანონმდებლობის შესაბამისად ხდება. აქედან გამომდინარე ნებისმიერი პრეტენზიისა და დავის განხილვისას მხარეები ლონდონის (ინგლისის) სასამართლოს იურისდიქციას აზრის გამოუთქმელად უნდა დაემორჩილონ.

კრედიტის თანხა განაწილებული იყო რვა უწყებასა და ორგანიზაციაზე:

- 1) პურპროდუქტების სახელმწიფო კორპორაცია — 12.9 მილიონი აშშ დოლარი;
- 2) ვაჭრობისა და მატერიალური რესურსების სამინისტრო — 8.95 მილიონი აშშ დოლარი;
- 3) შ.პ.ს. „კოკა-კოლა ბოთლერს ჯორჯია“, — 5.1 მილიონი აშშ დოლარი;
- 4) ფირმა „გევა“, — 5.0 მილიონი აშშ დოლარი;
- 5) შულავერის მატყლის გადამამუშავებელი ფაბრიკა — 2.5 მილიონი აშშ დოლარი;
- 6) სააქციო საზოგადოება „არაგვი“, — 3.3 მილიონი აშშ დოლარი;
- 7) რუსთავის ცემენტის ქარხანა — 2.7 მილიონი აშშ დოლარი;
- 8) კავშირგაბმულობის სამინისტრო — 12.16 მილიონი აშშ დოლარი.

კრედიტის გარანტიად ფინანსთა სამინისტრო გვევლინება. კრედიტის მიმღებ ორგანიზაციებსა და უწყებებს კონტრაქტი თურქ პარტნიორებთან ჰქონდათ გაფორმებული.

ცალკეული კრედიტორი ორგანიზაციების მიხედვით მდგომარეობა შემდეგნაირად გამოიყურება:

1) პურპროდუქტების კორპორაციის მიერ საქართველოში შემოტანილი იქნა 12,4 მილიონი აშშ დოლარის ღირებულების ხორბალი და ფქვილი. ორგანიზაციისათვის წინასწარ იყო ცნობილი, რომ მოსახლეობაზე პურის რეალიზაცია ნორმირებული პურის მიყიდვის წესით მოხდებოდა და, ამდენად, ვერ შესძლებდა დავალიანების დაფარვას, რაც საკრედიტო ხელშეკრულების გაფორმებისას არ გაითვალისწინეს.

იმის გათვალისწინებით რომ, სესხით შეძენილი ხორბლისაგან წარმოებული პურის რეალიზაცია მთავრობის მიერ დადგენილ მყარ ფასებში მოხდა და ბიუჯეტში შეტანილია პურის რეალიზაციიდან მიღებული აუცილებელი შენატანები, ფინანსთა სამინისტრო მიზანშეწონილად თვლის გათავისუფლდეს კორპორაცია საკრედიტო ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებებისაგან.

2) ვაჭრობისა და მატერიალური რესურსების სამინისტრომ კვების პროდუქტებისა და აუცილებელი საყოფაცხოვრებო საგნების შესაძენად 8950856 აშშ დოლარი კრედიტი გამოყო.

მიუხედავად იმისა, რომ სამინისტროს, როგორც საბიუჯეტო ორგანიზაციას ამის უფლება არ ჰქონდა, თურქეთის მხარეს უშუალოდ გაუფორმა კონტრაქტები.

სამინისტროსა და №4 მაცივარ-კომბინატს შორის გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად კომბინატი კრედიტით მიღებული საქონლის გენერალურ მფლობელად ითვლება. სასესხო დავალება, სამინისტროს ბალანსში ასახვის ნაცვლად, მაცივარ-კომბინატის ბალანსშია ასახული.

შემოტანილი საქონლიდან 1,2 მილიონი აშშ დოლარის ღირებულების გადატვირთულია ქ. როსტოვში შ.პ.ს. „ზარიას“-ს მისამართით. 1995 წლის 29 მაისს დადებული ხელშეკრულების შესაბამისად „ზარიას“-ს 25%-იანი ანგარიშსწორება საქონლის მიღებიდან სამ დღეში უნდა მოეხდინა, ხოლო დანარჩენი 75% ორი თვის განმავლობაში უნდა გადაეხადა. მაგრამ „ზარიას“-ს დღემდე არავითარი ანგარიშსწორება არ განუხორციელებია.

კონტრაქტის შესაბამისად „ზარიას“-ს მიერ მიღებული საქონლის საფასურის დროული გადახდის გარანტიად შვეიცარიული ფირმა „ალბატროს ჰოლდინგ ლიმიტედ“-ი გვევლინება. აღსაღნიშნვია, რომ კონტრაქტში არ არის მითითებული „ზარიას“-ს და „ალბატროს ჰოლდინგ ლიმიტედ“-ის სრული რეკვიზიტები. კერძოდ, არ არის მითითებული „ზარიას“-ს სრული მისამართი, მარეგისტრირებული ორგანო და რეგისტრაციის ნომერი, ხოლო გარანტის „ალბატროს ჰოლდინგ ლიმიტედ“-ის — მისამართი, მარეგისტრირებული ორგანო, რეგისტრაციის თარიღი და ნომერი, სათანადო ბანკის ცნობა ფირმის

გადახდისუნარიანობისა და სანდოობის შესახებ, წარმომადგენლის თანამდებობა, უფლება- მოსილება და გვარი. გაურკვეველია, ასეთ პირობებში როგორ მოხდა ხელშეკრულების გაფორმება.

სავაჭრო ობიექტებიდან დატაცებულია 23 ათასი აშშ დოლარის საქონელი, ვაგონის დანჯითა და მტკრევით 79,7 ათასი აშშ დოლარის ზარალია მიღებული.

გაუგებარია ის მექანიზმი, რომლის მეშვეობითაც უნდა მოხდეს ჩანოლილი საქონლის რეალიზაცია. არავითარი კონკრეტული წინადადებები ამ საკითხების შესახებ ვაჭრობისა და მატერიალური რესურსების სამინისტროს მემკვიდრეს ვაჭრობისა და საგარეო ეკონომიკურ ურთიერთობათა სამინისტროს ამ საკითხის გადასაწყვეტად არ გააჩნია.

3) შ.პ.ს. „კოკა-კოლა ბოთლერს ჯორჯია“-სადმი 4 844 998 აშშ დოლარი კრედიტია გამოყოფილი. რაც ყუთების, ბოთლებისა და საცობების შეძენას მოხმარდა.

როგორც შინაგან საქმეთა სამინისტროს 1994 წლის 19 მაისის წერილით ირკვევა, ფირმა „კოკა-კოლა ბოთლერს ჯორჯია“-ს 1993 წლის თებერვალში წლიური განაკვეთით 7%-იანი შეღავათიანი სახელმწიფო კრედიტი 2.1 მლრ. რუბლი (მაშინდელი კურსით 3.75 მილიონი აშშ დოლარი) გამოეყო. აღნიშნული კრედიტის რაციონალური გამოყენებით ფირმას შეეძლო რამოდენიმე წლის ნედლეულის მარაგის შეძენა და საკმაოდ გაფართოებული წარმოების მოწყობა. ამის გათვალისწინებით შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ფირმისათვის იგივე ნედლეულისა და მასალების შესაძენად კვლავ 5.1 მილიონი აშშ დოლარის კრედიტის გამოყოფა საფუძველ მოკლებულად მიიჩნევა.

შ.პ.ს. „კოკა-კოლა ბოთლერს ჯორჯია“-ს სხვა ორგანიზაციებთან შედარებით სტაბილური ფინანსური მდგომარეობა აქვს. აღსაღნიშნავია ის ფაქტი, რომ ორგანიზაციას, რომელსაც დიდი მასშტაბების ბრუნვა აქვს ეტაპობრივად კრედიტის დაფარვა მაინც უჭირს. თუმცა, ფინანსთა სამინისტროს მონაცემებით, „კოკა-კოლას“ მიერ მიღწეული შედეგები სესხის არდაფარვით წარმოშობილი დამატებითი ფინანსური რესურსების რეინვესტირებას ემყარება.

4) ფირმა „გევა“-ს მიერ მიღებული 4,7 მილიონი აშშ დოლარის სესხით თურქეთიდან შემოტანილია და სოფელ ნატახტარში დამონტაჟებულია ბუნებრივი სასმელი წყლის პლასმასის ბოთლებში ჩამოსასხმელი სრულციკლიანი ქარხანა. შესაძლებელია 1,5 ლიტრის ტევადობის 50 მილიონი ბოთლის ჩამოსხმა.

უხარისხო ფილტრების მოწოდების გამო, რაც მოგვიანებით იქნა აღმოჩენილი, 1995 წელს გამოშვებული მთელი პროდუქცია უვარგისი

აღმოჩნდა. კერძოდ, ქ. მოსკოვში გადატვირთული პირველი პარტიის პროდუქციაში ნალექები გამოკრისტალდა. აღნიშნულის გამო ფირმამ ძლიერი პარტნიორები დაკარგა, რის გამოც მოსკოვის ბაზარზე პოზიციები დათმო და რაც მთავარია პროდუქციას სახელი შეეღებო.

5) შულავერის მატყლის ფაბრიკამ 2.5 მილიონი აშშ დოლარის ოდენობის კრედიტი მიიღო. პროექტი და მისი შესაბამისი კონტრაქტი ითვალისწინებდა ორი ათას ტონამდე დაუმუშავებელი მატყლის შეძენას, ფაბრიკაში არსებულ სიმძლავრეებზე გადამამუშავებას და ნაწილობრივ რეალიზაციას, ხოლო მეორე ნაწილის გამოყენებით მაუდ-კამოლის კომბინატში სასაქონლო წართისა და მზა საკოსტუმესაპალტოვე ქსოვილის წარმოებას.

ფაქტიურად შემოტანილია 956 ტონა მატყლი. თურქეთმა უკიდურესად დაბალი ხარისხის, გაურეცხავი მატყლი გამოაგზავნა, რაც კონტრაქტით გათვალისწინებულ პირობებს არ შეესაბამება. ამავ მიზეზით ფაბრიკამ მეოთხე პარტია არ მიიღო და ეს უკანასკნელი მომწოდებელს უკან დაუბრუნდა.

ქ. მოსკოვის საერთაშორისო კომერციულ სასამართლოში თურქეთის მხარის მიერ შულავერის მატყლის ქარხნისათვის ზარალის ანაზღაურების მიზნით საქმე აღიძრა, რომლის 1995 წლის 1 თებერვლის №136 გადაწყვეტილებით თურქეთის მხარეს ქარხნისათვის 2.374.012 აშშ დოლარის ზარალის ანაზღაურება დაეკისრა. თურქეთის მხარემ აღნიშნული სასამართლოს გადაწყვეტილება არ გაიზიარა. საკითხი ქ. ანკარის სასამართლოში განმეორებით განიხილა, მაგრამ გადაწყვეტილება ჩვენთვის უცნობია.

6) სააქციო საზოგადოება „არაგვს“, საკრედიტო ხელშეკრულებით 3.8 მილიონი აშშ დოლარის კრედიტი, გუდაურის სამთო სათხილამურო ცენტრში 64 ადგილიანი ტურისტული კომპლექსის მშენებლობისათვის, მოსაპირკეთებელი მასალების, ინვენტარისა და სხვადასხვა მოწყობილობების შესაძენად გამოეყო.

თურქეთის მხარის მიზეზით აკრედიტივი მხოლოდ სესხის ნაწილზეა გახსნილი და 1994 წელს 1,7 მილიონი აშშ დოლარის საქონელი შემოიტანეს. სესხის დარჩენილ ნაწილზე აკრედიტივი არ გახსნილა, ფირმისაგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, რის გარეშეც შეუძლებელია მოსაპირკეთებელი სამუშაოების გაგრძელება.

7) რუსთავის ცემენტის ქარხანას გამოეყოფილი ჰქონდა 2.7 მილიონი აშშ დოლარი. შემოტანილია და დამონტაჟებულია სხვადასხვა დანიშნულების ტექნოლოგიური დანდგარები: შემფუთავ-გადამტვირთავი მოწყობილობების კომპლექტი, სატრანსპორტო მოწყობილობები, საკომპრესო დანადგარები და სხვა.

ქარხნის მიერ სესხის აღების შემდეგ პერიოდში საქართველოში განვითარებულმა მოვლენებმა (ძირითადად ენერგოკრიზისმა)

რეკონსტრუქციის შედეგად ნავარაუდები ეფექტი ვერ მოგვცა. წარმოების დონე და დავალიანებები ბიუჯეტისა და სხვა ორგანიზაციების მიმართ არ იძლევა საკრედიტო ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების შესაძლებლობას.

ქარხანაში შექმნილი ფინანსური მდგომარეობა არ იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ ქარხანამ დამატებითი ღონისძიებების გარეშე უზრუნველყოს თავისი ვალდებულებების შესრულება, როგორც თურქეთის კრედიტის ასევე ბიუჯეტის წინაშე დავალიანებების დაფარვისათვის.

წინასწარი გაანგარიშებით, წელიწადში 200-250 ათასი ტონა ცემენტის წარმოების დონის მიღწევა ქარხანას დავალიანების თანხის დაფარვის საშვალებას მისცემს. მაგრამ რუსთავის ცემენტის ქარხანას აუცილებელი საბრუნავი საშუალებების შესაძენად აუცილებელი საბრუნავი საშუალებების შესაძენად საკმარისი თანხები არ გააჩნია.

8) კავშირგაბმულობის სამინისტრომ 12.16 მილიონი აშშ დოლარი გამოყო. ამ პროექტით ქობულეთი-ფოთი-ლანჩხუთი-ქუთაისის და ბათუმი-ხელვაჩაურის ციფრული რადიო სარელეო ხაზების მშენებლობას ითვალისწინებდა.

კავშირგაბმულობისა და ფოსტის სამინისტრო კრედიტის დავალიანების არდაფარვას აბონენტთა ნაწილის მიერ კავშირგაბმულობის მომსახურების ანაზღაურების დროულად ვერ უზრუნველყოფით ხსნის. იმის გავითვალისწინებთ, რომ სამინისტრო რეალურად ამ სახის ბერკეტებს ფლობს, ეს საკითხი შესწავლის საგანი უნდა გახდეს. ხოლო, საქართველოს ექსიმბანკის 1995 წლის დასკვნით, სამინისტროს ძირითადი თანხისა და მასზე დარიცხული საპროცენტო ვალის დაფარვის საშვალება გააჩნია. აქედან გამომდინარე იგი რესტრუქტურირებას არ საჭიროებს.

საქართველოს პროკურატურაში არსებული მონაცემებით 1993 წლიდან მოყოლებული დღემდე თურქეთის კრედიტის მიმღები ორგანიზაციების დიდმა ნაწილმა უხეშად დაარღვია სესხით სარგებლობის წესი და დღესაც თავს არიდებს ძირითადი ვალისა და საპროცენტო თანხების გადახდას; რაც მძიმე ეკონომიკურ მდგომარეობაში აყენებს „საქექსიმბანკს“, რომელსაც სესხის აღებისას გარანტიად რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტრო (სახელმწიფო ბიუჯეტი) დაუდგა.

1998 წლის 4 თებერვალს რესტრუქტურისა და ბიუჯეტის ხელშეკრულებას შემდეგი პირობებით მოენერა ხელი:

კრედიტის თანხა 54,3 მილიონი აშშ დოლარი; ოთხწლიანი შეღავათიანი პერიოდი 1998-2001 წლები;

ძირითადი ვალის დაფარვის პერიოდი 2002-

2010 წლები;

საპროცენტო განაკვეთი წლიური 4%.

საჯარიმო საპროცენტო განაკვეთი წლიური 6%.

4. გერმანიის მიერ საქართველოს მხარის მიმართ გამოყოფილია რვა კრედიტი:

1) გერმანიის პირველი კრედიტი თანხით 7,0 მილიონი გერმანული მარკა, 1992 წლის 2 დეკემბერს, ქ. მაინის ფრანკფურტში საქართველოსა და გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო დანესებულებებს შორის დადებული ხელშეკრულებით წარმოიშვა. კრედიტის მიზანია: სექტორის პროგრამა-კერძო სოფლის მეურნეობა.

კრედიტის თანხა 7,0 მილიონი გერმანული მარკა (3,89 მილიონი აშშ დოლარი);

ათწლიანი შეღავათიანი პერიოდი, 1994-2004 წლები;

ძირითადი ვალის დაფარვის პერიოდი 2004-2034 წლები;

საპროცენტო განაკვეთი წლიური 0,75%.

საჯარიმო საპროცენტო განაკვეთი წლიური 3%.

2) გერმანიის მეორე კრედიტი თანხით 13 მილიონი გერმანული მარკა, 1995 წლის 23 მაისს, ქ. მაინის ფრანკფურტში საქართველოსა და გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო დანესებულებებს შორის დადებული ხელშეკრულებით წარმოიშვა, მისი მიზნობრიობა იყო გარდაბნის პიდროლექტროსადგურის სიმძლავრეების ამოქმედება და მასზე გაწეული სავალუტო დანახარჯების ანაზღაურება.

კრედიტის თანხა 13 მილიონი გერმანული მარკა (7,228 მილიონი აშშ დოლარი);

თორმეტწლიანი შეღავათიანი პერიოდი, 1996-2008 წლები;

ძირითადი ვალის დაფარვის პერიოდი 2008-2036 წლები;

საპროცენტო განაკვეთი წლიური 0,75%.

საჯარიმო საპროცენტო განაკვეთი წლიური 3%.

3) გერმანიის მესამე კრედიტი თანხით 10,9 მილიონი გერმანული მარკა, 1994 წლის 18 თებერვალს, ქ. თბილისში საქართველოს კავშირგაბმულობის სამინისტროსა და გერმანიის ფირმა „სიმენს“-ს შორის დადებული საკრედიტო ხელშეკრულებით წარმოიშვა. კრედიტის მიზნობრიობაა თბილისისა და ქუთაისში საკომუნიკაციო სატელეფონო სადგურების დამონტაჟება და ექსპლუატაციაში შეყვანა.

კრედიტის თანხა 10,9 მილიონი გერმანული მარკა (6,06 მილიონი აშშ დოლარი);

ძირითადი ვალის დაფარვის პერიოდი 1996-2007 წლები;

საპროცენტო განაკვეთი წლიური 7,25%.

4) გერმანიის მეოთხე კრედიტი თანხით 40 მილიონი გერმანული მარკა გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო დანესებულებასა (KFW) და ეროვნულ ბანკს შორის დადებული

ხელშეკრულების საფუძველზე წარმოიშვა. პროექტის რეალიზაციისათვის საჭიროა.

კრედიტის თანხა 40 მილიონი გერმანული მარკა (22,24 მილიონი აშშ დოლარი);

თორმეტწლიანი შეღავათიანი პერიოდი, 1996-2008 წლები;

ძირითადი ვალის დაფარვის პერიოდი 2008-2036 წლები;

საპროცენტო განაკვეთი წლიური 0,75%.

საჯარიმო საპროცენტო განაკვეთი წლიური 3%.

5) გერმანიის მეხუთე კრედიტი. წარმოშობილია გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო დანესებულებას (KfW) დაეროვნულ ბანკს შორის დადებული ხელშეკრულების საფუძველზე. პროგრამის რეალიზაციისათვის საჭიროა კრედიტის მიზნობრიობაა ვარდაბნის მეცხრე ბლოკის აღდგენა. სახელმწიფო კრედიტად 1995 წლის 29 მაისს ქ. თბილისში შემდეგი პირობებით გაფორმდა:

კრედიტის თანხა 20 მილიონი გერმანული მარკა (11,12 მილიონი აშშ დოლარი);

თერთმეტწლიანი შეღავათიანი პერიოდი, 1996-2007 წლები;

ძირითადი ვალის დაფარვის პერიოდი 2007-2036 წლები;

საპროცენტო განაკვეთი წლიური 0,75%.

საჯარიმო საპროცენტო განაკვეთი წლიური 3%.

6) გერმანიის მეექვსე კრედიტი. წარმოშობილია გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო დანესებულებას (KfW) დაეროვნულ ბანკს შორის დადებული ხელშეკრულების საფუძველზე. პროგრამის რეალიზაციისათვის საჭიროა კრედიტის მიზნობრიობაა ვარდაბნის მეცხრე ბლოკის აღდგენა. სახელმწიფო კრედიტად 1996 წლის 26 ივნისს ქ. თბილისში შემდეგი პირობებით გაფორმდა:

კრედიტის თანხა 10 მილიონი გერმანული მარკა (5,56 მილიონი აშშ დოლარი);

თერთმეტწლიანი შეღავათიანი პერიოდი, 1996-2007 წლები;

ძირითადი ვალის დაფარვის პერიოდი 2007-2036 წლები;

საპროცენტო განაკვეთი წლიური 0,75%.

საჯარიმო საპროცენტო განაკვეთი წლიური 3%.

7) გერმანიის მეშვიდე კრედიტი (მიკროკრედიტბანკი). წარმოშობილია გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო დანესებულების (KfW) და საქართველოს მთავრობის მიერ დადებული ხელშეკრულების საფუძველზე. კრედიტის მიზანია კერძო სექტორის განვითარება. სახელმწიფო კრედიტად 1998 წლის 6 მარტს შემდეგი პირობებით გაფორმდა:

კრედიტის თანხა 5 მილიონი გერმანული მარკა (2,71 მილიონი აშშ დოლარი);

ათწლიანი შეღავათიანი პერიოდი, 1998-2008

წლები;

ძირითადი ვალის დაფარვის პერიოდი 2008-2038 წლები;

საპროცენტო განაკვეთი წლიური 0,75%.

საჯარიმო საპროცენტო განაკვეთი 0%.

8) გერმანიის მეერვე კრედიტი (გამანაწილებელი ქსელების რეაბილიტაცია). წარმოშობილია გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო დანესებულების (KfW) და საქართველოს მთავრობის მიერ დადებული ხელშეკრულების საფუძველზე. კრედიტის მიზანია დასავლეთ საქართველოში მდინარე რიონზე განლაგებული ჰესების, განსაკუთრებით ვარციხის კასკადის, მიერ გამოიშვებული ენერგიის თბილისისა და მისი შემოგარენის მომხმარებლებისათვის მიწოდებაზე. სახელმწიფო კრედიტად 1998 წლის 28 აპრილს შემდეგი პირობებით გაფორმდა:

კრედიტის თანხა 14,5 მილიონი გერმანული მარკა (7,87 მილიონი აშშ დოლარი);

ათწლიანი შეღავათიანი პერიოდი, 1998-2008 წლები;

ძირითადი ვალის დაფარვის პერიოდი 2008-2038 წლები;

საპროცენტო განაკვეთი წლიური 0,75%.

საჯარიმო საპროცენტო განაკვეთი 0%.

უნდა აღინიშნოს, რომ გერმანიის მესამე კრედიტი მიღებულია ფირმა „სიმენსი“-საგან, რის გამოც კომერციული სახისაა და ამიტომ ცუდი პირობები და დაბალი გრანტ-ელემენტი გააჩნია. ხოლო გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო დანესებულების მიერ გაცემულ სხვა კრედიტებს საკმაოდ შეღავათიანი პირობები გააჩნიათ და საქართველოს მიერ მიღებულ საერთაშორისო კრედიტებს შორის ყველაზე მაღალი გრანტ-ელემენტი აქვთ.

5. ამერიკის შეერთებული შტატების მიერ საქართველოსადმი გამოყოფილია სამი კრედიტი საერთო თანხით 37,9 მილიონი აშშ დოლარი.

1) აშშ-ს პირველი (ხორბლის) კრედიტი თანხით 20 მილიონი აშშ დოლარი, წარმოიშვა 1997 წელს დადებული საკრედიტო ხელშეკრულებით. კრედიტის მიზანია: სასურსათო უზრუნველყოფა, სოფლის მეურნეობის განვითარებისა და იქვე კერძო ბიზნესის ხელშეწყობა.

კრედიტის თანხა 20 მილიონი აშშ დოლარი; ხუთწლიანი შეღავათიანი პერიოდი, 1997-2002 წლები;

ძირითადი ვალის დაფარვის პერიოდი 2002-2027 წლები;

საპროცენტო განაკვეთი წლიური 1,5% 2001 წლამდე, ხოლო შემდეგ 2,0%.

2) აშშ-ს მეორე (ხორბლის) კრედიტი თანხით 15 მილიონი აშშ დოლარი, წარმოიშვა 1998 წლის 27 თებერვალს დადებული საკრედიტო ხელშეკრულებით. კრედიტის მიზანია: სასურსათო უზრუნველყოფა, სოფლის მეურნეობის

განვითარებისა და სოფლად კერძო ბიზნესის ხელშეწყობა.

კრედიტის თანხა 15,0 მილიონი აშშ დოლარი; ხუთწლიანი შეღავათიანი პერიოდი, 1998-2003 წლები;

ძირითადი ვალის დაფარვის პერიოდი 2003-2028 წლები;

საპროცენტო განაკვეთი წლიური 1,5% 2002 წლამდე, ხოლო შემდეგ 2,0%.

3) აშშ-ს მესამე (საჭაერო მოძრაობის კონტროლი) კრედიტი თანხით 2,9 მილიონი აშშ დოლარი, წარმოიშვა 1998 წლის 31 ივლისს დადებული საკრედიტო ხელშეკრულებით.

კრედიტის მიზანია:

- საჭაერო ნავიგაციის თანამედროვე კონტროლისა და საკომუნიკაციო სისტემის აშშ-ში შესყიდვა, საქართველოში შემოტანა და მათი ეტაპზე დამონტაჟება;

- ამასთან დაკავშირებული ექსპორტ-იმპორტის რისკის თანხის 100%-ის დაფარვა.

ხელშეკრულება შემდეგი პირობებით დაიდო:

კრედიტის თანხა 2,9 მილიონი აშშ დოლარი;

ორწლიანი შეღავათიანი პერიოდი, 1998-2000 წლები;

ძირითადი ვალის დაფარვის პერიოდი 2001-2007 წლები;

საპროცენტო განაკვეთი წლიური Libor+0,25%;

საჯარიმო საპროცენტო განაკვეთი Libor+1,25%.

აშშ-ს პირველი სასაქონლო კრედიტი ქვეყნის სასურსათო უზრუნველყოფას უნდა მოხმარებოდა, სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს სახაზინო საწარმოს „სახელმწიფო მარეგულირებელ საბჭოს“ ყოველ ტონა რეალიზებულ ხორბალზე უნდა დარჩენოდა 37,8 აშშ დოლარის ექვივალენტი ეროვნულ ვალუტაში (რომელიც სხვადასხვა პერიოდებში იცვლებოდა ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით). ხორბლის ჩატვირთვა-გადმოტვირთვის, გადასახადების გადახდისა და სხვა ხარჯების ანაზღაურების შემდეგ, სხვაობა სახაზინო დეპარტამენტის სპეცანგარიშზე უნდა ჩარიცხულიყო.

ფაქტიურად, „თბილისის მარცვლეულისა და ნავთობპროდუქტების საერთაშორისო ბირჟიდან“, და „სახელმწიფო მარეგულირებელი საბჭოდან“, მიღებული ცნობებით ირკვევა, რომ ქვეყანაში 108,3 ათასი ტონა ხორბალი იქნა იქნა შემოტანილი, საიდანაც 1997 წელს 7683 ტონა იქნა რეალიზებული და მისმა სარეალიზაციო ღირებულებამ 2272,7 ათასი ლარი შეადგინა. აქედან, ხაზინის სპეცანგარიშზე უნდა ჩარიცხულიყო 1892,1 ათასი ლარი, ფაქტიურად კი 1455 ათასი ლარი ანუ 437,1 ათასი ლარით ნაკლები ჩაირიცხა. აქედან 122,1 ათასი ლარი, ხელშეკრულების პირობების დარღვევით, ზედმეტად დაიტოვა „სახელმწიფო მარეგულირებელმა საბჭომ“, ხოლო 315 ათასი

ლარი, ივერთბანკიდან, (სადაც მარეგულირებელ საბჭოს ერთ-ერთი ანგარიშსწორების ანგარიში ჰქონდა გახსნილი) არ ჩამოირიცხა.

ანალოგიურად, 1998 წელს ბირჟის მეშვეობით 13640,5 ათასი ლარის ხორბალი იქნა რეალიზებული, საიდანაც ხაზინის სპეციალურ ანგარიშზე უნდა ჩარიცხულიყო 11176,1 ათასი ლარი. ფაქტიურად ჩაირიცხა 9614,3 ათასი ლარი, ანუ 1561,8 ათასი ლარით ნაკლები. მათ შორის „სახელმწიფო მარეგულირებელმა საბჭომ“, ისევ ზედმეტად დაიტოვა 622,4 ათასი ლარი, ხოლო „ივერთბანკმა“, და „თბილისი ტრეიდიგმა“, ხაზინის სპეცანგარიშზე შესაბამისად 494,7 ათასი ლარი და 444,7 ათასი ლარი არ გადაირიცხეს.

საყურადღებოა ისიც, რომ „ივერთბანკის“, მიერ ხაზინის სპეცანგარიშზე 1997 წლის კუთვნილი თანხების ჩაურციხაობის პირობებში, რაც ცნობილი იყო „სახელმწიფო მარეგულირებელი საბჭოსათვის“, ამ უკანასკნელმა 1998 წელსაც გააგრძელა ამ ბანკის საკორესპოდენტო ანგარიშზე თანხების მიმართვა, რასაც შედეგად ხაზინის სპეცანგარიშზე თანხების ჩაურციხაობა მოყვა.

ანალოგიურად, „სახელმწიფო მარეგულირებელ საბჭოს“, მომსახურე „თბილისი ტრეიდიგის“, მიერ 1998 წლის ივნისის თვეში ხაზინის სპეცანგარიშზე თანხების ჩაურციხაობის პირობებში, საბჭომ იმავე წლის ივლისის, აგვისტოს და ნოემბრის თვეებში კვლავ გააგრძელა საბანკო ოპერაციების წარმოება აღნიშნული ბანკის მეშვეობით. რითაც ხაზინის სპეცანგარიშს დააკლდა 444,7 ათასი ლარი.

როგორც უკვე აღინიშნა, 1998 წელს ბირჟის მეშვეობით 13640 ათასი ლარის ხორბალი იქნა რეალიზებული. აქედან 7380,8 ტონა, 1888 ათასი ლარის ღირებულების, გალის ლტოლვილების პურით მომარაგებისათვის გაიგზავნა და მისი ღირებულება პრეზიდენტის სხვადასხვა განკარგულებების საფუძველზე მისი სვე ფონდიდან უნდა ანაზღაურებულიყო. ამასთან, 1888 ათასი ლარიდან ხაზინის სპეცანგარიშზე და მარეგულირებელი საბჭოს ანგარიშზე უნდა ჩარიცხულიყო შესაბამისად 1507,0 ათასი ლარი და 381,0 ათასი ლარი. ფაქტიურად კი ხაზინის სპეცანგარიშზე მხოლოდ 99,8 ათასი ლარი ჩაირიცხა, ანუ სპეცანგარიშს 1407,2 ათასი ლარი დააკლდა, ხოლო განკარგულების გამოცემის მომენტისათვის პრეზიდენტის ფონდიდან შესყიდულ ხორბალზე „სახელმწიფო მარეგულირებელ საბჭოს“, ბირჟის მეშვეობით რეალიზებული ხორბლის რეალიზაციიდან ამონაგები თანხების სპეცანგარიშზე ჩაურციხავი 622,4 ათასი ლარი 241,4 ათას ლარამდე შემცირდა.

სულ 1998 წელს, პრეზიდენტის განკარგულებებისა და ჩვეულებრივი გარიგებებით ხორბლის რეალიზაციიდან ხაზინის სპეცანგარიშს 2588 ათასი ლარი, ხოლო 1997-1998 წლებში 3025,1 ათასი ლარი დააკლდა. მათ შორის

„სახელმწიფო მარეგულირებელმა საბჭომ“, 363,5 ათასი ლარი, „ივერტბანკმა“, - 809,7 ათასი ლარი, „თბილისტრეზორმა“, 444,7 ათასი ლარი არ გადარიცხეს, ხოლო პრეზიდენტის ფონდიდან თანხების აუნაზღაურებლობამ კი 1407,2 ათასი ლარი შეადგინა.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ფინანსთა სამინისტროში მოპოვებული მასალებით „სახელმწიფო მარეგულირებელ საბჭოს“, ჩვეულებრივი გარიგებებით რეალიზებულად 66 ათასი ტონა ხორბალი აქვს ნაჩვენები, ბირჟის მიერ მონოდებული ცნობებით კი რეალიზებულა 64,5 ათასი ტონა; სხვაობა შეადგენს 1,5 ათას ტონას, რომლის მინიმალური საბაზრო ღირებულება დაახლოებით 400 ათასი ლარია. ზემოაღნიშნული სხვაობების გამო ამჟამად მათი დაზუსტების მიზნით შემომწებები მიმდინარეობს.

უნდა აღინიშნოს, რომ თუ 1997 წელს ხორბლის რეალიზაციიდან სპეცანგარიშზე ჩარიცხული 1455 ათასი ლარი ბიუჯეტის ხარჯების ანგარიშზე გადაიტანეს, 1998 წელს მათი ხარჯვა, პრეზიდენტის განკარგულების საფუძველზე, უშუალოდ სპეცანგარიშიდან ბიუჯეტის შემოსავლებში მათი აღრიცხვის გარეშე განხორციელდა. მათ შორის, 8470 ათასი ლარი „საქენერგოსა“, და მისი ორგანიზაციებზე ძირითადად მაზუთის შეძენისა და „თბილსრესის“, რეაბილიტაციის სამუშაოებზე; აგრეთვე, „გაერთიანებული ქართული ბანკის“, მიერ ამ ორგანიზაციებისათვის გაცემულ სესხებზე ფინანსთა სამინისტროს გარანტიებით ნაკისრი ვალდებულებების გასასტუმრებლად გაცემული. ამასთან, „საქენერგოზე“, თანხები სესხის სახით გაიცა, ხოლო შესაბამისი ხელშეკრულებები საგარეო ვალის დეპარტამენტში აღრიცხული არ არის. ასეთ პირობებში დეპარტამენტი კონტროლს ვალის დაფარვაზე ვერ აწესებს. სესხის გაფორმებისა და მისი დაფარვის შესახებ დოკუმენტაციები სამინისტროს სხვადასხვა დეპარტამენტშია თავმოყრილი.

უნდა აღინიშნოს, რომ სახაზინო დეპარტამენტის მიერ კომპანია „საქენერგოზე“, გაგზავნილი წერილების შესაბამისად დეპარტამენტმა ლტოლვილებისა და პენსიონერების მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის ღირებულება კომპანიის სესხის ნაწილის დაფარვად ჩათვალა, მაგრამ ბუღალტრული აღიქმის უქონლობის გამო უაღრესად გართულებულია მათ შორის ურთიერთვალდებულებების, შესაბამისად, წარმოდგენილი ანგარიშის სისრულის, სისწორის და თანხების მიზნოვრივად გამოყენების დადგენა. მით უმეტეს, რომ 1998 წლის ბიუჯეტით სესხების გაცემა გათვალისწინებული არ იყო და ასეთ პირობებში იგი არც ანგარიშშია ნაჩვენები.

საყურადღებოა ისიც, რომ ხორბლის რეალიზაციიდან გაცემული საგარანტიო ვალდებულებების და სესხების ჩათვლის წესით

დაფარვით საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ, ფაქტიურად, მოახდინა სპეცანგარიშზე შემოსული თანხების ნაწილის ბიუჯეტის შემოსავლებთან კონსოლიდაცია, მაგრამ რა თანხით, დღევანდელი აღრიცხვის პირობებში ვერ დგინდება.

საყურადღებოა, რომ

საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 28 სექტემბრის №661 ბრძანებულების მიხედვით 351,9 ათასი ლარი პრეზიდენტის ფონდიდან ამერიკის შეერთებულ შტატებში საქართველოს საელჩოს დესპანის გ. მახარაძის მიერ მოხდენილი ავტოავარიის შედეგად დაღუპული ჯ. ვოლტრეკის ოჯახის კომპენსაციისათვის უნდა გახარჯულიყო. ფაქტიურად, თანხა ხორბლის რეალიზაციიდან სპეცანგარიშზე მიღებული შემოსავლებიდან გაიცა. ანგარიშში კი იგი არსად არ ფიგურირებს.

ასევე, 228 ათასი ლარი ჩაის რეაბილიტაციის ღონისძიებებისათვის საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 25 აპრილის №266 ბრძანებულების საფუძველზე სპეცანგარიშიდანაა გაცემული. აღნიშნული თანხაც გაცემულია სესხის სახით და იგი ანგარიშში არსად არ არის ნაჩვენები.

ანალოგიურად, ამავე ანგარიშიდანაა დაფარული „საქართველოს ბანკისადმი“, თავდაცვის სამინისტროს დავალიანება 660 ათასი ლარი, რაზედაც სახაზინო დეპარტამენტს თავდების ხელშეკრულება ჰქონდა გაცემული. ამასთან, აღნიშნული თანხა ნაჩვენები უნდა იყოს თავდაცვის სამინისტროს დაფინანსებაში. ე.ი. ხორბლის რეალიზაციიდან შემოსული თანხების ანგარიშიდან გაცემული თანხა ამ შემთხვევაში აღრიცხულია საბიუჯეტო ხარჯებში. ვფიქრობთ, ხორბლის რეალიზაციის თანხების ბიუჯეტში აღრიცხვასთან ერთად ცალკე უნდა აღირიცხოს გადახდილი პროცენტები.

6. იაპონიის საზღვარგარეთთან ეკონომიკური თანამშრომლობის ფონდის (OECF) (ენერგეტიკის რეაბილიტაცია) კრედიტი 1998 წლის 19 იანვარს დადებული საკრედიტო ხელშეკრულებით წარმოიშვა;

კრედიტის მიზანია: აღადგინოს ელექტროენერგიის გამომუშავება და არსებული ელექტროსადგურების ელექტროენერგიით სტაბილური მომარაგება, სადისპეჩერო ცენტრებისა და საკომუნიკაციო სისტემების რეაბილიტაციის გზით შესაძლებელი გახადოს.

ხელშეკრულების პირობები:

კრედიტის თანხა 5,33 მილიარდი იაპონური იენი (44,77 მილიონი აშშ დოლარი);

ათწლიანი შეღავათიანი პერიოდი, 1998-2007 წლები;

ძირითადი ვალის დაფარვის პერიოდი 2008-2027 წლები;

საპროცენტო განაკვეთი წლიური 2,3%;

საჯარიმო საპროცენტო განაკვეთი 4,3%.

საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებიდან საქართველოს კრედიტის სახით მიღებული აქვს 868,48 მილიონი აშშ დოლარი.

1. საერთაშორისო სავალუტო ფონდის

1994 წლის 20 დეკემბერს (27,75 მილიონი SDR) და 1995 წლის 3 ივლისს (27,75 მილიონი SDR) მიღეს.

საქართველოს საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციიდან კრედიტის სახით 868,48 მილიონ აშშ დოლარი ანუ მიღებული

კრედიტის თანხა 55,5 მილიონი SDR (75,32 მილიონი აშშ დოლარი);

მიერ გამოყოფილია სამი კრედიტი. ეროვნული ბანკი საერთაშორისო სავალუტო ფონდის კრედიტების ეტაპობრივ შესყიდვას ახორციელებს, ამის გამო დღეისათვის შემდეგი სიტუაცია გვაქვს:

1) საერთაშორისო სავალუტო ფონდის პირველი კრედიტი (სისტემური ტრანსფორმაციის მხარდაჭერა) თანხით 55,5

შელავათიანი პერიოდი 4,5 წელი; ძირითადი ვალის დაფარვის პერიოდი 5,5 წელი;

არაფიქსირებული საპროცენტო განაკვეთი Ordinary Charges;

2) საერთაშორისო სავალუტო ფონდის მეორე კრედიტი თანხით 22,2 მილიონი SDR (30,13

საერთაშორისო სავალუტო ფონდის კრედიტები

ცხრილი №2

№	კრედიტის დასახელება	კრედიტის თანხა		საპროცენტო განაკვეთი	შელავათიანი პერიოდი	წილი მთლიან თანხაში	კრედიტის ხანგრძლივობა	კრედიტის მიღების წელი
		მილიონი SDR	მილიონი აშშ დოლარი					
1	სისტემური ტრანსფორმაციის მხარდაჭერა (STF)	55.5	75.32			25.64%		
	STF-I	27.75	37.66	Ordinary Charges	4,5 წელი	12.82%	10 წელი	1994
	STF-II	27.75	37.66		4,5 წელი	12.82%	10 წელი	1995
2	სარეზერვო კრედიტი (Stand-by)	22.2	30.13			10.26%		
	Stand-by -I	5.55	7.53	Ordinary Charges	3,25 წელი	2.56%	5 წელი	1995
	Stand-by -II	16.65	22.60		3,25 წელი	7.69%	5 წელი	1995
3	სტრუქტურული გარდაქმნების გაფართოებული მექანიზმი (ESAF)	138.75	188.31			64.10%		
	ESAF-I	27.75	37.66	0.50%	5,5 წელი	12.82%	10 წელი	1996
	ESAF - II	27.75	37.66	0.50%	5,5 წელი	12.82%	10 წელი	1996
	ESAF - III	27.75	37.66	0.50%	5,5 წელი	12.82%	10 წელი	1997
	ESAF - IV	27.75	37.66	0.50%	5,5 წელი	12.82%	10 წელი	1997
	ESAF - V	27.75	37.66	0.50%	5,5 წელი	12.82%	10 წელი	1998
სულ		216.5	293.76					

1999 წლის 21 აპრილის ეროვნული ბანკის მონაცემით

1 SDR= 1.35716 USD

მილიონი SDR (75,32 მილიონი აშშ დოლარი) საქართველოსა და საერთაშორისო სავალუტო ფონდს შორის დადებული ხელშეკრულების საფუძველზე წარმოიშვა, რომელიც ორ ტრანშად

მილიონი აშშ დოლარი) არის „Stand-by“-ის კრედიტი (სარეზერვო კრედიტი). ეს კრედიტი მიღებულ იქნა ასევე ორ ტრანშად 1995 წლის 3 ივლისს (5,55 მილიონი SDR) და 4 ნოემბერს (16,65

მილიონი SDR).

კრედიტის თანხა 22,2 მილიონი SDR (30,13 მილიონი აშშ დოლარი);

შელავათიანი პერიოდი 3,25 წელი;

ძირითადი ვალის დაფარვის პერიოდი 1,75 წელი;

არაფიქსირებული საპროცენტო განაკვეთი Ordinary Charges;

3) საერთაშორისო სავალუტო ფონდის მესამე კრედიტი (სტრუქტურული გარდაქმნების გაფართოებული მექანიზმი) თანხით 138,75 მილიონი SDR (188,31 მილიონი აშშ დოლარი) წარმოიშვა საქართველოსა და საერთაშორისო სავალუტო ფონდს შორის დადებული ხელშეკრულების საფუძველზე („ESAF“). კრედიტი გამიზნულია სტრუქტურული გარდაქმნებისათვის. კრედიტი მიღებულ იქნა ხუთ ტრანშად 1996 წლის 12 მარტს და 15 ნოემბერს, 1997 წლის 4 აპრილს და 15 ნოემბერს, 1998 წლის 11 აგვისტოს. თითოეული ტრანში 27,75 მილიონი SDR-ის ტოლი იყო.

კრედიტის თანხა 138,75 მილიონი SDR (188,31 მილიონი აშშ დოლარი);

შელავათიანი პერიოდი 5,5 წელი;

ძირითადი ვალის დაფარვის პერიოდი 4,5 წელი;

საპროცენტო განაკვეთი წლიური 0,5%;

2. მსოფლიო ბანკიდან საქართველოს ოცი კრედიტი აქვს მიღებული საერთო თანხით 268,77 მილიონი SDR (364,77 მილიონი აშშ დოლარი). ათვისებული თანხა 205,52 მილიონი SDR-ია (278,93 მილიონი აშშ დოლარი).

მსოფლიოს რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკისა და საქართველოს რესპუბლიკის ურთიერთობები 1992 წელს დაიწყო, როდესაც საქართველო ამ ორგანიზაციაში გაწევრიანდა. სამწუხაროდ, 1994 წლამდე პოლიტიკური და სხვა მიზეზებით ვერ მოხერხდა პროექტების განხორციელების დაწყება. 1994 წლის მაისიდან, როდესაც მსოფლიო ბანკმა საქართველოს საინსტიტუციო მშენებლობის პროექტის დასაფინანსებლად პირველი კრედიტი გამოუყო, მათი ურთიერთობები მზარდი ინტენსივობით ვითარდება. დღეისათვის განხორციელების სხვადასხვა ეტაპზეა მსოფლიო ბანკის 20 პროექტი (იხ. დანართი №2), რომლებიც თითქმის ყველა სფეროში ხორციელდება.

1) მსოფლიო ბანკის პირველი კრედიტი (ინსტიტუციონალური განვითარება) თანხით 7,3 მილიონი SDR 1994 წლის 11 ივლისს საქართველოსა და მსოფლიო ბანკის

საერთაშორისო განვითარების ასოციაციას შორის დადებული ხელშეკრულებით წარმოიშვა. კრედიტის მიზნობრიობა საინსტიტუციო პროექტის განხორციელება იყო.

კრედიტის თანხა 7,3 მილიონი SDR (9,9 მილიონი აშშ დოლარი);

ათვისებული თანხა 7,297 მილიონი SDR (9,9 მილიონი აშშ დოლარი);

ათწლიანი შელავათიანი პერიოდი, 1994-2004 წლები;

ძირითადი ვალის დაფარვის პერიოდი 2004-2029 წლები;

საპროცენტო განაკვეთი წლიური 0,75%.

2) მსოფლიო ბანკის მეორე კრედიტი (მუნიციპალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია) თანხით 12,5 მილიონი SDR 1994 წლის 10 ნოემბერს საქართველოსა და მსოფლიო ბანკის საერთაშორისო განვითარების ასოციაციას შორის დადებული საკრედიტო ხელშეკრულებით წარმოიშვა. კრედიტის მიზანი მუნიციპალური ინფრასტრუქტურის პროექტის განხორციელებაა.

კრედიტის თანხა 12,5 მილიონი SDR (16,96 მილიონი აშშ დოლარი);

ათვისებული თანხა 11,3 მილიონი SDR (15,33 მილიონი აშშ დოლარი);

ათწლიანი შელავათიანი პერიოდი, 1995-2005 წლები;

ძირითადი ვალის დაფარვის პერიოდი 2005-2029 წლები;

საპროცენტო განაკვეთი წლიური 0,75%.

3) მსოფლიო ბანკის მესამე კრედიტი (რეაბილიტაცია) თანხით 51 მილიონი SDR 1995 წლის 31 მარტს საქართველოსა და მსოფლიო ბანკის საერთაშორისო განვითარების ასოციაციას შორის დადებული საკრედიტო ხელშეკრულებით წარმოიშვა. კრედიტის მიზნობრიობაა სარეაბილიტაციო პროექტის განხორციელება. დღეისათვის კრედიტი დახურულია.

კრედიტის თანხა 51 მილიონი SDR (69,22 მილიონი აშშ დოლარი);

ათვისებული თანხა 51 მილიონი SDR (69,22 მილიონი აშშ დოლარი);

ათწლიანი შელავათიანი პერიოდი, 1995-2005 წლები;

ძირითადი ვალის დაფარვის პერიოდი 2005-2030 წლები;

საპროცენტო განაკვეთი წლიური 0,75%.

4) მსოფლიო ბანკის მეოთხე კრედიტი (წყალმომარაგებისა და სანიტაციის პროექტი) 1995 წლის 1 აპრილს ვაშინგტონში მსოფლიო ბანკის საერთაშორისო განვითარების

ასოციაციასა და საქართველოს შორის გაფორმდა. კრედიტის თანხა 1,2 მილიონი აშშ დოლარს შეადგენს და მიზნად თბილისის წყალმომარაგების გაუმჯობესებას ისახავს.

საერთაშორისო დღესდღეობით მსოფლიო ბანკის 20 პროექტი, საერთო თანხით 364,77 მილიონი აშშ დოლარი, აქვს მიღებული

კრედიტის თანხა 1,2 მილიონი აშშ

დოლარი;

ათვისებული თანხა 0,425 მილიონი აშშ დოლარი;

ათწლიანი შეღავათიანი პერიოდი, 1995-2005 წლები;

ძირითადი ვალის დაფარვის პერიოდი 2005-2030 წლები;

საპროცენტო განაკვეთი წლიური 0,75%.

5) მსოფლიო ბანკის მეხუთე კრედიტი (ტრანსპორტის რეაბილიტაცია) გაფორმდა 1996 წლის 31 იანვარს ვაშინგტონში მსოფლიო ბანკის საერთაშორისო განვითარების ასოციაციასა და საქართველოს შორის. კრედიტის თანხა 8,1 მილიონ SDR-ს შეადგენს და მიზნად ტრანსპორტის სექტორის სტრუქტურის რეორგანიზაციას, ტრანსპორტის ქსელის ყველაზე მნიშვნელოვანი ობიექტების შეკეთებასა და ტექნიკურ მომსახურებას ისახავს. კრედიტს ტრანსპორტის რეფორმისა და რეაბილიტაციის ცენტრი ახორციელებს, ხოლო მომხმარებლებია სახელმწიფო კონცერნი „ავტოგზა“, დარკინიგზის დეპარტამენტი.

კრედიტის თანხა 8,1 მილიონი SDR (10,99 მილიონი აშშ დოლარი);

ათვისებული თანხა 8,0 მილიონი SDR (10,86 მილიონი აშშ დოლარი);

ათწლიანი შეღავათიანი პერიოდი, 1996-2006 წლები;

ძირითადი ვალის დაფარვის პერიოდი 2006-2031 წლები;

საპროცენტო განაკვეთი წლიური 0,75%.

6) მსოფლიო ბანკის მეექვსე კრედიტი (სტრუქტურული გარდაქმნების კრედიტი 1 (SAC-1)) გაფორმდა 1996 წლის 26 აპრილს ვაშინგტონში მსოფლიო ბანკის საერთაშორისო განვითარების ასოციაციასა და საქართველოს შორის. კრედიტი გამიზნულია სტრუქტურული გარდაქმნების განსახორციელებლად.

კრედიტის თანხა 41,3 მილიონი SDR (56,05 მილიონი აშშ დოლარი);

ათვისებული თანხა 41,3 მილიონი SDR (56,05 მილიონი აშშ დოლარი);

ათწლიანი შეღავათიანი პერიოდი, 1996-2006 წლები;

ძირითადი ვალის დაფარვის პერიოდი 2006-2031 წლები;

საპროცენტო განაკვეთი წლიური 0,75%.

7) მსოფლიო ბანკის მეშვიდე კრედიტი (სტრუქტურული გარდაქმნების ტექნიკური დახმარების 1 (SATAC-1)) გაფორმდა 1996 წლის 26 აპრილს ვაშინგტონში მსოფლიო ბანკის საერთაშორისო განვითარების ასოციაციასა და საქართველოს შორის. კრედიტის მიზნობრიობაა სტრუქტურული გარდაქმნების პროექტის განხორციელება (SATAC-1).

კრედიტის თანხა 3,3 მილიონი SDR (4,47 მილიონი აშშ დოლარი);

ათვისებული თანხა 3,266 მილიონი SDR (4,43

მილიონი აშშ დოლარი);

ათწლიანი შეღავათიანი პერიოდი, 1996-2006 წლები;

ძირითადი ვალის დაფარვის პერიოდი 2006-2031 წლები;

საპროცენტო განაკვეთი წლიური 0,75%.

8) მსოფლიო ბანკის მერვე კრედიტი (ჯანდაცვის რეაბილიტაცია) გაფორმდა 1996 წლის 9 მაისს ვაშინგტონში მსოფლიო ბანკის საერთაშორისო განვითარების ასოციაციასა და საქართველოს შორის. ხელშეკრულება ძალაში შევიდა 07.08.1996 წელს საკრედიტო თანხა 9,7 მილიონ SDR-ს შეადგენს, ხოლო კრედიტის მიზნობრიობაა:

- ჯანდაცვის სისტემის რეორგანიზაცია;

- სამედიცინო დაწესებულებებისა და აპარატურის რეაბილიტაცია;

- ჯანდაცვის საფინანსო სისტემის მოდერნიზაცია;

- ჯანდაცვისათვის კადრების მომზადება;

- პროექტის ადმინისტრაცია.

პროექტს ახორციელებს ჯანდაცვის პროექტის საკოორდინაციო განყოფილება.

კრედიტის თანხა 9,7 მილიონი SDR (13,16 მილიონი აშშ დოლარი);

ათვისებული თანხა 2,3 მილიონი SDR (3,12 მილიონი აშშ დოლარი);

ათწლიანი შეღავათიანი პერიოდი, 1996-2006 წლები;

ძირითადი ვალის დაფარვის პერიოდი 2006-2031 წლები;

საპროცენტო განაკვეთი წლიური 0,75%.

9) მსოფლიო ბანკის მეცხრე კრედიტი (ნავთობის საინსტიტუციო განვითარება) გაფორმდა 1997 წლის 14 აპრილს მსოფლიო ბანკსა და საქართველოს შორის. კრედიტი ითვალისწინებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, საკონსულტაციო მომსახურებასა და სხვა სამუშაოებს.

კრედიტის თანხა 1,0 მილიონი SDR (1,36 მილიონი აშშ დოლარი);

ათვისებული თანხა 0,575 მილიონი SDR (0,78 მილიონი აშშ დოლარი);

ათწლიანი შეღავათიანი პერიოდი, 1997-2007 წლები;

ძირითადი ვალის დაფარვის პერიოდი 2007-2031 წლები;

საპროცენტო განაკვეთი წლიური 0,75%.

10) მსოფლიო ბანკის მეათე კრედიტი (სოფლის მეურნეობის რეაბილიტაცია). საქართველოსა და საერთაშორისო განვითარების ასოციაციას შორის სოფლის მეურნეობის განვითარების პროექტზე საკრედიტო ხელშეკრულებას 1997 წლის 14 აპრილს მოეწერა ხელი.

კრედიტის თანხა 10,4 მილიონი SDR (14,11 მილიონი აშშ დოლარი);

ათვისებული თანხა 4,84 მილიონი SDR (6,57

მილიონი აშშ დოლარი);

ათწლიანი შეღავათიანი პერიოდი, 1997-2007 წლები;

ძირითადი ვალის დაფარვის პერიოდი 2007-2032 წლები;

საპროცენტო განაკვეთი წლიური 0,75%;

გადასახადი გამოუყენებელ თანხაზე დაწესებულია ასოციაციის მიერ დაარღვევადება 0,5%.

11) მსოფლიო ბანკის მეთერთმეტე კრედიტი (ელექტროენერგეტიკის რეაბილიტაცია). გაფორმდა 1997 წლის 19 ივნისს საქართველოსა და საერთაშორისო განვითარების ასოციაციას შორის. კრედიტის თანხაა 37,7 მილიონი SDR-ი.

გამოყენების მიზანი: თავის მხრივ საქართველოს მთავრობა (ფინანსთა სამინისტროს სახით) აღნიშნული კრედიტს ქვესესხის სახით 20 წლიანი ვადით, 3 წლიანი შეღავათიანი პერიოდით და 2,5% წლიური საპროცენტო გადასახადით თბილისს გადასცემს.

— აღნიშნული თანხიდან 15 მილიონი აშშ დოლარი განკუთვნილია თხევადი გაზის შესასყიდად. აქედან 10 მილიონი აშშ დოლარი გასულ ზამთარს დაიხარჯა, ხოლო დარჩენილი 5 მილიონი აშშ დოლარით მომავალი ზამთრისათვის სათბობის მარაგის შექმნაა ნაგარაუდფი. რაც შეეხება კრედიტის დარჩენილ თანხებს (37,3 მილიონი აშშ დოლარი), ისინი უშუალოდ ენერგოსისტემის (კერძოდ, გარდაბნის ელექტროსადგურის მე-10 ენერგობლოკის) რეაბილიტაციისათვისაა განკუთვნილი.

— პროექტის 30 მილიონი გერმანული მარკის ოდენობით გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკი (KfW) აფინანსებს.

კრედიტის თანხაა 37,7 მილიონი SDR (51,16 მილიონი აშშ დოლარი);

ათვისებული თანხა 25,3 მილიონი SDR (34,34 მილიონი აშშ დოლარი);

ათწლიანი შეღავათიანი პერიოდი, 1997-2007 წლები;

ძირითადი ვალის დაფარვის პერიოდი 2007-2031 წლები;

საპროცენტო განაკვეთი წლიური 0,75%;

12) მსოფლიო ბანკის მეთორმეტე კრედიტი (მუნიციპალური განვითარებისა და დეცენტრალიზაციის). 1997 წლის 15 სექტემბერს ვაშინგტონში საქართველოსა და მსოფლიო ბანკის საერთაშორისო განვითარების ასოციაციას შორის ხელმოწერილ იქნა მუნიციპალური განვითარებისა და დეცენტრალიზაციის კრედიტის ხელშეკრულება.

კრედიტის თანხა 15,1 მილიონი SDR (20,49 მილიონი აშშ დოლარი);

ათვისებული თანხა 1,3 მილიონი SDR (1,76 მილიონი აშშ დოლარი);

ათწლიანი შეღავათიანი პერიოდი 1997-2007

წლები;

ძირითადი ვალის დაფარვის პერიოდი 2007-2032 წლები;

საპროცენტო განაკვეთი წლიური 0,75%;

საპროცენტო განაკვეთი აუთვისებელ თანხაზე წლიური 0,5%.

13) მსოფლიო ბანკის მეცამეტე (სტრუქტურული გარდაქმნების კრედიტი 2 (SAC-2)) კრედიტი. 1997 წლის 15 სექტემბერს ვაშინგტონში საქართველოსა და მსოფლიო ბანკის საერთაშორისო განვითარების ასოციაციას შორის სტრუქტურული გარდაქმნების მეორე კრედიტზე განვითარების კრედიტის ხელშეკრულება (SAC-2) იქნა ხელმოწერილი.

კრედიტის ძირითად მიზანს უკანასკნელ წლებში ქვეყანაში მიღწეული სტაბილიზაციის კონსოლიდირება შეადგენს და ეკონომიკური გამოცოცხლების მხარდასაჭერადაა მიმართული.

სტრუქტურული გარდაქმნების რეფორმის პროგრამა მიზნად ისახავს წინდახედული მონეტარული პოლიტიკის განხორციელებით სახელმწიფო ფინანსური სისტემის გაძლიერებას, კერძო სექტორის განვითარებას, სიღარიბის შემცირებას. რეფორმის უმნიშვნელოვანეს ღონისძიებათა შორის აგრეთვე არის: პრივატიზაციის დაჩქარება, კაპიტალის ბაზრის განვითარება, ენერგეტიკის სექტორში ფინანსური დისციპლინის გამოსწორება, საბანკო სექტორის რესტრუქტურულიზაცია და სხვა.

კრედიტის თანხა 44,2 მილიონი SDR (59,97 მილიონი აშშ დოლარი);

ათვისებული თანხა 44,2 მილიონი SDR (59,97 მილიონი აშშ დოლარი);

ათწლიანი შეღავათიანი პერიოდი 1997-2007 წლები;

ძირითადი ვალის დაფარვის პერიოდი 2008-2032 წლები;

საპროცენტო განაკვეთი წლიური 0,75%.

14) მსოფლიო ბანკის მეთოთხმეტე (სტრუქტურული გარდაქმნების ტექნიკური დახმარების 2 (SATIC-2)) კრედიტი. 1997 წლის 15 სექტემბერს ვაშინგტონში საქართველოსა და მსოფლიო ბანკის საერთაშორისო განვითარების ასოციაციას შორის ხელმოწერილ იქნა განვითარების კრედიტის ხელშეკრულება სტრუქტურული გარდაქმნების ტექნიკური დახმარების მეორე პროექტზე (SATIC-2).

კრედიტის ძირითად მიზანს უკანასკნელ წლებში ქვეყანაში მიღწეული სტაბილიზაციის კონსოლიდირება შეადგენს და ეკონომიკური გამოცოცხლების მხარდასაჭერადაა მიმართული.

კრედიტის თანხა 3,7 მილიონი SDR (5,02 მილიონი აშშ დოლარი);

ათვისებული თანხა 1,973 მილიონი SDR (2,68 მილიონი აშშ დოლარი);

ათწლიანი შეღავათიანი პერიოდი 1997-2007 წლები;

ძირითადი ვალის დაფარვის პერიოდი 2008-

2032 წლები;

საპროცენტო განაკვეთი წლიური 0,75%.

15) მსოფლიო ბანკის მეთხუთმეტე კრედიტი (ტრანსპორტის სექტორის რეფორმები). 1997 წლის 17 ნოემბერს ვაშინგტონში საქართველოსა და მსოფლიო ბანკის საერთაშორისო განვითარების ასოციაციას შორის ხელმოწერილ იქნა ხელშეკრულება — ტრანსპორტის სექტორის რეფორმები.

კრედიტის თანხა 0,6 მილიონი აშშ დოლარი;
ათვისებული თანხა 0,211 მილიონი აშშ დოლარი;

ათწლიანი შეღავათიანი პერიოდი 1997-2007 წლები;

ძირითადი ვალის დაფარვის პერიოდი 2008-2032 წლები;

საპროცენტო განაკვეთი წლიური 0,75%.

16) მსოფლიო ბანკის მეთექვსმეტე კრედიტი (კერძო სექტორის სანარმოთა რეაბილიტაცია). 1997 წლის 1 დეკემბერს ვაშინგტონში საქართველოსა და მსოფლიო ბანკის საერთაშორისო განვითარების ასოციაციას შორის ხელმოწერილ იქნა ხელშეკრულება — კერძო სექტორის სანარმოთა რეაბილიტაცია.

კრედიტის თანხა 1,985 მილიონი აშშ დოლარი;
ათვისებული თანხა 0,39 მილიონი აშშ დოლარი;

ათწლიანი შეღავათიანი პერიოდი 1997-2007 წლები;

ძირითადი ვალის დაფარვის პერიოდი 2007-2032 წლები;

საპროცენტო განაკვეთი წლიური 0,75%.

17) მსოფლიო ბანკის მეჩვიდმეტე კრედიტი (სოციალური ინვესტიციების ფონდი). 1998 წლის 21 იანვარს საქართველოსა და მსოფლიო ბანკის საერთაშორისო განვითარების ასოციაციას შორის ხელმოწერილ იქნა საკრედიტო ხელშეკრულება — სოციალური ინვესტიციების ფონდი.

კრედიტის მიზანია მოსახლეობის სოციალურად დაუცველი ფენებისათვის სოციალური და ეკონომიკური მომსახურების გაუმჯობესება.

კრედიტის თანხა 14,6 მილიონი SDR (19,82 მილიონი აშშ დოლარი);

ათვისებული თანხა 1,519 მილიონი SDR (2,06 მილიონი აშშ დოლარი);

ათწლიანი შეღავათიანი პერიოდი 1998-2008 წლები;

ძირითადი ვალის დაფარვის პერიოდი 2008-2032 წლები;

საპროცენტო განაკვეთი წლიური 0,75%.

18) მსოფლიო ბანკის მეთვრამეტე კრედიტი (კულტურული მემკვიდრეობის პროექტი). 1998 წლის 18 თებერვალს საქართველოსა და მსოფლიო ბანკის საერთაშორისო განვითარების ასოციაციას

შორის დაიდო საკრედიტო ხელშეკრულება — კულტურული მემკვიდრეობის პროექტი.

კრედიტის მიზანია კულტურული ალრძინების გადაუდებელი ღონისძიებები:

- სარემონტო სამუშაოები უდიდესი მნიშვნელობის მქონე კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების განლაგების ადგილებზე;

- კულტურის ძეგლთა რესტავრაცია.

კრედიტის თანხა 3,4 მილიონი SDR (4,61 მილიონი აშშ დოლარი);

ათვისებული თანხა 0,225 მილიონი SDR (0,31 მილიონი აშშ დოლარი);

ათწლიანი შეღავათიანი პერიოდი 1998-2008 წლები;

ძირითადი ვალის დაფარვის პერიოდი 2008-2033 წლები;

საპროცენტო განაკვეთი წლიური 0,75%.

19) მსოფლიო ბანკის მეცხრამეტე კრედიტი (სოფლის მეურნეობის მეორე პროექტის მოსამზადებელი). 1998 წლის 22 აპრილს საქართველოსა და მსოფლიო ბანკის საერთაშორისო განვითარების ასოციაციას შორის საკრედიტო სოფლის მეურნეობის მეორე პროექტის მოსამზადებელი ხელშეკრულება დაიდო.

კრედიტის მიზანია:

- საირიგაციო და სადრენაჟო მართვის ერთეული - 200.000 აშშ დოლარი;

- საირიგაციო და სადრენაჟო მომზადება და საპილოტო სამუშაოები - 400.000 აშშ დოლარი;

- კვლევისა და გავრცელების მართვის ერთეული - 200.000 აშშ დოლარი;

- კვლევისა და გავრცელების მომზადება და საპილოტო სამუშაოები - 400.000 აშშ დოლარი.

კრედიტის თანხა 1,2 მილიონი აშშ დოლარი;
ათვისებული თანხა 0,505 მილიონი აშშ დოლარი;

საპროცენტო განაკვეთი წლიური 0,75%.

20) მსოფლიო ბანკის მეოცე კრედიტი (ტრანსპორტის სამინისტროს რესტრუქტურირება). 1998 წლის 17 სექტემბერს საქართველოსა და მსოფლიო ბანკის საერთაშორისო განვითარების ასოციაციას შორის ხელმოწერილ იქნა საკრედიტო ხელშეკრულება ტრანსპორტის სამინისტროს რესტრუქტურირების პროექტი.

კრედიტის მიზანია ტრანსპორტის სამინისტროს რესტრუქტურირება.

კრედიტის თანხა 1,8 მილიონი SDR (2,44 მილიონი აშშ დოლარი);

ათვისებული თანხა 0,0 მილიონი SDR;

ათწლიანი შეღავათიანი პერიოდი 1998-2008 წლები;

ძირითადი ვალის დაფარვის პერიოდი 2009-2033 წლები;

საპროცენტო განაკვეთი წლიური 0,75%.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ მსოფლიო

ბანკის მიერ დაფინანსებულ პროექტებში გადასახადი, მხოლოდ საქართველოს თანადაფინანსების წილიდან გადაიხდება. მსოფლიო ბანკის „ძირითად კონდინციებში“ ნათქვამია, რომ მსოფლიო ბანკი გადასახადებს. რადგან საქართველოში, კონსტიტუციის თანახმად, საერთაშორისო ხელშეკრულებას გააჩნია პრიმატი ქვეყნის შიდა კანონებზე, ამიტომ მსოფლიო ბანკის კრედიტების სახსრებიდან გადასახადის გადახდა არ ხდება. გადასახადი, პროექტის მხოლოდ იმ კომპონენტებში და იმ რაოდენობით გადაიხდება, რომელშიც არის და რამდენიც არის საქართველოს წილი. ფაქტიურად საქართველოს მთავრობას საკუთარი სახსრები გადააქვს ერთი ჯიბიდან მეორე ჯიბეში.

აქვე უნდა აღვნიშნოთ 1997-1998 წლებში მსოფლიო ბანკის მიერ სოფლის მეურნეობის განვითარების პროექტისათვის გამოყოფილი 23,0 მილიონი აშშ დოლარის 3 კრედიტი. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ინფორმაციით, ამ მიზნებისათვის გამოყოფილი კრედიტებიდან ათვისებულია: მსოფლიო ბანკის კრედიტი 7,6 მილიონი აშშ დოლარი, მსოფლიო ბანკის გრანტი 72,0 ათასი აშშ დოლარი, ხოლო საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან (თანადაფინანსება) 70,0 ათასი დოლარი.

საქართველოს კონტროლის პალატამ, 1999 წლის 1 კვარტლის სამუშაო გეგმის შესაბამისად, სოფლის მეურნეობის განვითარების პროექტის დაფინანსებისათვის გამოყოფილი კრედიტის მიზნობრივად გამოყენების საკითხების შესწავლა გაითვალისწინა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 1996 წის 7 თებერვლის №24 ბრძანებით შექმნილი სოფლის მეურნეობის განვითარების პროექტის საკოორდინაციო ცენტრში (დირექტორი გ. მაღლაკელიძე), რომელიც მთლიანად ფლობს კრედიტების მიღებისა და ხარჯვის შესახებ სათანადო ინფორმაციას.

ამ მიზნით, 1999 წლის იანვარში ცენტრში შემოწმება დაინიშნა, მაგრამ ცენტრის დირექტორის დაუსაბუთებელი პრეტენზიების გამო, მისი განხორციელება დღემდე ვერ მოხერხდა.

მიუხედავად ამისა, საქართველოს კონტროლის პალატამ მიიღო გადაწყვეტილება საკითხი უშუალოდ კრედიტის მიმღებ სააქციო კომერციულ ბანკებში შეესწავლა, მაგრამ აქაც გარკვეული წინააღმდეგობები წარმოიქმნა, ხანგრძლივი დავისა და სასამართლოების ჩარევის შემდეგ, საკითხების შესწავლა უშუალოდ კრედიტების მომხმარებელ საწარმოებსა და ორგანიზაციებში გადაწყდა.

ამასთან დაკავშირებით, სააქციო საზოგადოება „ვითა“-ში შემოწმება დაიწყო, რის შედეგად გაირკვა, რომ მას სოფლის მეურნეობის პროდუქტების გადასამუშავებლად 250,0 აშშ ათასი დოლარის დაფინანსება (პირველ თვეში 160,0 ათასი აშშ დოლარის, ხოლო მეორე თვეში 90,0

ათასი აშშ დოლარის) გამოეყო, რაც მთლიანი კრედიტის 1,1 პროცენტს შეადგენს.

აღნიშნულიდან გამომდინარე „თბილკრედიტბანკი“-ს მეშვეობით სააქციო საზოგადოება „ვითა“-ს 160,0 ათასი აშშ დოლარი გამოეყო, საიდანაც, როგორც შემოწმებით დადგინდა, 39,5 ათასი ლარი არამიზნობრივად გამოყენებული, ხოლო მეორე თვეში მისაღები 90,0 ათასი დოლარის კრედიტზე უარი ეთქვა იმის გამო, რომ პროექტის შეუსრულებლობა უკვე ცნობილი იყო.

ამრიგად, სოფლის მეურნეობის საკოორდინაციო ცენტრის და თვით „თბილკრედიტბანკი“-ს მხრივ მსოფლიო ბანკის კრედიტების ხარჯვისადმი სათანადო კონტროლის დაუწესებლობის შედეგად, კრედიტის მიღებიდან 1 თვის გასვლის შემდეგ, პროექტის განხორციელება მნიშვნელოვნად შეფერხდა და მთლიანად კრახი განიცადა. სააქციო საზოგადოება „ვითა“-მ კი ნაცვლად იმისა, რომ მოეხდინა წარმოების აღორძინება და მოგება მიეღო, მნიშვნელოვანი ზარალი დაუშვა.

რაც შეეხება კრედიტის თანხას და საპროცენტო გადასახადს 171,5 ათას აშშ დოლარს, „თბილკრედიტბანკი“-ს მიერ 1 წლის შემდეგ იქნა დაბრუნებული საკოორდინაციო ცენტრისათვის.

ს/ს „ვითა“-ს ცუდ მუშაობაზე ისიც მეტყველებს, რომ მან დღემდე ვერ უზრუნველყო 1997 წლის 19 დეკემბერს უკრაინაში სარეალიზაციოდ გადატვირთული ტყემლისა და ტომატის „კეტრუპების“ საცდელი პარტიის ღირებულების 14807 აშშ დოლარის ამოღება. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ საქართველოს საელჩოს სავაჭრო-ეკონომიკური მრჩეველის ი.დუმბაძის 1998 წლის №05/04-107 წერილის თანახმად უკრაინის მაკონტროლებელი ორგანოების მიერ ფალსიფიკაციისთან და უხარისხო პროდუქციასთან გამოცხადებული ბრძოლის პროგრამის ფარგლებში სარეალიზაციო ქსელიდან ამოღებულია ყველა სახის საქართველოში წანარმოები იმპორტული პროდუქცია, მათ შორის ტყემლისა და ტომატის „კეტრუპები“.

ამჟამად მსოფლიო ბანკის მიერ საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების პროექტის დასაფინანსებლად გამოყოფილი კრედიტების მიზნობრივად გამოყენების შემოწმება უშუალოდ კრედიტის მომხმარებელ საწარმოებსა და ორგანიზაციებში მიმდინარეობს.

3. ევროგაერთიანებიდან მიღებული სამი, 120 მილიონი ეკიუს ოდენობის კრედიტის სანაცვლოდ ახალი 110 მილიონიანი ეკიუს კრედიტი მიღებული.

1) ევროგაერთიანების პირველი კრედიტი თანხით 70 მილიონი ეკიუს წარმოიშვა ევროგაერთიანებასა და საქართველოს შორის დადებული საკრედიტო ხელშეკრულებით. კრედიტი გაფორმდა 1992 წლის 24 ივლისს ქ. ბრიუსელში და მისი მიზნობრიობა იყო საკვები

პროდუქტებისა და მედიკამენტების შეძენა.

მემორანდუმის თანახმად გამოყოფილი კრედიტის არანაკლებ 50%-სა უნდა დასაქონლებულიყო ევროგაერთიანების წევრ ქვეყნებში, ხოლო დანარჩენი თანხის დასაქონლება კი ცენტრალური და აღმოსავლეთი ევროპის ქვეყნების შედარებით იაფ ბაზარზეც შეიძლებოდა.

კრედიტის გამოყოფის მემორანდუმზე თანდართული საკრედიტო ხელშეკრულების შესაბამისად დებიტორს, ე.ი. საქართველოს, უნდა მოეძებნა პარტნიორი ბანკი, რომელიც საყოველთაოდ მიღებული წესებით მას მომსახურებდას გაუწევდა. ხელმოწერილი კონტრაქტები ევროგაერთიანების ეკონომიკური საბჭოს მიერ, მხოლოდ ამის შემდეგ დამტკიცდებოდა. ასეთი საფრანგეთის ბანკი „Credit Lyonnais“-ი აღმოჩნდა.

კრედიტის გამოყოფის მემორანდუმის თანახმად, საქართველოს მხრიდან კონტრაქტებში მონაწილე სუბიექტები ვალდებული იყვნენ ყოველი სახის საქონელზე შემოთავაზება სულ ცოტა სამი, ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი ფირმებისგან მიეღოთ და მათგან ყველაზე ხელსაყრელი პირობების შემცველი კონტრაქტი, დანარჩენ ორთან ერთად, ხელმოწერილი სახით ევროგაერთიანების სოფლის მეურნეობის კომისიისათვის ბრიუსელში წარედგინათ.

ასეთი რთული სისტემა შემუშავებული იყო იმისათვის, რომ გამორიცხული ყოფილიყო რაიმე შეცდომა და შესაბამისად, ზარალი რომელიმე მხრიდან.

სამწუხაროდ, ჩვენს სახელმწიფო უწყებებს კრედიტის მაქსიმალურად ეფექტურად დასაქონლებისთვის თავი დიდად არ შეუწუხებიათ.

წინა პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომისიასთან არსებული ევროკრედიტების ათვისების მდგომარეობის შემსწავლელი ჯგუფის მოხსენებით ბარათში ამ კრედიტის ათვისების საქმეში გამოვლენილი ჩვენი უმწეობას, არაკომპეტენტურობასა და შესაბამისი სპეციალისტების მწვავე დაფიციტზეა საუბარი. კონტრაქტების გაფორმებისას ჩვენი დელეგაციების კომპეტენტური პირებით დაკომპლექტებას სათანადო ყურადღება არ ექცეოდა. აშკარა შეცდომად ჩაითვალია ისიც, რომ პასუხისმგებლობა კრედიტების ათვისებაზე სხვადასხვა სამინისტროებზე გადანაწილდა და ერთ რომელიმე სახელმწიფო ორგანოს არ დაეკისრა. კონტრაქტების გაფორმებისას შესასყიდი პროდუქტების ფასის სეზონური ცვლილებები, ანალოგიურ პროდუქტებზე მსოფლიო ფასების შესახებ ინფორმაცია და მრავალი სხვა არ იქნა გათვალისწინებული.

კრედიტის თანხა 70 მილიონი ეკიუ;

შელავათიანი პერიოდი 1992-1995 წლები;

ძირითადი ვალის დაფარვა ერთდროულად

1995 წლის 21 აგვისტოს;

2) ევროგაერთიანების მეორე კრედიტი თანხით 10 მილიონი ეკიუ წარმოიშვა 1993 წლის 5 მაისს ქ. ბრიუსელში ევროგაერთიანებასა და საქართველოს შორის დადებული საკრედიტო ხელშეკრულებით. კრედიტის მიზანი საკვები პროდუქტებისა და მედიკამენტების შეძენა იყო.

კრედიტის მომხმარებლებია:

- საქართველოს რესპუბლიკის პურპროდუქტებისა და მეფრინველეობის მრეწველობის კორპორაცია.

- საქართველოს რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო.

კრედიტის თანხა 10 მილიონი ეკიუ;

შელავათიანი პერიოდი 1993-1996 წლები;

ძირითადი ვალის დაფარვა ერთდროულად 1996 წლის 15 იანვარს;

3) ევროგაერთიანების მესამე კრედიტი თანხით 40 მილიონი ეკიუ წარმოიშვა 1993 წლის 12 ივნისს ქ. ბრიუსელში ევროგაერთიანებასა და საქართველოს შორის დადებული საკრედიტო ხელშეკრულებით. კრედიტის მიზნობრიობა იყო საკვები პროდუქტებისა და მედიკამენტების შეძენა.

კრედიტის მომხმარებლებია:

- საქართველოს რესპუბლიკის პურპროდუქტებისა და მეფრინველეობის კორპორაცია.

- საქართველოს რესპუბლიკის ვაჭრობისა და მომარაგების სამინისტრო.

- საქართველოს რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო.

კრედიტის თანხა 40 მილიონი ეკიუ;

შელავათიანი პერიოდი 1993-1997 წლები;

ძირითადი ვალის დაფარვა ერთდროულად 1997 წლის 15 იანვარს;

ევროკავშირიდან აღებული სამივე კრედიტის მიხედვით ძირითადი და საპროცენტო ვალის გადაუხდელობით 05.12.1997 წლის მდგომარეობით საქართველოს ევოკავშირისადმი 127,4 მილიონი ეკიუს ოდენობის (საქართველოს მიერ 25.09.1996 წელს და 27.03.1997 წელს დაფარული საპროცენტო ვალის 14 მილიონი ეკიუს გათვალისწინებით) დავალიანება დაუგროვდა.

ევროკავშირსა და საქართველოს შორის წარმოებული მოლაპარაკებების შედეგად საქართველოს დავალიანების პრობლემის გადაწყვეტის ასეთი ფინანსური სქემა (რომელიც ასახულია ურთერთგაგების მემორანდუმსა და სესხის ხელშეკრულებაში) ჩამოყალიბდა:

- საქართველო ევროგაერთიანებისადმი არსებულ მთლიან 127,4 მილიონი ეკიუს ოდენობის დავალიანებას დაფარავს.

- ევროგაერთიანება საქართველოს ახალ 110 მილიონი ეკიუს ოდენობის სესხს და 55 მილიონი ეკიუს ოდენობის გრანტს გამოუყოფს.

ევროგაერთიანების ახალი სესხი საქართველოს შემდეგი პირობებით გამოეყო:

კრედიტის თანხა 110 მილიონი ეკიუ (103,72 მილიონი აშშ დოლარი);

შელავათიანი პერიოდი 10 წელი;

ძირითადი ვალის დაფარვის ვადა 5 წელი;

საპროცენტო განაკვეთი - ცვალებადი LIBOR-ი ეკიუსათვის + 0,0005 (რაც დღეისათვის შეადგენს დაახლოებით 4,5%).

ახალი სესხის თანხა, 110 მილიონი ეკიუს ოდენობით, საქართველომ 1998 წლის განმავლობაში ძველი დავალიანების დაფარვის შემდგომ ერთჯერადი გადახდით მიიღო. ამ თანხის დასაფარავად საქართველოს მხარემ ნიდერლანდების ცენტრალური ბანკიდან 3 დღით 50 მილიონი ეკიუ და დარჩენილი ნაწილი კი ეროვნული ბანკიდან ისესხა. ნიდერლანდების ცენტრალური ბანკის კრედიტის საპროცენტო განაკვეთი ბანკის ერთკვირიანი განაკვეთის 3/7 იყო. კრედიტი მთლიანად დაფარულია.

გამოყოფილ გრანტს, 55 მილიონი ეკიუს ოდენობით, საქართველო შემდეგი გრაფიკით მიიღებს:

• გრანტის პირველ ტრანშს 10 მილიონი ეკიუს ოდენობით, 1998 წელს ძველი დავალიანების

აეროპორტთანაშის ძველი კრედიტის დასაფარვად საქართველომ მიღებულანდების ცენტრალური ბანკიდან 3 დღით 50 მილიონი ეკიუ ისესხა

დაფარვის შემდეგ მიიღებს.

• გრანტის მომდევნო ტრანშებს - მომდევნო 5 წლის განმავლობაში ყოველწლიურად დაწყებული 1998 წლიდან - 9 მილიონი ეკიუს ოდენობით.

ურთიერთგაგების მემორანდუმის მიხედვით ყოველი მომდევნო ტრანშის (9 მილიონი ეკიუს ოდენობით) მისაღებად საქართველომ გაფართოებული სტრუქტურული გარდაქმნების პროგრამის (ESAF) მოთხოვნები უნდა დააკმაყოფილოს და ყოველი მომდევნო 5 წლის განმავლობაში ევროგაერთიანების ახალი სესხის ძირითადი ვალი შემდეგი გრაფიკით უნდა დაფაროს:

10 მილიონი ეკიუ 1998 წელს;

11 მილიონი ეკიუ 1999 წელს;

13 მილიონი ეკიუ 2000 წელს;

13 მილიონი ეკიუ 2001 წელს;

13 მილიონი ეკიუ 2002 წელს.

როგორც ზემოთ მოყვანილი გრაფიკიდან ჩანს საქართველოს მიერ ყოველწლიურად დაფარული ახალი სესხის ძირითადი ვალი ევროგაერთიანებიდან მიღებული გრანტის ტრანშებით ნაწილობრივ კომპენსირებული იქნება. აქედან გამომდინარე, სხვაობა საქართველოს მიერ დაფარული ახალი სესხის ძირითად ვალსა და ევროგაერთიანების მიერ გამოყოფილ გრანტის ტრანშებს შორის საქართველოს საკუთარი

წყაროებიდან (ბიუჯეტიდან) უნდა დაიფაროს, კერძოდ:

1 მილიონი ეკიუ 1998 წელს;

2 მილიონი ეკიუ 1999 წელს;

4 მილიონი ეკიუ 2000 წელს;

4 მილიონი ეკიუ 2001 წელს;

4 მილიონი ეკიუ 2002 წელს.

4. ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკიდან საქართველოს აქვს სამი კრედიტია მიღებული, ხოლო ორი მათგანი საქართველოს პარლამენტის მიერ ჯერ არ არის რატიფიცირებული.

1) საქენერგოს კრედიტი 18.1 მილიონი აშშ დოლარის ოდენობით წარმოიშვა 1994 წლის 19 დეკემბერს, ევროპის რეკონსტრუქციის ბანკსა და საქენერგოს შორის დადებული საკრედიტო ხელშეკრულებით.


კრედიტის მიზნობრიობაა რიონისა და გარდაბნის ჰიდროელექტროსადგურის მოდერნიზაცია.

კრედიტის თანხა 18,1 მილიონი აშშ დოლარი; ძირითადი ვალის დაფარვის პერიოდი 1998-2009 წლები;

საპროცენტო განაკვეთი წლიური 7,2%. საკომისიო წლიური 1%.

2) აეროპორტის კრედიტი 11 მილიონი აშშ დოლარის ოდენობით წარმოიშვა 1995 წლის 13 ივლისს, ევროპის რეკონსტრუქციის ბანკსა და სააქციო საზოგადოება „თბილისის აეროპორტს“, შორის დადებული საკრედიტო

დიაგრამა №1



ხელშეკრულებით.

კრედიტის მიზნობრიობაა თბილისის აეროპორტის რეკონსტრუქცია.

კრედიტის თანხა 11 მილიონი აშშ დოლარი; ძირითადი ვალის დაფარვის პერიოდი 1998-2005 წლები;

საპროცენტო განაკვეთი წლიური 6,59%. საკომისიო პირველ ტრანშზე 0,5% და მეორე ტრანშზე 1%.

3) საკრედიტო ხაზი 12 მილიონი აშშ დოლარის ოდენობით ხელმოწერილ იქნა 1996 წლის 12 დეკემბერს.

აღნიშნულის განხილვა აუცილებელია, სხვადასხვა დონის ოფიციალურ ამ ქვეყნების წარმომადგენლებთან შემდგომ შეხვედრებზე მათზე ყურადღება აუცილებლად უნდა გამახვილდეს.


საქართველოს პრეტენზიები გააჩნია შემდეგი ქვეყნების მიმართ:

- აზერბაიჯანი;
- რუსეთი;
- სომხეთი;
- ყაზახეთი.

საქართველოს სომხეთისადმი დავალიანების რესტრუქტურისაზიზე მოლაპარაკებებისას, მხარეებმა ორ ქვეყანას შორის ურთიერთდავალიანების შესწავლის აუცილებლობა ცალკე ოქმით დაადასტურეს. ამ მიზნით ერთობლივი კომისია შეიქმნა. ფინანსთა სამინისტროს წინასწარი შეფასებით სომხეთის მხარის დავალიანებები ჩვენი ორგანიზაცია-დანესებულებების მიმართ (საქგაზი, საქტრანსგაზი, საქენერგო და სხვა) შეადგენს დაახლოებით იგივე თანხას, რამდენიც საქართველოს ვალდებულებების რესტრუქტურისაზიის შეთანხმებით არის განსაზღვრული. ერთობლივი კომისიის მიერ საქართველოსადმი სომხეთის მხარის დავალიანების განსაზღვრისა და შეთანხმების შემდეგ, ფინანსთა სამინისტრო დასვამს საკითხს რესტრუქტურირებული თანხის კორექტირების (ნაწილობრივ ან მთლიანად გაბათილების) თაობაზე.

რუსეთის დავალიანებებთან დაკავშირებით გაგვაჩნია ზოგიერთი ინფორმაცია, რომელიც რუსეთის კრედიტის რესტრუქტურისაზიის დროს

დიაგრამა №3



არ გაუთვალისწინებიათ.


სააქციო საზოგადოება რუსეთის სახელმწიფო სადაზღვეო კომპანიის „Росгосстрах“-ის ვიცე პრეზიდენტის ნ. ფ. გალაგუზას 1993 წლის 26 თებერვლის წერილით ირკვევა, რომ კომპანიას, რომელიც სსრკ-ს სახდაზღვევის მემკვიდრედ გვევლინება, აქვს საქართველოს სადაზღვეო კომპანიის დავალიანება, რომელიც 1992 წლის 1 იანვრის მდგომარეობით 167.933.034 რუსულ რუბლს შეადგენს. თუ მაშინდელი კურსით

ვიანგარიშებით, ერთი დოლარი დაახლოებით 167 რუბლს შეადგენდა. ე.ი. დავალიანება მაშინდელი მდგომარეობით დაახლოებით 1 მილიონი აშშ დოლარს შეადგენს. აღსანიშნავია ისიც, რომ 1992 წლიდან ამ თანხას პროცენტი არ ერიცხებოდა. ამ საკითხთან დაკავშირებით არსებობს ოფიციალური მიმოწერა, მაგრამ შემდეგი დღემდე გაურკვეველია.

მეორე შემთხვევაში, როგორც 1994 წლის 1 ნოემბრის თბილისის „საგარეო ეკონომიკური ბანკის“ რეგიონალური განყოფილების ანგარიშსწორებისა და ოპერაციების შედარების აქტით ირკვევა რუსეთის ამავე ბანკის დავალიანება 14,336 მილიონი აშშ დოლარს შეადგენს.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოსადმი დავალიანებებს საპროცენტო თანხები არ ერიცხება, რადგან ოფიციალურად

დიაგრამა №4



გაფორმებული არ არის. მოლაპარაკებების დროს აუცილებელია ამ საკითხების განხილვა. ეს თანხები უნდა დარიცხოს დავალიანებებზე ან კომპენსირდეს საქართველოს გადასახდელებში, რათა ადგილი არ ჰქონდეს თანხების დაკარგვას. საქართველოს მხარე დავალიანებებზე საპროცენტო თანხებს იხდის, ხოლო სხვა ქვეყნები კი ამაზე თავს არ ინუხებენ.

საქართველო ასამდე საერთაშორისო ორგანიზაციასთან თანამშრომლობს და მათი წევრია, რისთვისაც შესაბამისი საწევრო შენატანებია საჭირო. (იხ. დანართი №4)

საქართველოს ფინანსური ვალდებულებები საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობისა და განვითარების გამო 1998 წლის 1 იანვრის მდგომარეობით 30 317 018 აშშ დოლარს შეადგენს. აღნიშნული ინფორმაცია საგარეო საქმეთა სამინისტროდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე შექმნილ №4 დანართშია მოცემული. საერთოდ საკითხავია საჭიროა თუ არა ამდენი საერთაშორისო ორგანიზაციის წევრობა.


როგორც ზემოთ მოყვანილი მასალებიდან ვხედავთ, მდგომარეობა არცთუ ისე სახარბიელოა. კრედიტები მთავრობის წევრებისა და სხვათა მიერ

ზეპირი და წერილობითი მითითებების შესაბამისად გაიცემოდა. კრედიტების განაწილება ორგანიზაციებზე, მათი რატიფიკაციის შემდეგ, შესაბამისი კონკურსის ჩატარების საფუძველზე უნდა მომხდარიყო. კრედიტის მიმღები ორგანიზაციების ფინანსური მდგომარეობა დეტალურად უნდა შეესწავლათ, გაანალიზებულიყო მათი ბოლო პერიოდის ბალანსები და ეკონომიკური მაჩვენებლები. ერთი ორგანიზაციისათვის მოკლე პერიოდის მანძილზე ერთდარიგვე მიზნისათვის ორი ან მეტი სახელმწიფო კრედიტის გაცემა დაუშვებელი უნდა ყოფილიყო. და საერთოდ, მიუღებელია სახელმწიფო გარანტიით მიღებული კრედიტების ორგანიზაციებზე გადაცემა.

1997 წელს ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის მიერ მიღებულ იქნა ახალი საკრედიტო ხაზი, რომელიც კომერციულ ბანკებზე გაცემულია ეროვნული ბანკის კონტროლის ქვეშ. კრედიტის მიზნობრივი ხარჯვისა და მისი დაფარვის მექანიზმის უკეთ ამუშავებისათვის მომსახურე ბანკებმა მკაცრი ზომები უნდა მიიღონ, რადგან, როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, თურქეთის კრედიტზე, დავალიანების მქონე ორგანიზაციები, არხეინად განაგრძობენ საქმიანობას და საკმაოდ სოლიდური ამონაგების პირობებში კრედიტის დაფარვით თავს არ ინუხებენ.

საქართველოს მიერ ცივილიზირებული ქვეყნის იმიჯის შექმნა და მისი საერთაშორისო პრესტიჟის ამაღლება, რაც პირდაპირ

დიაგრამა №5



უკავშირდება ქვეყანაში არსებული ლეგიტიმურობის დონეს, გარდა წმინდა მორალური ეფექტისა, გამოკვეთილ ეკონომიკურ შინაარსაც ატარებს. ვინაიდან საქართველოში ეკონომიკური განვითარების პერსპექტივები ბევრადაა დამოკიდებული უცხოური ინვესტიციების მოზიდვაზე, საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ ჩვენი ქვეყნის საიმედო ცივილიზებულ სახელმწიფოდ მიჩნევა სტიმულს აძლევს საქართველოს ეკონომიკაში უცხოური კაპიტალის დაბანდებას.

საგარეო ვალის პრობლემა — მსოფლიო პრაქტიკაში კარგად ცნობილი მოვლენაა. დავალიანების მსოფლიო კრიზისმა 70-იანი

წლების ბოლოს და 80-იანი წლების დასაწყისში, სავალო ვალდებულებების მართვის სფეროში გამოიწვია მნიშვნელოვანი გამოცდილების დაგროვება, რამაც საერთაშორისო ხასიათი მიიღო და ჩვენს ქვეყანაშიც შეიძლება ასევე ეფექტურად გამოვიყენოთ.

თუ კი ქვეყანა საგარეო ვალებს იღებს, მაშინ მან სანარმოო სიმძლავრეებიც უნდა გაზარდოს. ამასთან, არა მარტო ქვეყნის შიდა ბაზარზე საჭირო საქონლის წარმოება, არამედ ექსპორტიც უნდა გაიზარდოს, რათა გაზრდილ საგარეო ვალზე ძირითადი და საპროცენტო გადასახდელები დააფინანსონ. წინააღმდეგ შემთხვევაში, ვალის მომსახურების გადასახდელები ექსპორტისა და საერთო წარმოების მაღალ წილს მიაღწევს. ამ შემთხვევაში კომერციული კრედიტორები აღარ მოინდომებენ ქვეყნის დაკრედიტების გაგრძელებას.

საგარეო ვალის აღების ძირითადი მიზეზი უმეტეს შემთხვევაში საგადასახდელო და საბიუჯეტო დეფიციტია. ვიტო ტანზი ბიუჯეტის მდგომარეობის გაუარესების ოთხ ძირითად მიზეზს გამოყოფდა:

პირველი მიზეზი — საექსპორტო ნედლეულზე ფასის სწრაფი ზრდის შედეგად საბიუჯეტო შემოსავლების შემთხვევითი ზრდა (მაგ. ნავთობზე ფასის ზრდა) მოხმარების გასაფართოებლად ან მცირედ შემოსავლიანი და არა ნორმალური და ჯანმრთელი ინვესტიციების დასაფინანსებლად გამოიყენება.

მეორე პრობლემა საგადასახადო სტრუქტურას ეხება. ინფლაციის პერიოდის დროს თუ გადასახადებიდან შემოსავლები ფასების საერთო დონის ზრდის პროპორციულად არ იზრდება, მაშინ სახელმწიფო შემოსავლები, ერთობლივ ეროვნულ პროდუქტთან შედარებით, შემცირდება.

მესამე მიზეზია სახელმწიფო ხარჯების შემოსავლებთან შედარებით უფრო სწრაფი ზრდა. რაც, შეიძლება იყოს ცალკეული ჯგუფებიდან პოლიტიკური ზენოლის მიზეზი. მაგალითად, მთავრობის იძულება — გააფართოოს სახელმწიფო ინვესტიციების პროგრამა, გაზარდოს ხელფასები სახელმწიფო სექტორში და სხვა.

მეოთხე პრობლემა — მთავრობის რეაქცია ვაჭრობის პირობების გაუარესებაზე, რის შედეგადაც რეალური შემოსავლები მცირდება. სახელმწიფო ხარჯების სტრუქტურა ამ ცვლილებებზე ადაპტირდება.

საგარეო სესხები უნდა გამოიყენონ იმისათვის, რომ ეკონომიკის ზრდის მაღალი და სტაბილური ტემპები უზრუნველყონ, რაც ასევე საგადასახდელო ბალანსის მდგრადობას გამოიწვევს. ამისათვის საჭიროა, რომ მიღებულმა სესხებმა, ეკონომიკური პოლიტიკის სხვა აუცილებელ ღონისძიებებთან ერთად, მომავალში რეალური უცხოური საშუალებების საკმაოდ დიდი შემოდიდება უზრუნველყონ. საგარეო

დავალიანებების მართვის ღონისძიებების ძირითადი მიზანია - ქვეყნის საგარეო ვალდებულებების ზრდა დავალიანების მომსახურების შეასძლებლობას არ უნდა უსწრებდეს.

საგარეო ვალდებების მართვისათვის ეკონომისტები იყენებენ მისი მომსახურების კოეფიციენტს, რომელიც დავალიანების ყველა გადასახდელებსა და საქონლისა და მომსახურების ექსპორტით სავალუტო შემოსავლებს შორის დამოკიდებულებას წარმოადგენს. იგი პროცენტებში გამოისახება და სახელმწიფო ვალის მომსახურების კოეფიციენტის უსაფრთხო დონედ მიღებულია 25%.

1998 წლის მონაცემებით საქართველოს საგარეო ვალდებულებებმა საქონლისა და მომსახურების ექსპორტის 29% შეადგინა.


1998 წლის მონაცემებით საქართველოს საგარეო ვალდებულებების გადასახდელებსა და მომსახურების ექსპორტის 29% შეადგინა

დინამიკაში ამ მაჩვენებელმა შემდეგი სახე მიიღო (იხ. დიაგრამა №3): 1992 წლისათვის, მომსახურების კოეფიციენტმა როდესაც ჯერ კიდევ საქართველოს დავალიანებები უმნიშვნელო იყო, 0,7% შეადგინა. შემდეგი პერიოდისათვის გადასახდელები სწრაფად იზრდებოდა და უკვე 1996 წლისათვის 69%-ს მიაღწია. ფინანსთა სამინისტროს მიერ ჩატარებული მოლაპარაკებების შედეგად მიღწეული რესტრუქტურულიზაციის შემდეგ 1997 წლისათვის უკვე საერთაშორისო ვალდებულებებზე მომსახურების კოეფიციენტი 17%-მდე დაეცა. თუმცა 1998 წლისათვის მომსახურების კოეფიციენტი 29%-მდე გაიზარდა (იხ. დიაგრამა №3).

ექსპორტის მაღალი ზრდის ტემპის მქონე ქვეყნებს, ექსპორტთან და წარმოებასთან მიმართებაში შეუძლიათ საგარეო ვალის უფრო

დიაგრამა №6

საქართველოს საგარეო ვალისა და მშპ-ს დინამიკა



მაღალი დონის ქონა. ხოლო დავალიანების მაღალი დონის მქონე ქვეყნებში მავროეკონომიკური შოკების საშიშროება

წარმოიშობა: საგარეო სესხებზე ცვალებადი საპროცენტო განაკვეთები შეიძლება სწრაფად გაიზარდოს ან კრედიტორებმა, რაღაც მიზეზების გამო, შეამცირონ დაკრედიტება.

ასეთი შოკური სიტუაციის დროს ქვეყანა მოვალეა ერთი რომელიმე გზა უნდა ამოირჩიოს: შეამციროს კერძო ინვესტიციები, სახელმწიფო ხარჯები ან გაზარდოს სახელმწიფო შემოსავლები (საგადასახადო შემოსავლები). ბოლო ორი ვარიანტი კერძო მოხმარების შემცირებას მოითხოვს.

ეკონომიკური ზრდის მაღალი ტემპების მისაღწევად საგარეო კრედიტების ეფექტურად გამოყენება აუცილებელი პირობაა. კრიზისულია სიტუაცია, მაშინ როდესაც საგარეო კრედიტების დიდი ნაწილი არასაწარმოო საქმიანობისა და საგადასახდლო ბალანსის მუდმივი დეფიციტის დასაფინანსებლად გამოიყენება.

საქართველოს დავალიანებათა რესტრუქტურირების მიმართულებით აღსანიშნავია 1997 წელსა და 1998 წლის დასაწყისში მიღწეული შედეგები.

ევროგაერთიანებისადმი დავალიანება, რაც 127,4 მილიონ ეკიუს შეადგენდა, საკმაოდ მძიმე ტვირთი იყო. 1997 წლის სექტემბერში ევროგაერთიანების დელეგაციის საქართველოში ვიზიტის დროს აღნიშნული პრობლემის გადაჭრის გზებზე იყო ლაპარაკი. აღნიშნული დავალიანების რესტრუქტურირების პარამეტრების დადგენისას უმთავრესად საქართველოს ბიუჯეტის შეზღუდული შესაძლებლობები იქნა გათვალისწინებული.

დღესდღეობით საქართველოს საგარეო ვალდებულების უმეტესი ნაწილი რესტრუქტურირებულია, რამაც კომერციულ კრედიტებზე გრანტ-ელემენტის ზრდაც კი გამოიწვია. დანართი №1 და დიაგრამა №4 გვიჩვენებს ამ მაჩვენებლის მიხედვით საქართველოს საგარეო ვალდებულების საერთო სურათს. ყველაზე მაღალი გრანტ-ელემენტები საერთაშორისო ორგანიზაციების კრედიტებზეა, მათ შორის აღსანიშნავია სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ორგანიზაცია (რომლის გრანტ-ელემენტია 81,80%). დაბალი გრანტ-ელემენტებია გერმანიის („სიმენსის“) შესამე (16,21%) და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების კრედიტებზე, რომლებიც კომერციული სახისაა.

ეკონომისტების აზრით საგარეო ვალდებულებების ქვეყნისათვის საშიშროებას არ წარმოადგენენ, თუ მათი ზრდა ნაკლებია მშპ-ს ზრდაზე. აქედან გამომდინარე, ქვეყანა იმყოფება ეკონომიკის იმ სტადიაში, როდესაც დამატებითი კაპიტალი უფრო მეტ შემოსავალს იძლევა, ვიდრე მისი ღირებულებაა. ხოლო საწინააღმდეგო სიტუაცია იწვევს ქვეყნიდან კაპიტალის გადინებას.

1996 წლის 1 მარტის მონაცემებით სახელმწიფო საგარეო ვალი 1,22 მილიარდ აშშ

დოლარს, ხოლო 1997 წლის ივლისის მონაცემებით კი 1,50 მილიარდ აშშ დოლარს შეადგენდა.

1998 წლის 1 იანვრის მონაცემებით საქართველოს საგარეო ვალი 1,63 მილიარდი აშშ დოლარს გაუტოლდა, ხოლო 1999 წლის 1 აპრილისათვის კი 1811,4 მილიარდ აშშ დოლარს შეადგენდა (იხ. დიაგრამა №6).

1995 წელს საქართველოს საგარეო ვალების წილი მშპ-ში 44%-ს უტოლდებოდა, შემდეგ უკვე 1996 წელს 36%-მდე დაეცა, ხოლო 1997 წლისათვის კი 33% იყო. ეს დადებითი ტენდენცია 1998 წელს

საქართველოს საგარეო ვალებმა 1998 წელს დაახლოებით მშპ-ს 37% შეადგინა

შეიცვალა, მაჩვენებელი 37%-მდე გაიზარდა (იხ. დიაგრამა №5).

1995 წლიდან 1997 წლამდე მთლიანი შიდა პროდუქტის, საგარეო ვალებზე, ზრდის უფრო მაღალმა ტემპებმა, მშპ-ში საგარეო ვალის წილის შემცირება გამოიწვია. ხოლო 1998 წელს მშპ დოლარებში, საგარეო კრედიტების მოზიდვასთან ერთად, მცირედით დაეცა კიდევ. ეს დინამიკა კარგად ჩანს დიაგრამაზე №6.

საქართველო ამ მაჩვენებლით მეზობელ ქვეყნებს შორის ყველაზე ცუდ მდგომარეობაშია. დიაგრამა №7 გვიჩვენებს ამ შედარებას, თუმცა ეს მაჩვენებლები აღებულია 1995 წლის მონაცემებით, რომლის მიხედვით საქართველოს საგარეო ვალის

1998 წელს უცხოური კრედიტების ზრდასთან ერთად მთლიანი შიდა პროდუქტი შემცირდა და ამათთან, მშპ-ში საგარეო ვალის წილი გაიზარდა

წილი მშპ-ში 44% იყო. სხვასთან შედარებით მაღალი მაჩვენებლები აქვთ თურქეთსა (43%) და რუსეთს (35%). საქართველოს მაჩვენებელი, როგორც ხედავთ მცირდება, მაგრამ მაინც მაღალი რჩება.

საქართველოს საგარეო ვალის მშპ-ში მაღალი პროცენტის გამო ვალის შემდგომი ზრდა დასაშვებია მხოლოდ ძლიერი შეღავათიანი პირობებით მიღებული კრედიტების ხარჯზე. ე. ი. როგორც ზემოთ ვთქვით არანაკლებ 5 წლის შეღავათიანი პერიოდითა და არა უმეტეს წლიური 4% საპროცენტო განაკვეთით.

ახალ კრედიტებზე გადასახდელი საპროცენტო თანხა არ უნდა აჭარბებდეს ექსპორტის ზრდის ტემპებს. წინააღმდეგ შემთხვევაში გამოიწვევს სავალუტო რეზერვების შემცირებასა და დამატებითი ვალდებულებების წარმოშობას.

საგარეო დავალიანების დონის კონტროლისათვის მსოფლიო პრაქტიკაში რამდენიმე წინადადება იქნა შემოტანილი (მაგალითად, დავალიანების მომსახურების

საერთო მაჩვენებელი განსაზღვრულ ციფრამდე შეიზღუდოს). დავალიანების მომსახურების განსაზღვრული მაჩვენებლის შენარჩუნების შესაძლებლობა დამოკიდებულია რიგ ფაქტორებზე როგორცაა: ექსპორტის პერსპექტივა, მოთხოვნილებები იმპორტში, მარაგების დონე, საგარეო ვაჭრობის შემდგომი პირობები, მომავალი საპროცენტო განაკვეთი და მოქნილობის დონე.


სესხების სიდიდის ოფიციალური ჭერი უზრუნველყოფს საფინანსო დისციპლინას და მთავრობას იძულებულს ხდის მაკროეკონომიკის ხელმძღვანელობისაკენ მიმართოს ყურადღება.

სახელმწიფოს მიერ საგარეო კრედიტების შეზღუდვამ შეიძლება კერძო სექტორზე იმოქმედოს. რადგან მთავრობის მიერ სესხების შიდა ბაზარზე აღებისას, კერძო სექტორი იძულებულია სესხები უცხოეთიდან მიიღოს, ხშირად უფრო მაღალი საპროცენტო განაკვეთითა და მოკლე ვადით, ვიდრე მთავრობას შეეძლო.

როგორც ცნობილია, საქართველოს მთავრობა ახალი საგარეო სესხების აბსოლუტურ მაჩვენებელს ფინანსური წლის დასაწყისში ადგენს. 1999 წლის ბიუჯეტით ახალი საერთაშორისო ვალდებულებები 284,8 მილიონი ლარიტაა გათვალისწინებული (142,4 მილიონი აშშ დოლარი).

დანართში №3 მოცემულია საქართველოს საგარეო ვალებზე გადასახდელების დინამიკა წლების მიხედვით. სადაც ნათლად ჩანს, რომ დღეისათვის არსებულ ვალებზე გადასახდელები 2002 წლამდე იზრდება, შემდეგ კი სწრაფად ეცემა. ეს განპირობებულია იმით, რომ 1998 წლიდან — 2002 წლამდე გადასახდელია თურქმენეთის კრედიტის

დიაგრამა №7



ძირითადი თანხა. 2006 წელს მთავრდება რუსეთის კრედიტზე გადასახდელები. ამის შემდეგ კი გადასახდელები ძირითადად საერთაშორისო ორგანიზაციების კრედიტებზე გვრჩება.

თუ ახალი სესხები ძირითადად იქნება

საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული, მაშინ 2006 წლიდან გადასახდელები არც თუ ისე დიდი იქნება. ყველაზე მძიმე პერიოდი საქართველოს ყოველწლიური გადასახდელების მხრივ თურქმენეთის ვალის დაფარვამდე აქვს, რადგანაც მაღალი კრედიტის შემთხვევაში ძირითადი თანხის დაფარვის მოკლე პერიოდი გვაქვს და ამიტომ ყოველწლიური გადასახდელები დიდია. თუმცა თურქმენეთის მხარესთან მოლაპარაკებები მიმდინარეობს და 1998 წელს, როგორც ზემოთ ვთქვით, მხოლოდ მეოთხედი ნაწილია გადახდილი, ხოლო 59,04 მილიონი დოლარი ვადაგადაცხილებულ გადასახდელებში ითვლება.

1999 წელს გადასახდელების ძირითადი წილი თურქმენეთის ვალზე მოდის, რომლის გადახდაც ნაკლებად შესაძლებელია. როგორც 1998 წელს ასევე მიმდინარე წელსაც (19,68 მილიონი 78,8

სავალუტო ფონდსა და მოვალე-ქვეყანას შორის, „ეკონომიკური განვითარებისა და მდგრადი საგადასახდელო ბალანსის არსებობის“, პროგრამის ფარგლებში, შეთანხმება წარმოადგენს. ამ პროგრამის მიზანია დაამტკიცოს, რომ საჭირო აღარ იქნება დავალიანების შემდგომი რესტრუქტურირება.

დავალიანების გადაფორმების პირველი პირობები 1988 წლის ივნისში პარიზის კლუბის ჩარჩოებში მიიღეს და ტორონტოს პირობები (შეთანხმების ხელმოწერის ადგილის მიხედვით) ეწოდებოდა. მოცემული პირობები მოვალეებს ვალის მესამედის ჩამოწმების ან დაბალი (საბაზრო განაკვეთზე 3,5%-ით ნაკლები ან მისი ნახევარი) საპროცენტო განაკვეთის გამოყენების საშუალებას აძლევს. ტორონტოს პირობების გამოყენებით ოცმა მოვალე-ქვეყანამ 5,9 მილიარდი აშშ დოლარის ოდენობის საგარეო

დავალიანებების რესტრუქტურირება მოახდინა.

1991 წლის დეკემბერში ტორონტოს პირობები ლონდონის პირობებით (თავიდან გაღრმავებული ტორონტოს პირობები უწოდეს)

საქართველოს საგარეო ვალის მომსახურების გადასახდელები 1998 - 2002 წწ. მიმდინარეობს აშშს. 2002 წლამდე თურქმენეთის კრედიტზე ძირითად თანხაა გადასახდელი. რუსეთის კრედიტზე გადასახდელები კი 2006 წელს მთავრდება.

მილიონ აშშ დოლარიდან) შეიძლება გადახდილი იქნას, მხოლოდ ნაწილი. დანართში №3 ახლანდელი ხელშეკრულებებით არსებული გადასახდელებია მოცემული, მაგრამ უახლოეს მომავალში აღნიშნული შეიძლება შეიცვალოს (მაგალითად, თურქმენეთის), რაც გადასახდელების დინამიკასაც შეცვლის. თურქმენეთის კრედიტის ძირითადი თანხის გადახდის ვადები 2002 წლის შემდეგ გადაინევა, რადგან უკვე 1998 წლის 59,04 მილიონი აშშ დოლარი ვერ გადავიხადეთ.

საგარეო კრედიტებზე არ უნდა იყოს LIBOR-ის მსგავსი ცვლადი საპროცენტო განაკვეთი, რადგან კრიზისული მდგომარეობისას კურსის მომატებისასა და შემცირებისას არსებობს. ეს დამატებით ხარჯებს წარმოშობს და შეიძლება საქართველოში კრიზისის გამოიწვიოს. ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთი საშუალებას იძლევა თავიდან ავიცილოთ ასეთი კრიზისული მდგომარეობა. ამასთან მომავალი გაუთვალისწინებელი გადასახდელების გაზარდის საშიშროებაც არსებობს.

საგარეო ვალის რესტრუქტურირების განხორციელება კრედიტორებისა და მოვალეების ტიპებზე დამოკიდებულია.

ერთ-ერთია მთავრობათაშორისი სესხების რესტრუქტურირება პარიზის კლუბის ოფიციალური კრედიტორების ჩარჩოში. განიხილება ორი ვარიანტი ძირითადი ან საპროცენტო თანხის რესტრუქტურირება. მათი რეალიზაციის უმთავრეს პირობას საერთაშორისო

შეიცვალა, რითაც მოვალეებს ვალის 50%-ის ჩამოწმების საშუალება მიეცათ.

ლონდონის პირობებზე მოვალეებისგან შემოსული თანხის კრედიტორებს შორის თანაბრად განაწილების საშუალება წარმოქმნა. მისი უმთავრესი მიღწევა სამწლიანი პერიოდის დაწესება იყო, რომლის შემდეგაც კრედიტორები მოვალე-ქვეყნის მიერ საერთაშორისო სავალუტო ფონდის პროგრამის შესრულების სიზუსტესა და სხვა კრედიტორებთან დამყარებული შეთანხმებების პირობებს აფიქსირებდნენ. ეს უკანასკნელი უკვე გაფორმებული დავალიანებების პირობებზე ცუდი არ უნდა ყოფილიყო. ამ შემთხვევაშიც, როგორც ტორონტოს პირობებისას, კრედიტორები უნდა დარწმუნდნენ იმაში, რომ ვალის შემცირება დამატებით რესტრუქტურირებას არ გამოიწვევს. მისი მოქმედების ვადაში თავისი საგარეო დავალიანებების, საერთო თანხის 9,1 მილიარდი აშშ დოლარის, რესტრუქტურირება 23-მა ქვეყანამ მოახდინა.

პარიზის კლუბის ჩარჩოებში თანამედროვე ვარიანტი დაბალ შემოსავლიანი ქვეყნებისათვის ნებაჰქონდა პირობებით რეგლამენტირდება, რაც ძალაში 1994 წლის დეკემბერში შევიდა. ამ პირობების უმთავრესი სიახლე რესტრუქტურირების ისეთი სქემების შექმნაა, რომლებიც სავალსა და ვალდებულებების მოცულობას შეამცირებენ. რესტრუქტურირების პროგრამა მოვალეების მიერ ძირითადი ნაწილის გადახდის სამ წლამდე ვადით გადავადებას

ითვალისწინებს. მოვალე ქვეყანა, რომელზეც ეს პირობები ვრცელდება, შემდეგ მოთხოვნას უნდა აკმაყოფილებდეს: ერთობლივი ეროვნული პროდუქტი ერთ სულ მოსახლეზე 500 აშშ დოლარზე ნაკლები უნდა იყოს ან ექსპორტთან შედარებით საგარეო ვალი 350%-ს უნდა აღემატებოდეს. ნეაპოლის პირობები საპროცენტო თანხის 67%-ის ჩამოწერის საშუალებას იძლევიან. საგარეო ვალებით ძლიერ დამძიმებულ ქვეყნებს, საშუალება ეძლევა მოახდინონ ძირითადი თანხის 50%-ის ან მისი ექვივალენტური მომსახურების ღირებულების ჩამოწერა.

პიუსტონის პირობები 1990 წელს იქნა მიღებული. პარიზის კლუბის მოვალე-ქვეყნებს, საშუალო დონის შემოსავლებით ერთ სულ მოსახლეზე, არსებული საგარეო ვალების ფასიან ქალაქებში, ეროვნულ ვალუტაში კონვერსიის ან ეროვნული ფონდებისათვის, რომელთა მიზნები საქველმოქმედო საქმიანობაა, საბაზრო კურსით გაცვლის საშუალება მისცა. კონვერტაცია, თუ კი ეროვნული განვითარებისაკენაა მიმართული, სახელმწიფო ვალის მოცულობას მთლიანად მოიცავდა. სხვა სახის ვალებისათვის კონვერსიის შესაძლებლობა ვალის მთლიანი თანხის 10%-ით ან 10 მილიონი დოლარით ისაზღვრებოდა, რაც მათ მოცულობაზე იყო დამოკიდებული. ვალების კონვერტაციის სქემები ლონდონისა და ნეაპოლის პირობებშიც გამოიყენებოდა.

პარიზის კლუბის სამდივნოს მონაცემებით 1994 წლის ბოლოსათვის 2,2 მილიარდი დოლარის ვალდებულებები კონვერტირდა. უმეტესი წილი შემდეგ მოვალე ქვეყნებზე მოდიოდა: ეგვიპტე, სპილოს ძვლის სანაპირო, პერუ და ტანზანია. კრედიტორებს შორის თავისი ვალების შედარებით ეფექტურად კონვერტირება მოახდინა საფრანგეთმა (974 მილიონი აშშ დოლარი), შვეიცარიამ (726 მილიონი აშშ დოლარი), ბელგიამ (151 მილიონი აშშ დოლარი) და გერმანიამ (130 მილიონი აშშ დოლარი).

მეორე ვარიანტი — **კომერციული ვალის რესტრუქტურისა** — კომერციული

კრედიტების დავალიანებების გადაფორმება ძირითადად ორი საშუალებით ხორციელდება:

დავალიანებების შემცირება სავალო ვალდებულებების დისკონტით შესყიდვის შედეგად მეორად ბაზარზე დაბალი შემოსავლიანი ქვეყნების მიერ განვითარების საერთაშორისო ასოციაციის დავალიანებების შემცირების ფონდის საშუალებით ან ვალების კონვერსიით. ვალის ან მომსახურების შემცირების გზით ბრეიდის გეგმის ფარგლებში, წარმოდგენილი 1989 წელს, ან ვალების კონვერსია საშუალო შემოსავლიანი ქვეყნებისათვის.

დავალიანების შემცირების ფონდ 1989 წელს უღარიბესი განვითარებადი ქვეყნების დასახმარებლად შეიქმნა. კრედიტების მხოლოდ განვითარების საერთაშორისო ასოციაციის ხაზით მიღებისა და მათი საგარეო დავალიანებების

რესტრუქტურისა უფლება ქონდათ.

განვითარების საერთაშორისო ასოციაციის ფონდის დახმარებით, მოვალე ქვეყნას მეორად ბაზარზე თავისი სავალო ვალდებულებების დისკონტით შესყიდვისას დარიცხული პროცენტიც უნდა დაეფარა. სახელმწიფო ვალდებულებები (მთავრობის ან მესამე მხარის მიერ დამატებით გარანტირებას ან უზრუნველყოფას არ საჭიროებს) საშუალო და გრძელვადიანი კერძო უცხოური კრედიტორების მიმართ, ფონდის წესებიდან გამომდინარე, გამოსყიდვას ექვემდებარება. ეროვნული ეკონომიკის განვითარების პროგრამის ფარგლებში, შესაძლებელია ფონდის სახსრების კონვერსიისათვის გამოყენება.

ფონდის მხრიდან დახმარება ხორციელდება თუ მოვალე-ქვეყანა ასრულებს შემდეგ პირობებს:

სტაბილიზაციის პროგრამის არსებობა განვითარების საერთაშორისო ასოციაციასა და სხვა ფინანსურ ორგანიზაციებთანაა შეთანხმებული;

არსებობს საგარეო ვალის მართვის სტრატეგია.

განვითარების საერთაშორისო ასოციაციის მიერ დავალიანებების გადაფორმების პროგრამას (შეზღუდული 10 მილიონი აშშ დოლარით) თითოეული ქვეყნისათვის ერთჯერადი ხასიათი აქვს. გამონაკლის შემთხვევაში შეიძლება ეს თანხა გაიზარდოს.

1994 წლის ბოლოსათვის განვითარების საერთაშორისო ასოციაციამ, სხვა საერთაშორისო ფინანსურ ორგანიზაციებთან ერთად, ოპერაციების დაფინანსება დავალიანების ექვივალენტური 815 მილიონი აშშ დოლარით შემცირებით მოახდინა.

ბრეიდის გეგმა შემოღებულ იქნა 1986 წელს აშშ-ს ადმინისტრაციის მიერ, რომელიც ერთსულ მოსახლეზე საშუალო შემოსავლიანი განვითარებადი ქვეყნების საგარეო ვალის სიდიდისა და მომსახურების ღირებულების შემცირებისაკენაა მიმართული.

ბრეიდის გეგმის ძირითადი მიზნები იყო: ფულადი მასის კონტროლი;

ბიუჯეტის დეფიციტისა და ინფლაციის შემცირება;

პრივატიზაციის პროცესის აქტივიზაცია.

ეს პროგრამა ითვალისწინებს

რესტრუქტურისა სამ ვარიანტს: ვარიანტი 1 - მოვალე-ქვეყნის მიერ მეორადი ბაზრის ფასებზე დაბალი მაჩვენებლით თავისი ვალდებულებების ნაწილის შესყიდვა. ამასთან, იგი თანახმაა კომერციულ კრედიტორებს ნაღდი საშუალებებით 10-15 პროცენტის კომპენსირება გაუკეთოს;

ვარიანტი 2 - ვალის გაცვლა შესაბამის ნომინალურ ან დისკონტირებულ ობლიგაციებზე. ბრეიდის ობლიგაციას 10 წელზე მეტი შეღავათიანი პერიოდიტაა, ხოლო საპროცენტო

განაკვეთი საბაზროზე დაბალი აქვს;

ვარიანტი 3 - სავალო ვალდებულებების ნაწილის მოვალის ეროვნულ (არაკონ-ვერტირებად) ვალუტაზე (როგორც წესი საქველმოქმედო ფონდების შესაქმნელად) ან ეროვნული კომპანიების აქციებზე გაცვლა.

ბრეიდის გეგმის ერთ-ერთი ძირითადი ელემენტია ვალის აქციონერულ კაპიტალზე გაცვლის მექანიზმი (სვოპ), რომელიც ორი ძირითადი მიმართულებით ხორციელდება: საგარეო დავალიანებების ნაწილის მოვალე-ქვეყნის საწარმოების აქციებში და უცხოურ ვალუტაში არსებული საგარეო ვალდებულებების შიდა სავალო ვალდებულებებზე გადაცვლით. ამით ქვეყნის მეორად ბაზარზე საწარმოთა აქციების შეძენის ან პირდაპირი ინვესტირების საშუალება ეძლევათ. ამასთან შიდა ვალდებულებები მცირდება, ხოლო უცხოელი კრედიტორები მოცემული ქვეყნის კაპიტალის ნაწილს მიიღებენ.

ვალების კონვერსია საგარეო ვალების მართვის ერთ-ერთი ინტეგრალური ნაწილია. პირველი ქვეყანა ვალების მაღალი დონით, რომელმაც მიიღო ინსტიტუციონალური პროგრამა - ვალების კონვერსია, ჩილე იყო (1985 წლის მაისი). კონვერსიულ ოპერაციებს შორის შედარებით მაღალი წილი ვალების მეორად ბაზარზე საბაზრო ფასზე ნაკლებად (მთელი ოპერაციების 40%) შესყიდვასა და კორპორაციული საწარმოების აქციებში (მთელი ოპერაციების 34%) კონვერსიას უკავია.

ვალების აქციებში გადაცვლის მექანიზმი. მოცემული ოპერაცია ვალის კერძო კრედიტორების მიერ მოვალე-ქვეყნის კომპანიების აქციებში კონვერტაციას ითვალისწინებს. ინვესტირები ვალს მეორად ბაზარზე ყიდულობენ, შემდეგ ის ქვეყნის ეროვნული ბანკის მიერ შესაბამისი ინსტრუმენტებით ეროვნულ ვალუტაში აქციების შემდგომ შესასყიდად ტრანსფორმირდება. ეს მექანიზმი აქტიურად გამოიყენებოდა ჩილეს, არგენტინისა და მექსიკის საგარეო ვალდებულებათა გადასაფორმებლად.

ვალის ეროვნულ ვალუტაში კონვერსიის მექანიზმი (ვალის განვითარებისათვის). ბოლო წლებში მოვალე-ქვეყნებში ეროვნული ეკონომიკის განვითარებისათვის კრედიტორების ვალების კონვერსიაზე ინტერესი იზრდება. კრედიტორმა სახელმწიფოებმა გრძელვადიანი დაფინანსების მიზნით ვალის ეროვნულ ვალუტაში კონვერსიის პროგრამების განვითარების პროექტი შეიმუშავეს. გამოიყოფა სამი სახის ასეთი პროგრამები:

ვალის ბუნების დაცვაზე;

ვალის ჯანდაცვაზე;

ვალის განათლებაზე.

სახელმწიფოები, საგარეო ვალის მართვისას კრედიტის ეფექტურობისათვის კონვერსიის გარდა რეფინანსირებას, კონსოლიდაციას,

ვალების დაფარვის გადავადებასა და ანულირებასაც მიმართავენ.

შიდა ვალეში საგარეო ვალების კონვერსიაზე ზევით ვისაუბრეთ. მას, მსოფლიო პრაქტიკაში, ფართო გამოყენება ხვდა წილად. ეკონომისტები შიდა ვალეებს, როგორც ბაბუის შვილიშვილისადმი ვალს ისე განიხილავენ. ამიტომ, საგარეო დავალიანებების შესამცირებლად, შიდა ვალეების ზრდას დიდად საშიშად არ მიიჩნევენ.

რეფინანსირება — ძველი დავალიანებების ახალი კრედიტების აღებით დაფარვას გულისხმობს. საქართველოს ასეთი პრაქტიკა ავსტრიის, რუსეთისა და ასევე სხვა ქვეყნების კრედიტებზე ჰქონდა. რომლებთანაც, ძველი დავალიანებების დასაფარავად ახალი საკრედიტო ხელშეკრულებები დაიდო.

საქართველოში ასეთი პრაქტიკის გამოყენება საგარეო ვალების სახელმწიფო სახაზინო ვალდებულებებში ან სხვა ფასიან ქალაქებში კონვერსიითაა შესაძლებელი. თუმცა წარმოიშობა წინააღმდეგობანი: ქვეყნის კაპიტალის ნაწილი უცხოელ კრედიტორებს უვარდებათ ხელთ, კრედიტორებიდან უკვე ინვესტირებად გადაიქცევიან. ეკონომისტებს შორის იბადება აზრი: ეს ხომ არ წარმოშობს უცხოელების ხელში დიდი კორპორაციული საწარმოების საკონტროლო პაკეტების ჩაგდებას.

კონსოლიდაციის ქვეშ ვალების პირობების ვადებთან დაკავშირებული ცვლილება იგულისხმება. არსებულ ვალეებზე საქართველოსათვის საგარეო დავალიანებების რესტრუქტურისაზიის ვადების ცვლილება ერთ-ერთი საინტერესო ხერხია. თურქმენეთის მხარესთან შეღავათიანი ვადების გაზრდის თაობაზე მოლაპარაკება ასეთი სახით მიმდინარეობს. როგორც ცნობილია, თურქმენეთის კრედიტზე რესტრუქტურისაზიის დროს, რომელიც რეფინანსირების გზით მოხდა, შემდგომ მოლაპარაკებაზე შეღავათიანი პერიოდის გასაზრდელად კრედიტორი მხარე თანახმა იყო. დღესდღეობით კი, როგორც აღვნიშნეთ, მოლაპარაკება კონსოლიდაციის გზით მიმდინარეობს.

დავალიანებების დროებითი რეორგანიზაციის მიზნით საინტერესო გააა გადასახდელის გაყინვა და დაფარვის გადავადება. ამ შემთხვევაში მოვალე-ქვეყნები კრედიტორებთან შეთანხმდებიან, დავალიანების გადახდა განსაზღვრული პერიოდისათვის გადავადდება და გაიყინება (ამ პერიოდის განმავლობაში საპროცენტო თანხა აღარ დაერიცხება).

საერთაშორისო კრედიტების საფუძველზე მიღებული სახელმწიფო ვალეები, ფართო დისკუსიის საგანია, რადგან ხშირად სესხს ერთი იღებენ დავალეების დაფარვა კი მომავალ თაობებს უწევთ. იყო ისეთი შემთხვევები, როდესაც მთავრობებმა უარი თქვეს წინა ხელისუფლების

მიერ მიღებული ვალების გადახდაზე. საგარეო ვალის ანულირება ერთი მხრივ საინტერესოა, მაგრამ მეორე მხრივ პრობლემატურია. თუ

დავალიანების ჩამოწერა კრედიტორის თანხმობით ხდება, მაშინ პრობლემის წარმოშობის საშიშროება არ არის. მაგრამ თუ ქვეყანას საგარეო დავალიანებები გადაიხადა არ შეუძლია, მაშინ ეს ფაქტი მის კრედიტუნარიანობასა და საერთაშორისო პრესტიჟზე იმოქმედებს. ასეთ შემთხვევაში ახალი კრედიტის მიღება შეუძლებელი ხდება. მთავრობის მიერ წინა ხელისუფლების მიერ მიღებული საგარეო ვალების (როგორც რუსეთში 1917 წლის რევოლუციის, ისე მსოფლიო ომის შემდგომ მოხდა) გადახდაზე უარის გამოაცხადების შემთხვევაში, პრობლემა ხდება არა მარტო ახალი კრედიტების მიღება, არამედ საგარეო ვაჭრობაში მონაწილეობაც და ინვესტიციებიც კი.

ასეთი პრობლემატური სიტუაციების მოსაგვარებლად ძირითადად საერთაშორისო სავალუტო ფონდი მუშაობს. თუ მოვალე-ქვეყანა ვერ აკმაყოფილებს კრედიტორის მოთხოვნებს, მას ვალდებულებების დასაფარავად სავალუტო ფონდი შედარებით შეღავათიანი პირობებით აძლევს კრედიტს. რადგან ნათელია, რომ თანამედროვე მსოფლიოში ჩაკეტილი ეკონომიკის ფუნქციონირება უკვე შეუძლებელია, ამიტომ ქვეყნები თავიანთი კრედიტუნარიანობის შეინარჩუნებას ცდილობენ. ასე მაგალითად, რუსეთმა სსრკ-ს საგარეო ვალდებულებები 80 მილიარდი აშშ დოლარი თავის თავზე აიღო. მათ გადახდაზე უარის შემთხვევაში, ახალი

კრედიტების მიღების ნაკლები შესაძლებლობა ექნებოდა.

საქართველოს, პერსპექტივაში, „TRACECA“-სა და „ბისეკის“ გაერთიანებაში გარემოს დაცვის მიზნით მსოფლიო პრაქტიკის გამოიყენება და მოახდინოს ვალდების რესტრუქტურალიზაცია.

ვალდების კონვერსიისას საქველმოქმედო თუ ეკონომიკის ზრდის ხელშეწყობი ფონდების შესაქმნელად კრედიტორების მიერ ვალების ეროვნულ ვალუტაში გადაცვლა იგულისხმება. განხილული იყო სამი ვარიანტი. საქართველოსთვის უფრო საინტერესოა ბუნების დაცვის პროგრამები. მსოფლიო პრაქტიკაში არის მაგალითები ეკოლოგიური მიზნით სახელმწიფო ვალების რესტრუქტურალიზაციისა. 1995 წლის კონფერენციაზე „გარე სამყარო ევროპისათვის“, ევროპის ქვეყნებმა და აშშ-მ პოლონეთს 466 მილიონი აშშ დოლარი იმ პირობით ჩამოაწერეს, რომ ამ თანხას ქვეყნის შიგნით გარემოს დაცვისათვის გამოიყენებდა.⁶

საქართველოს, პერსპექტივაში, „TRACECA“-სა და „ბისეკის“ გაერთიანებებში გარემოს დაცვის მიზნით მსოფლიო პრაქტიკის გათვალისწინებით ვალების რესტრუქტურალიზაცია უნდა მოახდინოს.

საგარეო დავალიანებების რესტრუქტურირების მსოფლიო პრაქტიკაში ადაპტირებული მეთოდების სარგებლიანობისათვის ვალდებულებებით დამძიმებული ქვეყნებისათვის (რომელთა შემოსავლები ერთ სულ მოსახლეზე საშუალო დონისაა) ჰიუსტონის პირობებით წარმოდგენილი სქემების გამოვიყენება საჭირო.

დანართი

- ¹ LIBOR - ლონდონის ბანკთაშორის საკრედიტო ბაზრის საპროცენტო განაკვეთი
- ² წყარო: საქართველოს კონტროლის პალატის მოხსენება, თბ., 1999 წელი.
- ³ „შეთანხმების ოქმი“, 1992 წლის 10 დეკემბერი.
- ⁴ „საკრედიტო შეთანხმება თურქეთის საექსპორტო საკრედიტო ბანკსა და საქართველოს რესპუბლიკის ექსპორტ-იმპორტის ბანკს შორის“, 1993 წლის 12 თებერვალი ქ. ანკარა. მუხლი 1 პუნქტი „ბ“
- ⁵ „საკრედიტო შეთანხმება თურქეთის საექსპორტო საკრედიტო ბანკსა და საქართველოს რესპუბლიკის ექსპორტ-იმპორტის ბანკს შორის“, 1993 წლის 12 თებერვალი ქ. ანკარა. მუხლი 9 პუნქტი „ა“
- ⁶ MINISTERIAL CONFERENCE "ENVIRONMENT FOR EUROPE" Bulgaria 1995

გამოყენებული ლიტერატურა:

- 1) „საგარეო დავალიანების პრობლემების გადაწყვეტა რესტრუქტურირების ახალი სქემით“, გაზეთი „ბანკი“ 1997 წლის №9-10
- 2) „საკრედიტო შეთანხმება თურქეთის საექსპორტო საკრედიტო ბანკსა და საქართველოს რესპუბლიკის ექსპორტ-იმპორტის ბანკს შორის“ 1993 წლის 12 თებერვალი
- 3) საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1995 წლის 14 აგვისტოს დადგენილება №483 „საქართველოს რესპუბლიკის მიერ საზღვარგარეთული კრედიტების აღების, განაწილებისა და მომსახურების წესის შესახებ“
- 4) საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტთან არსებული საკონსულტაციო ეკონომიკური საბჭოს 1996 წლის 27 დეკემბრის სხდომის ოქმი
- 5) საქართველოსა და თურქეთის მთავრობებს შორის 1992 წლის 10 დეკემბრის შეთანხმების ოქმი
- 6) საქართველოს ექსპორტ-იმპორტის ბანკსა და საქართველოს რესპუბლიკის ვაჭრობისა და მატერიალური რესურსების სამინისტროს შორის 1994 წლის 4 იანვარს დადებული საკრედიტო ხელშეკრულება
- 7) საქართველოსადმი გაწეული დახმარება 1992-1996 წწ.
- 8) ურთიერთგაგების მემორანდუმი ევროგაერთიანებასა და საქართველოს შორის
- 9) ნ. ყველაშვილი „საგარეო ვალი - შესავალი და გამოსავალი ორუცნობიანი განტოლებების მოყვარულთათვის“, ჟურნალი „მაკო მიკრო ეკონომიკა“ №3 თბილისი 1998 წელი
- 10) შეთანხმება რუსეთის ფედერაციასა და საქართველოს მთავრობებს შორის „რუსეთის ფედერაციის მიერ გაცემული სახელმწიფო კრედიტებზე საქართველოს დავალიანების რესტრუქტურისაციის შესახებ“ 1997 წლის 17 იანვარი
- 11) ხელშეკრულება სესხის შესახებ ევროგაერთიანებას, საქართველოსა და საქართველოს ეროვნულ ბანკს შორის
- 12) საქართველოს კონტროლის პალატის მოხსენება საქართველოს 1998 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ
- 13) საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ინფორმაცია
- 14) საქართველოს ეროვნული ბანკის ინფორმაცია
- 15) საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის ინფორმაცია
- 16) Контракт №1 "29" мая 1995 г. "Между акционерное общество "Айсберг" и товариществом с ограниченной ответственностью "Заря".
- 17) Титков В. "Реструктурирование внешнево долга" "КОНАМИСТ" 1998 г №2, Москва
- 18) MINISTERIAL CONFERENCE "ENVIRONMENT FOR EUROPE" Bulgaria 1995

საქართველოს საგარეო ვალები 1999 წლის 1 აპრილის მდგომარეობით
(მლნ აშშ დოლარი)

№	კრედიტორი ქვეყნები	კრედიტის თანხა	საპროცენტო განაკვეთი	შეღავათა ნი პერიოდი	წილი მოლიან თანხაში	კრედიტის პანგრაძლიყო ბა	გრამტ- ელემენტი	კრედიტის მიღების ან რესტრუქტურირ ების წელი
1	რუსეთი	179,27	4%	3 წელი	9,90%	10 წელი	28,65%	1997
2	სომხეთი	19,59	4%	5 წელი	1,08%	10 წელი	31,75%	1996
3	აზერბაიჯანი	16,19	4%	5 წელი	3,89%	10 წელი	31,75%	1997
4	უზბეკეთი	27,77	4%	5 წელი	1,53%	10 წელი	31,75%	1996
5	თურქმენეთი	393,57	4%	3 წელი	2,73%	8 წელი	25,82%	1996
6	უზბეკეთი	1,30	4%	5 წელი	3,06%	10 წელი	31,75%	1996
7	უკრაინა	0,92	4%	4 წელი	3,05%	8 წელი	25,82%	1997
8	აღსტრია	85,87	4%	5 წელი	4,74%	14 წელი	36,16%	1997
9	ჩინეთი	3,59	4%	5 წელი	0,20%	10 წელი	31,75%	1997
10	გერმანია	65,31			3,61%			
I-კრედიტი	I-კრედიტი	3,80	0,75%	10 წელი	0,21%	30 წელი	77,32%	1994
	II-კრედიტი	7,05	0,75%	12 წელი	0,39%	30 წელი	79,07%	1996
	III-კრედიტი	5,91	7,25%	3 წელი	0,23%	13 წელი	16,21%	1994
	IV-კრედიტი	21,70	0,75%	12 წელი	1,23%	30 წელი	79,07%	1996
	V-კრედიტი	10,85	0,75%	11 წელი	0,60%	30 წელი	76,23%	1995
	VI-კრედიტი	5,42	0,75%	11 წელი	0,30%	30 წელი	78,85%	1996
	VII-კრ. (შეკრულებულიდან)	2,71	0,75%	10 წელი	0,15%	40 წელი	81,29%	1998
რეაბილიტაცია	რეაბილიტაცია	7,87	1%	10 წელი	0,43%	40 წელი	79,10%	1998
	11 თურქეთი	54,24	4,00%	4 წელი	3,00%	13 წელი	23,78%	1998
12	ირანი	12,83	4%	5 წელი	0,71%	10 წელი	31,75%	1996
13	აშშ	27,90			2,09%			
I ზორბლის კრედიტი	I ზორბლის კრედიტი	20,00	1,5% (2%)	5 წელი	1,19%	30 წელი	53,86%	1997
	II ზორბლის კრედიტი	15,00	1,5% (2%)	5 წელი	0,83%	30 წელი	63,86%	1998
	III საზღვრო მოძრაობის კონტროლი	2,90	I ლ+0,25%	2 წელი	0,16%	9 წელი	20,02%	1998
14	იაპონიის საზღვარგარეთთან ეკონომ-მიკრო თანამშრომლობის ფონდი (OECP)- ენტერგეტიკის რეაბილიტაცია	44,77	2,3%	10 წელი	2,47%	30 წელი	64,36%	1998
	15 სსსრ	233,76			16,22%			
	საბჭოთა ტრანსპორტის განვითარება (STP)	75,22	რეინარკ ფარგის	4,5 წელი	4,16%	10 წელი		1994-1995
	საბჭოთა კრედიტი (Standard)	30,13		12,5 წელი	1,66%	5 წელი		1995
	სტრუქტურული გადარქმების გადასახდელი მცხნოზმ (ESAF)	188,21	0,50%	5,5 წელი	10,49%	10 წელი	45,81%	1996-1998
16	მსოფლიო ბანკი (20 კრედიტი)	264,77			20,14%		79,55%	1994-1998
17	ფრონტალტინგა	103,72	იბორ + 0,0005	10 წელი	5,73%	15 წელი	35,08%	1998
18	ერგა	99,85			5,51%			
ა) საქონტის კრედიტი	ა) საქონტის კრედიტი	18,10	7,20%	4 წელი	1,03%	14 წელი	16,25%	1994
	ბ) აგროპორტის კრედიტი	11,00	6,59%	3 წელი	0,61%	10 წელი	16,28%	1995
	გ) საკრედიტო ბაზი	2,00	I ლ+1%	2,5 წელი	3,66%	9,5 წელი	17,86%	1996
	დ) ენგურის ჰიდროელექტრო-სადგურის რეაბილიტაცია	38,75	7,30%	4 წელი	2,14%	15 წელი	16,11%	არაბატონიცირე ბუღია
	ე) საქ. სამხრეთკავკასიის საკონიგზო კავშირი	20,90	I ლ+1%	3 წელი	1,13%	12 წელი	18,65%	
19	სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდი (IFAD)	6,36	3,75%	10 წელი	0,35%	40 წელი	61,80%	1997

* პირველი 4 წელი - 1,5%. შემდეგი 25 წელი - 2,0%.

ცხრილი შედგენილია 21.04.99 წლის საქართველოს ეროვნული ბანკის კოსკურსების გათვალისწინებით.

1 USD= 1,8434 DEM;

1 USD= 12,9692 TS;

1 USD= 1,0605 evro

1 USD= 1,5090 CHF

1 USD= 0,7368 SDR;

1 USD= 119,1000 JPY

მსოფლიო ბანკის კრედიტები 1999 წლის 1 აპრილის მდგომარეობით

№	კრედიტის დასახელება	კრედიტის თანხა		ათვისებული თანხა		საპროცენტო განაკვეთი	შეღავათიანი პერიოდი	კრედიტის ხანგრძლივობა	წილი მთლიან თანხაში	კრედიტის ხელშეწყობის თარიღი
		(მილიონი SDR)	(მილიონი აშშ დოლარი)	(მილიონი SDR)	(მილიონი აშშ დოლარი)					
1	ინსტიტუციონალური განვითარების	7,30	9,91	7,30	9,90	0,75%	10 წელი	35 წელი	2,72%	07.11.94
2	მუნიციპალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის	12,50	16,96	11,30	15,34	0,75%	10 წელი	35 წელი	4,65%	11.10.94
3	რეაბილიტაციის	51,00	69,22	51,00	69,22	0,75%	10 წელი	35 წელი	18,98%	31/03/95
4	წყალმომარაგებისა და სანატორიის პროექტი	0,88	1,20	0,31	0,43	0,75%	10 წელი	35 წელი	0,33%	30/09/05
5	ტრანსპორტის რეაბილიტაციის	8,10	10,99	8,00	10,96	0,75%	10 წელი	35 წელი	3,01%	31/01/96
6	სტრუქტურული გარდაქმნების კრედიტი I (SAC-I)	41,30	56,05	41,30	56,05	0,75%	10 წელი	35 წელი	15,37%	28/04/96
7	სტრუქტურული გარდაქმნების ტექნიკური დახმარების I (SATAC-1)	3,30	4,48	3,27	4,43	0,75%	10 წელი	35 წელი	1,23%	26/04/96
8	ჯანდაცვის რეაბილიტაციის	9,70	13,16	2,30	3,12	0,75%	10 წელი	35 წელი	3,61%	05.09.96
9	ნავთობის ინსტიტუციონალური მშენებლობა	1,00	1,36	0,59	0,78	0,75%	10 წელი	35 წელი	0,37%	14/04/97
10	სოფლის მეურნეობის რეაბილიტაციის	10,40	14,11	4,84	6,57	0,75%	10 წელი	35 წელი	3,87%	15/05/97
11	ენერგეტიკის რეაბილიტაციის	37,70	51,16	25,30	34,34	0,75%	10 წელი	35 წელი	14,03%	12/08/97
№	კრედიტის დასახელება	კრედიტის თანხა		ათვისებული თანხა		საპროცენტო განაკვეთი	შეღავათიანი პერიოდი	კრედიტის ხანგრძლივობა	წილი მთლიან თანხაში	კრედიტის ხელშეწყობის თარიღი
		(მილიონი SDR)	(მილიონი აშშ დოლარი)	(მილიონი SDR)	(მილიონი აშშ დოლარი)					
12	მუნიციპალური განვითარებისა და დეცენტრალიზაციის	15,10	20,49	1,30	1,76	0,75%	10 წელი	35 წელი	5,62%	15/09/97
13	სტრუქტურული გარდაქმნების კრედიტი 2 (SAC-2)	44,20	59,99	44,20	59,99	0,75%	10 წელი	35 წელი	16,45%	15/09/97
14	სტრუქტურული გარდაქმნების ტექნიკური დახმარების 2 (SATAC 2)	3,70	5,02	1,97	2,68	0,75%	10 წელი	35 წელი	1,38%	15/09/97
15	ტრანსპორტის სექტორის რეფორმები	0,44	0,60	0,16	0,21	0,75%	10 წელი	35 წელი	0,16%	17/11/97
16	კერძო სექტორის საწარმოთა რეაბილიტაცია	1,46	1,99	0,29	0,39	0,75%	10 წელი	35 წელი	0,54%	12.01.97
17	პოლიციის ინვესტიციების ფონდი	14,60	19,81	1,52	2,06	0,75%	10 წელი	35 წელი	5,43%	21/01/98
18	კულტურული მემკვიდრეობის პროექტი	3,40	4,61	0,23	0,31	0,75%	10 წელი	35 წელი	1,27%	18/02/98
19	სოფლის მეურნეობის მეორე პროექტის მოსამზადებელი	0,88	1,20	0,37	0,51	0,75%	10 წელი	35 წელი	0,33%	22/05/98
20	ტრანსპორტის სამინისტროს რესტრუქტურების	1,80	2,44	0,00	0,00	0,75%	10 წელი	35 წელი	0,67%	17/9/98

გადასახდელები საქართველოს საგარეო ვალებზე წლების მიხედვით
(მლნ. აშშ დოლარი)

კრედიტორი ქვეყანა	გადასახდელები წლების მიხედვით									
	1999	2000	2001	2002	2003	2004	2005	2006	2007	2008
რუსეთი სულ	7,17	31,78	31,78	38,73	29,71	28,61	27,66	26,63		
აპირითადი თანხა		25,61	25,61	25,61	25,61	25,61	25,61	25,61		
ბსპროცენტო განაკვეთის თანხა	7,17	7,17	6,15	5,12	4,10	3,07	2,05	1,02		
სომხეთი სულ	0,78	0,78	4,78	4,55	4,39	4,23	4,08			
აპირითადი თანხა			3,92	3,92	3,92	3,92	3,92			
ბსპროცენტო განაკვეთის თანხა	0,78	0,78	0,78	0,63	0,47	0,31	0,16			
აზერბაიჯანი	0,65	0,65	0,65	3,39	3,78	3,63	3,50	3,37		
აპირითადი თანხა				3,24	3,24	3,24	3,24	3,24		
ბსპროცენტო განაკვეთის თანხა	0,65	0,65	0,65	0,65	0,52	0,39	0,25	0,13		
უკრაინა სულ	1,8	1,8	6,67	6,44	6,31	6,08	5,78			
აპირითადი თანხა			5,55	5,55	5,55	5,55	5,55			
ბსპროცენტო განაკვეთის თანხა	1,11	1,11	1,11	0,59	0,67	0,44	0,22			
თურქეთი სულ	91,31	91,31	15,01	81,86						
აპირითადი თანხა	78,71	78,71	75,71	78,71						
ბსპროცენტო განაკვეთის თანხა	12,59	9,45	6,30	3,15						
უზბეკეთი სულ	0,04	0,04	0,34	0,33	0,22	0,22	0,21			
აპირითადი თანხა			0,20	0,20	0,20	0,20	0,20			
ბსპროცენტო განაკვეთის თანხა	0,04	0,04	0,04	0,03	0,02	0,02	0,01			
გერმანია სულ	0,04	0,22	0,21	0,20	0,20	0,19				
აპირითადი თანხა		0,18	0,18	0,18	0,18	0,18				
ბსპროცენტო განაკვეთის თანხა	0,04	0,04	0,03	0,02	0,01	0,01				
აშშ-ის (I-II კრედიტ) სულ	1,54	1,54	1,54	12,58	12,59	12,31	11,43	11,45	11,07	10,69
აპირითადი თანხა				9,54	9,54	9,54	9,54	9,54	9,54	9,54
ბსპროცენტო განაკვეთის თანხა	3,43	3,43	3,43	3,43	3,05	2,67	2,28	1,91	1,53	1,14
ჩინეთი სულ	0,18	0,18	0,18	0,18	0,16	0,13	0,10	0,78	1,01	
აპირითადი თანხა					0,72	0,72	0,72	0,72	0,72	
ბსპროცენტო განაკვეთის თანხა	0,14	0,14	0,14	0,14	0,14	0,11	0,09	0,06	0,29	
თურქმენი სულ	2,17	2,17	2,17	1,21	7,96	7,72	7,48	7,14	7,00	6,76
აპირითადი თანხა				6,03	6,03	6,03	6,03	6,03	6,03	6,03
ბსპროცენტო განაკვეთის თანხა	2,17	2,17	2,17	2,17	1,93	1,69	1,45	1,21	0,97	0,72
კრედიტორი ქვეყანა	გადასახდელები წლების მიხედვით									
	1999	2000	2001	2002	2003	2004	2005	2006	2007	2008
ირანი სულ	0,51	0,51	3,08	2,98	2,87	2,77	2,67			
აპირითადი თანხა			2,57	2,57	2,57	2,57	2,57			
ბსპროცენტო განაკვეთის თანხა	0,51	0,51	0,51	0,41	0,31	0,21	0,10			
გერმანია სულ	1,28	1,25	1,22	1,18	1,15	1,21	1,27	1,31	2,06	4,32
I-კრედიტი სულ	0,03	0,03	0,03	0,03	0,03	0,12	0,22	0,22	0,21	0,41
აპირითადი თანხა						0,09	0,19	0,19	0,19	0,38
ბსპროცენტო განაკვეთის თანხა	0,03	0,03	0,03	0,03	0,03	0,03	0,03	0,03	0,02	0,02
II-კრედიტი სულ	0,05	0,05	0,05	0,05	0,05	0,05	0,05	0,05	0,05	0,44
აპირითადი თანხა										0,39
ბსპროცენტო განაკვეთის თანხა	0,05	0,05	0,05	0,05	0,05	0,05	0,05	0,05	0,05	0,05
III-კრედიტი სულ	0,82	0,78	0,75	0,72	0,69	0,65	0,62	0,59	0,55	0,52
აპირითადი თანხა	0,45	0,45	0,45	0,45	0,45	0,45	0,45	0,45	0,45	0,45
ბსპროცენტო განაკვეთის თანხა	0,36	0,33	0,30	0,26	0,23	0,20	0,16	0,13	0,10	0,07
IV-კრედიტი სულ	0,16	0,16	0,16	0,16	0,16	0,16	0,16	0,16	0,16	1,37
აპირითადი თანხა										1,21
ბსპროცენტო განაკვეთის თანხა	0,16	0,16	0,16	0,16	0,16	0,16	0,16	0,16	0,16	0,16
V-კრედიტი სულ	0,08	0,08	0,08	0,08	0,08	0,08	0,08	0,65	0,65	1,30
აპირითადი თანხა								0,57	0,57	0,57
ბსპროცენტო განაკვეთის თანხა	0,08	0,08	0,08	0,08	0,08	0,08	0,08	0,08	0,08	0,73
VI-კრედიტი სულ	0,04	0,04	0,04	0,04	0,04	0,04	0,04	0,04	0,33	0,32
აპირითადი თანხა									0,29	0,29
ბსპროცენტო განაკვეთის თანხა	0,04	0,04	0,04	0,04	0,04	0,04	0,04	0,04	0,04	0,04
VII-კრედიტი სულ	0,02	0,02	0,02	0,02	0,02	0,02	0,02	0,02	0,02	0,11

აპირითადი თანხა										0,09
ბ)საპროცენტო განაკვეთის თანხა	0,02	0,02	0,02	0,02	0,02	0,02	0,02	0,02	0,02	0,02
VIII-კრედიტი სულ	0,08	0,08	0,08	0,08	0,08	0,08	0,08	0,08	0,08	0,34
აპირითადი თანხა										0,26
ბ)საპროცენტო განაკვეთის თანხა	0,08	0,08	0,08	0,08	0,08	0,08	0,08	0,08	0,08	0,08
აშშ სულ	0,68	1,09	1,07	1,95	2,59	2,54	2,49	2,44	1,97	1,94
I-II კრედიტი	0,53	0,53	0,53	1,43	2,08	2,06	2,03	2,00	1,97	1,94
აპირითადი თანხა				0,80	1,40	1,40	1,40	1,40	1,40	1,40
ბ)საპროცენტო განაკვეთის თანხა	0,53	0,53	0,53	0,63	0,68	0,66	0,63	0,60	0,57	0,54
III კრედიტი	0,15	0,57	0,55	0,52	0,50	0,48	0,46	0,44		
აპირითადი თანხა		0,41	0,41	0,41	0,41	0,41	0,41	0,41		
ბ)საპროცენტო განაკვეთის თანხა	0,15	0,15	0,13	0,11	0,09	0,07	0,04	0,02		
კრედიტორი ქვეყანა	გადასახდელი წლების მიხედვით									
	1999	2000	2001	2002	2003	2004	2005	2006	2007	2008
იაპონია (OECD) სულ	1,03	1,03	1,03	1,03	1,03	1,03	1,03	1,03	1,03	3,27
აპირითადი თანხა										2,24
ბ)საპროცენტო განაკვეთის თანხა	1,03	1,03	1,03	1,03	1,03	1,03	1,03	1,03	1,03	1,03
ერგბ სულ	7,56	7,23	6,89	6,55	6,21	5,88	5,58	5,27	4,94	0,00
I კრედიტი (ხაჭენურგო)	2,98	2,85	2,72	2,59	2,46	2,33	2,20	2,07	1,94	
აპირითადი თანხა	1,81	1,81	1,81	1,81	1,81	1,81	1,81	1,81	1,81	
ბ)საპროცენტო განაკვეთის თანხა	1,17	1,04	0,91	0,78	0,65	0,52	0,39	0,26	0,13	
II კრედიტი (აეროპორტი)	2,19	2,09	1,99	1,88	1,78	1,68				
აპირითადი თანხა	1,57	1,57	1,57	1,57	1,57	1,57				
ბ)საპროცენტო განაკვეთის თანხა	0,62	0,52	0,41	0,31	0,21	0,10				
III კრედიტი (ხაკრედიტო ხაზი)	2,39	2,28	2,18	2,08	1,97	1,87	1,38			
აპირითადი თანხა	1,71	1,71	1,71	1,71	1,71	1,71	0,86			
ბ)საპროცენტო განაკვეთის თანხა	0,67	0,57	0,47	0,36	0,26	0,16	0,52			
მსოფლიო ბანკი (20 კრედიტი)	2,74	2,74	2,74	2,74	2,74	3,50	5,51	7,91	12,29	13,02
აპირითადი თანხა						0,77	2,78	5,20	9,62	10,42
ბ)საპროცენტო განაკვეთის თანხა	2,74	2,74	2,74	2,74	2,74	2,74	2,73	2,71	2,67	2,60
ევროგაერთიანება სულ	5,23	5,23	5,23	5,23	5,23	5,23	5,23	5,23	5,23	5,23
აპირითადი თანხა										
ბ)საპროცენტო განაკვეთის თანხა	5,23	5,23	5,23	5,23	5,23	5,23	5,23	5,23	5,23	5,23
სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდი (IFAD)	0,04	0,04	0,04	0,04	0,04	0,04	0,04	0,04	0,11	0,18
აპირითადი თანხა									0,07	0,14
ბ)საპროცენტო განაკვეთის თანხა	0,04	0,04	0,04	0,04	0,04	0,04	0,04	0,04	0,04	0,04
სულ	125,92	148,61	156,28	170,93	87,78	85,92	83,15	69,99	43,70	45,91
აპირითადი თანხა	84,26	110,47	122,71	142,32	64,33	65,79	65,29	55,18	30,69	33,42
ბ)საპროცენტო განაკვეთის თანხა	41,66	38,14	33,57	28,60	22,85	20,13	17,86	14,81	13,01	12,48

შენიშვნა: ცხრილში არ არის მოცემული გადასახდელი საერთაშორისო სავალუტო ფონდის კრედიტებზე ცვალებადი განაკვეთის გამო

**საქართველოს ფინანსური ვალდებულებები საერთაშორისო
ორგანიზაციებთან თანამშრომლობისა და ამ ორგანიზაციებში
გაწევიანების ნაწილში 1998 წლის 1 იანვრისათვის
(აშშ დოლარებში)**

საერთაშორისო ორგანიზაციების დასახელება		დავალიანება	1998 წლის საპროგნოზო გადასახდელები
სულ		30 317 018	10 847 954
გაერო და მისი სტრუქტურები			
1.	გაერთიანებული ერების ორგანიზაცია	6 513 915	1 500 000
2.	გაეროს ეკოლოგიური პროგრამა-კონვენცია ბიოლოგიურ მრავალფეროვნებათა შესახებ	23 177	12 000
3.	ოზონდამშლელ ნივთიერებათა შესახებ მონრეალის ოქმის ფონდი	109 589	
4.	ოზონის შრის დაცვის შესახებ მონრეალის ოქმის სატრასტო ფონდი	1 764	
5.	ოზონის შრის დაცვის შესახებ ვენის კონვენციის სატრასტო ფონდი	914	
6.	ტრანსფერენული საავტონომილო მაგისტრალის პროექტი	7 500	7 500
7.	ტრანსფერენული სარკინიგზო მაგისტრალის პროექტი	10 500	10 500
გაეროს სპეციალიზებული დაწესებულებები			
1	რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკი		
2	საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია		1 600 000
3	გაეროს სამრეწველო განვითარების ორგანიზაცია	1 253 387	150 000
4	გაეროს განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაცია	2 806 413	170 000
5	იუნესკოსთან არსებული მსოფლიო კულტურული ღეგეიდრეობის ცენტრი		22 000
6	ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტო	478 029	231 784
7	გაეროს სასურსათო და სასოფლო- სამეურნო ორგანიზაცია	548 730	185 000
8	ქიმიური იარაღის აკრძალვის ორგანიზაციის მოსამზადებელი კომისია	1 000	1 000
9	ქიმიური იარაღის აკრძალვის ორგანიზაცია	179 128	
10	სამოქალაქო ავიაციის საერთაშორისო ორგანიზაცია	168 000	48 000
11	სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდი	10 000	10 000
12	ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაცია		12 000
13	საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაცია	26 039	20 000
14	საერთაშორისო შრომის ოფისი	1 719 664	350 000
15	მსოფლიო მეტეოროლოგიური ორგანიზაცია	408 275	125 000
16	კონვენცია კლიმატის ჩარჩო	22 656	22 500
17	მსოფლიო საფოსტო კავშირი	152 500	30 000
18	მსოფლიო საფოსტო კავშირის რუსული ლინგვისტ ჯგუფი	12 832	4 000
19	საერთაშორისო ელექტროკავშირი	264 240	72 000

20	ინტოსაი და ვეროსაი	2 930	3 000
სხვა საერთაშორისო ორგანიზაციები			
1	გენერალური შეთანხმება ტარიფებსა და ვაჭრობაზე	13 050	13 000
2	მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია	19 946	13 200
3	მსოფლიო ტურისტული ორგანიზაცია	142 356	33 000
4	ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია	3 791 480	470 000
5	საერთაშორისო საზღვაო თანამგზავრული ორგანიზაცია	234 896	117 500
6	სამოქალაქო თავდაცვის საერთაშორისო ორგანიზაცია	31 820	15 910
7	კრიმინალური პოლიციის საერთაშორისო ორგანიზაცია	24 867	30 000
8	საერთაშორისო ტელეკომუნიკაციის კავშირი	200 000	50 000
9	მედიკინისა და მევენახეობის საერთაშორისო ორგანიზაცია	20 672	12 000
10	ეპიზოტიის საერთაშორისო ორგანიზაცია	11 040	10 000
11	საერთაშორისო დიპლომატიური აკადემია	3 854	3 900
12	მსოფლიო საბავშვო ორგანიზაცია	33 229	
13	ბირთვული გამოცდილების აკრძალვის ხელშეკრულების მოსამზადებელი კომისია	31 171	
14	საერთაშორისო ასტრონომიული კავშირი		3 192
დსთ და მისი სტრუქტურები			
1	დსთ-ს აღმასრულებელი სამდივნო	360 000	90 000
2	ეკონომიკური კავშირის ეკონომიკური კომიტეტი	450 594	304 049
3	სტატისტიკური კომიტეტი	69 800	1 766 596
4	ქვანახშირისა და მეტალის ევრაზიული გაერთიანება	76 257	22 500
5	მანქანათმშენებლობის დარგში თანამშრომლობის საბჭო	24 072	12 000
6	კოლექტიური უსაფრთხოების საბჭო	39 612	75 197
7	თავდაცვის მინისტრთა საბჭო	700 600	380 000
8	სასაზღვრო ჯარების ხელმძღვანელთა საბჭო	80 800	80 000
9	ორგანიზებულ დამნაშავეობასთან ბრძოლის საკოორდინაციო ბიურო	75 900	55 000
10	სატრანსპორტო საკოორდინაციო თათბირი	5 040	5 000
11	დსთ სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციის საკოორდინაციო საბჭო		
12	სახელმწიფოთაშორისი საინფორმაციო საბჭო	4 120	4 200
13	სახელმწიფოთაშორისი ეკოლოგიური საბჭო	15 411	15 400
14	სტანდარტიზაციის, მეტროლოგიისა და სერტიფიკაციის საბჭო	5 000	5 000
15	სახელმწიფოთაშორისი სამეცნიერო-ტექნიკური საბჭო	3,600	3,600
16	კერძო სამართლის სამეცნიერო-საკონსულტაციო ცენტრი	60,379	60,000
17	ტელერადიოკომპანია „მირ“-ის სახელმწიფოთაშორისი საკოორდინაციო საბჭო	424 700	425 000
18	შებენი-ინტერნაციონალისტთა საქმეების	10 472	10 500

19	გეოდეზიის, კარტოგრაფიის, მიწის კადასტრისა და დისტანციური ზონდირების საბჭო	12 724	12 700
20	ბუნებრივი და ტექნიკური ხასიათის სახანგებო სიტუაციათა სახელმწიფოთაშორისი საბჭო	17 357	17 400
21	ნავთობისა და გაზის სამთვრობათაშორისი საბჭო	7 700	7 700
22	ქიმიისა და ნავთობქიმიის დარგში თანამშრომლობის საბჭო	10 940	11 000
23	ელექტროენერგეტიკული საბჭო	47 350	47 500
24	ჰიდრომეტეოროლოგიის სახელმწიფოთაშორისი საბჭო	8 132	8 100
25	ავიაციისა და საჰაერო ტრანსპორტის განოყენების საბჭო	106 944	107 000
26	სახელმწიფოთაშორისი საავიაციო კომიტეტი	82 053	
27	სამთავრობათაშორისი საფელდეგრო კაცშირგაბულობა	1 020	1 000
28	წიაღისეულის გამოყენებისა და დაცვის სამთავრობათაშორისი საბჭო	60 526	60 500
29	დსთ-ს მონაწილე სახელმწიფოთა სამხედრო თანამშრომლობის საკოორდინაციო შტაბი	588 315	263 409
30	ანტიმონოპოლიური პოლიტიკის სახელმწიფოთაშორისი საბჭო	400	500
31	საპარლამენტთაშორისო ასამბლეა	194 510	123 917
32	ტელერადიოკომპანია „მირ“	300 000	300 000
რეგიონალური ორგანიზაციები			
1	ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია	361 740	
2	ევროპის საბჭოსთან არსებული ბუნებრივი და საწარმოო კატასტროფების თავიდან აცილებისა და მათი შედეგების ლიკვიდაციის თანამშრომლობის ჯგუფი	4 261	5 000
3	შავი ზღვის ეკონომიკური კოოპერაცია	28 538	700 000
4	შავი ზღვის ვაჭრობისა და განვითარების ბანკი	2 800 000	
5	შავი ზღვის დაცვის პროგრამა (შავი ზღვის დაბინძურებისაგან დაცვის ბუნებრივი კონვენცია)	38 600	
6	შავი ზღვის რეგიონის არქიტექტორთა ფორუმი	9 200	9 200
7	ევროპის ენერგეტიკული ქარტია	20 680	6 500
8	რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი საერთაშორისო ორგანიზაციები, რომელთა წევრიცაა საერთოველო, მაგრამ დადასტოვების შესახებ ინფორმაცია არა იმეძღვს	2 567 422	
1	გაეროს ვაჭრობისა და განვითარების კონფერენცია		
2	გაეროს გარემოს დაცვის პროგრამა		

3	გაეროს ეკონომიკური კომისია ევროპისათვის		
4	მსოფლიო სასურსათო პროგრამა		
5	საერთაშორისო სავალუტო ფონდი		
6	განვითარების საერთაშორისო ასოციაცია		
7	მრავალმხრივი ინვესტირების საგარანტიო სააგენტო		
8	გაეროს კვალიფიკაციის ამაღლებისა და სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი		
9	გაეროს ნარკოტიკული ნივთიერებების მონიტორინგის კონტროლის საერთაშორისო პროგრამა		
10	მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია		
11	ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაცია		
12	ევროპის ფეხბურთის ასოციაციების გაერთიანება		
13	საერთაშორისო სავაჭრო ცენტრი		
14	საერთაშორისო საგზაო მოძრაობის ორგანიზაცია		
15	დსთ-ს პარსაწინააღმდეგო თავდაცვის საკითხთა საკოორდინაციო კომიტეტი		
16	დსთ ეკონომიკური სასამართლო		
17	ჩრდილოატლანტიკური თანამშრომლობის საბჭო		
18	თანამგზავრული ელექტროკავშირგაბმულობის ევროპული ორგანიზაცია		
19	„ღია ზღვაში საერთაშორისო დაცვის ხელ შეწყობისა და თევზსაჭერი გემების მართვის ზომების გავრცელების შესახებ“ გაეროს შეთანხმება		
20	საბაჟო თანამშრომლობის საბჭო		
	საერთაშორისო ორგანიზაციები, სადაც უახლოეს მომავალში მოსალოდნელია საქართველოს გაწევრიანება		
		სავარაუდო გადასახადი	
	შაქრისა და ხორბლის ღონდონის ორგანიზაციები	8 437	
	სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაცია	8 357	
	სამეცნიერო და ტექნიკური ინფორმაციის საერთაშორისო ცენტრი	1 500	
	კონვენცია „ბავშვთა დაცვისა და ბავშვთა საერთაშორისო აყვანის მიმართ თანამშრომლობის შესახებ“		
	კონვენცია „ბავშვთა დაცვის საშუალებებისა და მშობელთა პასუხისმგებლობის დარღვევაში იურიდიციის, გამოყენებული კანონების, აღსრულებისა და თანამშრომლობის შესახებ“		
	საერთაშორისო კერძო სამართლის კონფერენცია	3 794	
	ევროპის ტრანსპორტის მინისტრთა კონფერენცია		
	კურორტების საერთაშორისო ფედერაცია –	3 060	

შენიშვნა: მონაცემები ჩვენი ფინანსური ვადლებულებების შესახებ აღებულია ძირითადად საგარეო საქმეთა სამინისტროდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე. იმასთან დაკავშირებით, რომ სხვადასხვა დოკუმენტებით მიღებული ინფორმაცია ხშირ შემთხვევაში წინააღმდეგობრივ ხასიათს ატარებს, სემოთმოტანილი მონაცემები დაზუსტებას საჭიროებს. თანხების გაანგარიშებისას გახათვალისწინებულია ცდომილებები, რომლებიც წარმოიშობა სხვადასხვა ვალუტიდან აშშ დოლარში გადაყვანისას.

საქართველოს ეკონომიკური განვითარების პოლიტიკა

■ დავით ლომიძე

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, ახლად აღმოცენებულ დამოუკიდებელ სახელმწიფოთა ეკონომიკური მდგომარეობა ღრმა კრიზისში აღმოჩნდა. საერთო ეკონომიკური კრიზისის შედეგად საქართველოს ფინანსური სექტორი ძალიან მძიმე მდგომარეობაში ჩავარდა, ამას დაემატა შიდა პოლიტიკური არეულობები და კონფლიქტები. საბოლოო ჯამში ქვეყანა მოიცვა ღრმა სოციალურმა, პოლიტიკურმა და ეკონომიკურმა ქაოსმა და მხოლოდ 1994 წელს ჩვენს ქვეყანაში დაწყებული ანტიკრიზისული პროგრამის განხორციელების შედეგად, რაშიც საქართველოს დიდი დახმარება გაუწია საერთაშორისო ორგანიზაციებმა, მიღწეულ იქნა მაკროეკონომიკური სტაბილიზაცია.

გატარებული რეფორმების შედეგად ქვეყანამ უმოკლეს ვადებში დაძლია პოსტსაბჭოური სივრცის ქვეყნებისათვის დამახასიათებელი უმწვავესი კრიზისი. ამ წლებში სტაბილიზაციის პროგრამის ამოქმედებამ გამოიწვია ბიუჯეტის ფისკალური დეფიციტის შემცირება, ფულადი მასისა და სუბსიდიების ძირითადი ნაწილის შეზღუდვა, დაბეგვრის მექანიზმების და საბანკო ზედამხედველობის გამკაცრება, ვაჭრობის ლიბერალიზაცია, ეროვნული ვალუტის — ლარის გაცვლითი კურსის სტაბილურობა და სხვა.

ქვეყანაში მიმდინარე სტრუქტურულმა და ინსტიტუციონალურმა ცვლილებებმა თავისი ლოგიკური გაგრძელება 1996-1997 წლებშიც პოვნეს. არსებული ინფორმაციის თანახმად, ამ წლებში ეკონომიკური ზრდის შედეგების მიხედვით საქართველო მონიწივედ ითვლებოდა ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებს შორის და მსოფლიოში მტკიცედ დაიმკვიდრა ღირსეული ადგილი, როგორც ერთერთმა ყველაზე სწრაფად განვითარებადმა ქვეყანამ.

წინა წლებში მიღწეულმა ეკონომიკურმა აღმაშენებამ, 1998 წელს შეიქცაბა იმდენს კრახი განიცადა, რომელიც უმთავრესად ფინანსური ფაქტორებით იყო განპირობებული, რაც მათად შეიძლება გამოთვალდეს.

ქვეყნის საგადასახადო-საბიუჯეტო და ფულად-საკრედიტო სისტემებში მიმდინარე ნეგატიურმა პროცესებმა და რიგმა საგარეო-ეკონომიკურმა ფაქტორებმა უარყოფითი გავლენა მოახდინეს საქართველოს ეკონომიკაზე. 1998 წლის მეორე კვარტალიდან საბიუჯეტო-

საგადასახადო სისტემაში დაწყებულ კრიზისს, წლის ბოლოს „სავალუტო კრახი“ დაემატა და შეირყა წინა წლებში ჩამოყალიბებული მაკროეკონომიკური სტაბილურობა და ეკონომიკური აღმავლობა. მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის მისაღწევად განხორციელებულმა რეფორმებმა, ეროვნული ვალუტის — ლარის შემოღებამ, ინფლაციური პროცესების კონტროლმა, გაცვლითი კურსის სტაბილიზაციამ, რითაც ჩვენ ამ ხნის განმავლობაში ვამაყობდით, ერთიანი ეკონომიკური პოლიტიკის არარსებობის პირობებში კრახი განიცადა.

მაკროეკონომიკური წონასწორობის მიღწევის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიმართულებაა ახალი საბაზრო ურთიერთობისათვის დამახასიათებელი ფულად-საკრედიტო სისტემის შექმნა-ფუნქციონირება, ურომლისოდაც ძნელია ნებისმიერი ხელისუფლების ეკონომიკური პოლიტიკის განხორციელება. სწორედ საქართველოს საბანკო სისტემის მდგრადობას და ეროვნული ბანკის მიერ სწორად ჩამოყალიბებულ და მის მიერ განხორციელებულ პოლიტიკას ენიჭება მთავარი პრიორიტეტი ქვეყნის ეკონომიკური აღორძინების საქმეში.

(უკანასკნელ პერიოდში ბევრი რამ გაკეთდა საქართველოს დამოუკიდებელი საბანკო სისტემის შესაქმნელად: მეტნაკლებად მონესრიგდა საბანკო საკანონმდებლო ბაზა; გადაიკეთა მიმოქცევაში ფულის უკონტროლოდ გამოშვების არსები; ყალიბდება საფინანსო ბაზარი (ბანკთაშორისი სავალუტო ბირჟა, საფონდო ბირჟა); კომერციული ბანკების საქმიანობა რეგულირდება ეროვნული ბანკის ნორმატივებით. მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა ქვეყნის ფულად-საკრედიტო მაჩვენებლები (იხ. ცხრილი №1). ამასთან, როგორც

ზემოთ ვთქვით შემუშავებულ იქნა მარეგულირებელი და საკანონმდებლო ბაზა, რომელმაც უნდა უზრუნველყოს ამ უმნიშვნელოვანესი სექტორის აღდგენა.

(1995 წლის ივნისში მიღებულ იქნა კანონი საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ, რომლის შესაბამისად აღნიშნულს საქართველოში მონეტარული პოლიტიკის შემუშავებასა და განხორციელებაზე ენიჭება დამოუკიდებლობა და ერთპიროვნული პასუხისმგებლობა ეკისრება.

ქვეყანაში მიმდინარე ეკონომიკური პროცესების ფრთხილ შესწავლის, განვითარებული და განვითარებადი ქვეყნების გამოცდილების გათვალისწინებით (საქართველოს ეროვნულმა ბანკმა უნდა შეიმუშაოს ისეთი ფულად-საკრედიტო პოლიტიკა, რომელიც ქვეყნის მაკროეკონომიკურ სტაბილურობასა და საბანკო სისტემის მდგრადობას შეუწყობს ხელს.)

(ფულად-საკრედიტო პოლიტიკა ქვეყნის ეროვნული ეკონომიკური პოლიტიკის განუყოფელი ნაწილია. ამ პოლიტიკის ძირითადი მიზანია ეკონომიკისადმი დახმარება წარმოების საერთო დონის ამაღლებაში, რომელიც ხასიათდება სრული დასაქმებისა და ინფლაციის მინიმალური დონით.)

ქვეყნის ეკონომიკური აღორძინების საქმეში საქართველოს ფულად-საკრედიტო სისტემის მდგრადობასა და ამ მხრივ ეროვნული ბანკის მიერ სწორად შემუშავებულ და განხორციელებულ პოლიტიკას ენიჭება მთავარი პრიორიტეტი

(ფულად-საკრედიტო პოლიტიკა არის ფულის მოცულობის ცვლილება წარმოების ერთობლივი მოცულობის, დასაქმებისა და ფასების დონის სტაბილიზების მიზნით. უფრო კონკრეტულად: ფულად-საკრედიტო პოლიტიკა იწვევს ფულის მიწოდების გადიდებას დაქვეითების დროს დანახარჯების წასახალისებლად, ხოლო ინფლაციის დროს, პირიქით, ზღუდავს ფულის მიწოდების გადიდებას დანახარჯების შესაკვეცად. ამ სფეროში მსოფლიო გამოცდილების შესაბამისად ფულად-საკრედიტო პოლიტიკის განხორციელების სამი ძირითადი საშუალება არსებობს, ანუ მისი ძირითადი ინსტრუმენტებია:

1. ოპერაციები ლიაბაზარზე;
2. სარეზერვო ნორმის ცვალებადობა;
3. სასესხო განაკვეთის შეცვლა.

საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ პირველი ინსტრუმენტის გამოყენება მიმოქცევაში ფულის მასის გასაზრდელად კომერციული ბანკების ხელთ არსებული ფასიანი ქაღალდების შესყიდვას გულისხმობს (ეს დღევანდელ ეტაპზე არც არის საჭირო, რადგან დამატებით ფულის მასის ზრდა ინფლაციასა და სხვა მტკიცვეულ პროცესებს გამოიწვევს), ხოლო მიმოქცევაში ფულის მასის შესამცირებლად — ეროვნული ბანკის ხელთ არსებულ ფასიანი ქაღალდების კომერციული ბანკებისათვის მიყიდვა საჭირო. ასეთი ღონისძიებები პრაქტიკულად გამორიცხულია, რადგან არ არსებობს ფასიანი ქაღალდების მეორადი ბაზარი.

საქართველოს ეროვნული ბანკი მიმოქცევაში არსებული ფულის მასაზე ზემოქმედებისათვის

მეორე ინსტრუმენტს აქტიურად იყენებს, მაგრამ ბანკებს გარეთ დიდი რაოდენობით მიმოქცევადი ფულის მასის არსებობის გამო, დღევანდელ ეტაპზე, ეს ინსტრუმენტი მცირე ეფექტიანია. საქართველოს ეროვნულმა ბანკმა დეპოზიტების დაზღვევის სისტემა უნდა დახვეწოს, რითაც ბანკებისადმი მოსახლეობის ნდობა გაიზრდება. ამით კომერციული ბანკების მიერ მოზიდული სახსრები და ფულის მასაზე სარეზერვო ნორმის ზემოქმედება გაიზრდება.

სადისკონტო პოლიტიკის თვალსაზრისით მეტად მნიშვნელოვანია საკრედიტო რესურსებზე საპროცენტო განაკვეთების შემცირება, რაც ხელს შეუწყობს შიდასაკრედიტო ბაზარზე მოთხოვნის გაზრდას და ფართო ინექციებს ეროვნულ ეკონომიკაში. ბანკთა შორის საკრედიტო

რესურსების ბირჟაზე საპროცენტო განაკვეთების შემცირება შესაძლებლობას მისცემს საკრედიტო ინსტიტუტებს შედარებით იაფად შეიძინონ დამატებითი რეზერვები სესხების სახით, მაგრამ ესეც პრაქტიკულად გამორიცხულია, რადგან

საქართველოს ეროვნული ბანკი ახორციელებს „ძვირი ფულის“ პოლიტიკას. დღევანდელ ეტაპზე ეროვნულმა ბანკმა, საპროცენტო განაკვეთების შესამცირებლად, საკრედიტო რესურსების დეფიციტის შევსებით შეიძლება უფრო გააღრმავოს ფინანსური კრიზისი.

(ისეთი გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნისათვის, როგორიც საქართველოა ზემოთ ხსენებული ირიბი ინსტრუმენტებზე გადასვლა ვერ მოხერხდება სასწრაფოდ. მსოფლიოს განვითარებული ქვეყნებისათვის ასეთი გადასვლა მოხდა მხოლოდ 70-80 - იან წლებში, რაც შეადგენდა ფართომასშტაბიანი ფინანსური ლიბერალიზაციის პროცესის ნაწილს. ყოველივე ეს თანდათან, მაკროეკონომიკური წონასწორობის პირობებში, მიმდინარეობდა.

თუ გავითვალისწინებთ დაკვირვების შედეგებს, რომელიც ჩატარდა 19 განვითარებადი ეკონომიკის მქონე ქვეყნებში, დავინახავთ, რომ ეკონომიკის რეგულირების ირიბი ინსტრუმენტებზე გადასვლამ საშუალოდ 3,7 წელი დაიკავა. საიდანაც მხოლოდ სამ ქვეყანაში გაგრძელდა ერთ წლამდე ვადით.

საკრედიტო რესურსებზე საპროცენტო განაკვეთების შესამცირებლად, საქართველოს ეროვნულმა ბანკმა უნდა გააქტიუროს შემდეგი მიმართულებით მუშაობა:

- ნებისმიერი ღონისძიების გატარება, საკანონმდებლო და ნორმატიული აქტების (ადმინისტრაციული და ფსიქოლოგიური) მიღება ბანკებს გარეთ არსებული დიდი რაოდენობის ფულის მასის საბანკო სისტემაში

მოქცევის საშუალებას იძლევა;

- საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებიდან და სხვა დონორი ქვეყნებიდან, შემდეგი რეფინანსირებისათვის, შეღავათიანი კრედიტების მოსაზიდად;

- საბანკო სისტემის მდგრადობისა და კაპიტალიზაციის მაღალი დონის უზრუნველყოფის, ლიკვიდურობის გაუმჯობესების, დეპოზიტების დაზღვევის სისტემის შექმნისათვის, რაც საბანკო სისტემისადმი მოსახლეობის ნდობას გაზრდის;

- საფინანსო და ბანკთაშორისი საკრედიტო ბაზრების განვითარების ხელშეწყობისათვის;

- რაც მთავარია საკრედიტო რესურსების საპროცენტო განაკვეთებზე რისკის ფაქტორის შემცირების, რაზეც ეროვნული ბანკის გარდა მთავრობამაც უნდა იზრუნოს.

დღესდღეობით ეფემერული ფულად-საკრედიტო პოლიტიკის განსახორციელებლად საქართველოს ეროვნული ბანკი, ხელთ არსებული და მსოფლიოს სხვა ქვეყნებში განთავსებული ინსტრუმენტების დანერგვასა და გაშვების შესაძლებლობა იზრუნოს

მსოფლიოს სხვადასხვა განვითარებულ ქვეყნებში საბანკო სისტემის მიმართებით „ვინრო“ და „ფართო“ ფულად — საკრედიტო პოლიტიკა ჩამოყალიბდა.

„ვინრო“ ფულად-საკრედიტო პოლიტიკა ითვალისწინებს სხვადასხვა ინსტრუმენტების საშუალებით სავალუტო ბაზარზე ოპტიმალური კურსის შენარჩუნებას, რაც ზეგავლენას ახდენს მოკლევადიან საპროცენტო განაკვეთებზე.

„ფართო“ ფულად-საკრედიტო პოლიტიკა იბრძვის მიმოქცევაში არსებულ ფულად მასაზე ზემოქმედებით ინფლაციის წინააღმდეგ.

მსოფლიოში გავრცელებული ნებისმიერი ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ერთ-ერთი მთავარი პრობლემაა ის, რომ არც ერთ ცენტრალურ ბანკს არ შეუძლია ერთდროულად გააკონტროლოს და წარმართოს ფულის მიწოდების და სარგებლის განაკვეთის სტაბილიზება. დავუშვათ, რომ საქართველოს ეროვნულმა ბანკმა მიზნად დაისახა სარგებლის განაკვეთის სტაბილიზაცია, თუნდაც იმიტომ, რომ მისი მერყეობა საინვესტიციო ხარჯების დესტაბილიზაციას იწვევს, რასაც ეკონომიკის დესტაბილიზაციამდე მივყავართ. ახლა

წარმოვიდგინოთ, რომ ეკონომიკის ზრდის შესაბამისად იზრდება ერთობლივი ეროვნული პროდუქტი, რომელიც, თავის მხრივ, გაზრდის ფულზე მოთხოვნას. ამის შედეგად სარგებლის განაკვეთის სტაბილიზაციისათვის, ე.ი. პირვანდელ დონემდე შენარჩუნებისათვის, საქართველოს ეროვნული ბანკი ვალდებულია მიმოქცევაში გაზარდოს ფულის მიწოდება. ეს კი ეკონომიკის ჯანსაღ აღმავლობას ინფლაციურ ბუმად გადააქცევს. საქართველოს ეროვნული ბანკი სწორედ ამ პრობლემის თავიდან აცილებას ცდილობს.

განვიხილოთ მეორე პრობლემა: თუ საქართველოს ეროვნული ბანკი მოინდომებს მხოლოდ ფულის მიწოდების სტაბილურობას, ასეთ შემთხვევაში უნდა შეურიგდეს სარგებლის განაკვეთის მერყეობას, რაც გამოიწვევს მაკროეკონომიკურ არა მყარობას. ერთობლივი ეროვნული პროდუქტის ზრდა იწვევს ფულზე მოთხოვნისა და სარგებლის განაკვეთის დონის გადიდებას. ამ უკანასკნელის ზრდა შეამცირებს საინვესტიციო ხარჯებს და ხელს

შეუშლის ეკონომიკის ზრდას.

ამრიგად, არც ერთი ქვეყნის ფულად-საკრედიტო სისტემას ჯერ არ მიუღწევია იმ დონემდე, რომ ერთდროულად მოეხდინა ფულის მიწოდებისა და სარგებლის განაკვეთის სტაბილიზაცია.

საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკა უფრო ეფემერულ ხელს შეუწყობდა ფულის მასაზე და არა საპროცენტო განაკვეთებზე, თუმცა ეს პროცესები განუყოფელია. პრაქტიკულად განუვრცირება ხდება ეკონომიკური ზრდის სტიმულირებასა (დაბალი საპროცენტო განაკვეთი) და ინფლაციასთან ბრძოლას შორის (მაღალი საპროცენტო განაკვეთი).

(საქართველოს ეროვნული ბანკი მოვალეა თავისი ფულად-საკრედიტო პოლიტიკით ფასების სტაბილურობის პირობებში ხელი შეუწყოს წარმოებისა და დასაქმების ზრდას. ამ მიზნების განხორციელება მეტად რთულია და მოითხოვს ზედმიწევნით ზუსტ გათვლებსა და სათანადოდ გამოზომილი ღონისძიებების გატარებას ბაზარზე ფსიქოლოგიური ზემოქმედების ჩათვლით. ეკონომიკის წახალისებისათვის ხშირად საჭიროა ფულის მასის ზრდა, რაც ფულადი ბაზრის არასაკმარისი კონტროლის პირობებში ძალიან საშიშროა.)

(საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ინფლაციის მართვისას გამოყენებული ფულად-

საკრედიტო რეგულირება ისეთი ძირითადი ფულადი მაჩვენებლების ზრდაზე კონტროლით განხორციელდა, როგორებიცაა: საქართველოს ეროვნული ბანკის წმინდა საშინაო აქტივები, საბიუჯეტო სექტორის წმინდა შიდა კრედიტები და წმინდა ოფიციალური საერთაშორისო რეზერვები.

მოდით გადავხედოთ 1995-1998 წლებში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ მთავრობაზე გაცემული სესხების დინამიკას (იხ. ცხრილი №2), რაც მიმოქცევაში ფულის მასის ზრდის ძირითადი საშუალებაა და ზემოქმედებს ინფლაციის ტემპზეც.)

1996 წელს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის დაფინანსება განხორციელდა ძირითადად საქართველოს ეროვნული ბანკისა და მსოფლიო ბანკის სესხებით, შესაბამისად 185,9 მლნ. ლარის და 56,8 მლნ. ლარის ოდენობით. აგრეთვე საანგარიშო წლის დასაწყისში საბიუჯეტო ანგარიშებზე რიცხვული ნაშთების გამოყენებით. ხოლო 1997 წელს სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის დაფინანსება განხორციელდა: 116 მლნ. ლარის ოდენობის საქართველოს ეროვნული ბანკის სესხებით, 147 მლნ. ლარის მსოფლიო ბანკის სესხებით და 13 მლნ. ლარის სახაზინო ვალდებულებების ემისიით.

1995-1996 წლებთან შედარებით, 1997 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის დაფარვისათვის მონეტარული დაფინანსების კლების მიუხედავად, ჯერ კიდევ ძლიერია ურთიერთკავშირი ფისკალურ და მონეტარულ პოლიტიკას შორის. ეს დამატებითი ფულის მასის ემისიას (უარყოფითი თანამდევნი მოვლენებით) განაპირობებს.

ამასთან ერთად ფინანსთა სამინისტროს 1997 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ერიცხებოდა სესხებთან დაკავშირებული დავალიანება 296,7 მლნ. ლარის ოდენობით. მათ შორის:

1994 წელს მიღებული სესხის დავალიანება 16,9 მლნ. ლარია, რომლის დაფარვა იურიდიული დოკუმენტებით გათვალისწინებულია 1999 წელს (სესხის სარგებლობისათვის წლიური 1 პროცენტის გადახდით);

1995 წელს მიღებული სესხის დავალიანება 93,7 მლნ. ლარის 2000 წელს დაფარვის ვადით, მათ შორის 1995 წლის 1 ივლისამდე მიღებულ 68,8 მლნ. ლარის სესხზე დადგენილია წლიური 1 პროცენტი, ხოლო 1 ივლისის შემდეგ მიღებულ 24,9 მლნ. ლარის კრედიტზე სარგებლობისათვის წლიური 15 პროცენტი.

თუ გადავხედავთ 1998 წლის ფულის მასის დინამიკას, ნათლად დავინახავთ, რომ ფართო ფულის მასამ პიკს აგვისტოს თვეში მიაღწია (იხ. გრაფიკი №1) და მოცულობამ 400,3 მლნ. ლარი

შეადგინა. ხოლო, ივლისის თვეში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ მთავრობაზე 44,4 მლნ. ლარის ოდენობის სესხი გაიცა (იხ. ცხრილი №2), რაც ყველაზე მაღალი თვიური მაჩვენებელია ბოლო 3 წლის განმავლობაში. ამ მიზეზებმა ლარის დევალვაციის პირველი ბიძგი გამოიწვიეს.

1998 წლის ფულის მასის დინამიკა

ფულის მასის ცვლილება გარკვეულწილად დამოკიდებული უნდა იყოს მშპ-ს ცვლილებაზე, მაგრამ ეს საერთოდ არ ჩანს ფულის მიწოდების პოლიტიკაში. თუ 1998 წლის ცხრა თვეში მშპ 4,8 პროცენტით გაიზარდა, ფართო ფული უცხოური დეპოზიტების გარეშე 14,6 პროცენტით, ხოლო ფართო ფული უცხოური დეპოზიტების ჩათვლით - 6 პროცენტით შემცირდა.

1998 წლის თებერვლიდან - აგვისტომდე მიმოქცევაში ზრდის ტენდენციის მქონე ნაღდი ლარები, შემდგომ სამ თვეში 71 მლნ. ლარით შემცირდა. ლარზე მოთხოვნა მხოლოდ 16 დეკემბრიდან აღინიშნა, რაც განაპირობა, ერთის მხრივ, ბიუჯეტში გადასახადების ნაწილობრივად მობილიზაციამ, ხოლო, მეორეს მხრივ, წლის ბოლოს თელასის პრივატიზაციის შედეგად მიღებული თანხების ინტენსიურად ხარჯვამ. ამის შედეგად ნაღდი ფული მიმოქცევაში დეკემბრის ბოლოს 25,7 პროცენტით გაიზარდა, რამაც ძლიერ იმოქმედა სამომხმარებლო საქონლის ფასებზე.

1998 წლის ბოლოსათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ მთავრობაზე გაცემული სესხის მთლიანი მოცულობამ შეადგინა 541,5 მლნ. ლარი, აქედან 1998 წელს 128,8 მლნ. ლარი გაიცა. უნდა აღინიშნოს, რომ რეალურად გაცემულ იქნა 165,6 მლნ. ლარი, მაგრამ დეკემბრის ბოლო რიცხვებში მიღებული მსოფლიო ბანკის სტრუქტურული გარდაქმნების მეორე კრედიტის ხარჯზე მთავრობამ დავალიანების მოცულობა 36,8 მლნ. ლარით შეამცირა.

საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ სულ 1998 წლის განმავლობაში გაცემული 294,1 მლნ. ლარის ოდენობის კრედიტიდან 287,1 მლნ. ლარი ანუ 97,6 პროცენტი მთავრობისათვის გაცემულ კრედიტზე მოდის, ხოლო 7 მლნ. ლარი - კომერციულ ბანკებზე.

1998 წლის განმავლობაში ფინანსთა სამინისტროს საქართველოს ეროვნული ბანკისაგან მიღებული აქვს კრედიტი 287,1 მლნ. ლარის ოდენობით სესხის სარგებლობისათვის წლიურად 11 პროცენტის გადახდით. მათ შორის 128,8 მლნ. ლარი - სახელმწიფო ბიუჯეტის

დეფიციტის დასაფარავად ხუთ წლამდე ვადით. აქედან 120 მლნ. ლარი აღებულია - ევროგაერთიანების სესხების რესტრუქტურის მიზნით, რომლის დაფარვაც უზრუნველყოფილ იქნა მისი განხორციელების შედეგად მიღებული თანხებიდან 1998 წლის აგვისტოს თვეში, ხოლო 38,3 მლნ. ლარი გაცემულ იქნა მსოფლიო ბანკიდან და ევროგაერთიანებიდან მისაღები კრედიტის და გრანტების დადგენილ ვადებში მიუღებლობის გამო, რომლის დაფარვაც მითითებული ორგანიზაციებიდან დეკემბრის თვის ბოლოს თანხის მიღებისთანავე განხორციელდა.


1998 წელს წინა წელთან შედარებით მთავრობის წმინდა დავალიანება III მლნ. ლარით გაიზარდა და 1999 წლის 1 იანვარს - 507,9 მლნ. ლარი შეადგინა

საქართველოს ეროვნული ბანკისადმი მთავრობის წმინდა დავალიანებაში აღნიშნული ცვლილებები ძირითადად განპირობებულია:

- მთავრობაზე გაცემული კრედიტიდან დეკემბრის ბოლოს 32,1 მლნ. ლარის დაფარვით (SAC-ის II ტრანშის 20 მლნ. აშშ. დოლარის მიღების შესაბამისად და დეკემბრის თვის ბიუჯეტის შესახებ კანონში ცვლილებების თანახმად, ბიუჯეტის დეფიციტის შესავსებად გასაცემი სესხების ლიმიტთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით);

- მთავრობის ანგარიშებზე დეპოზიტების 23,6 მლნ. ლარით გაზრდით, რაც თელასის პრივატიზაციის შედეგად შემოსული და

დიაგრამა №1



გამოუყენებელი თანხების არსებობითაა გამოწვეული, ასევე ევროგაერთიანების გრანტის 6 მლნ. ეკიუს ექვივალენტი 12,8 მლნ. ლარის საპარტნიორო ფონდის ანგარიშზე ჩარიცხვით.

საქართველოს ეროვნული ბანკის სხვა წმინდა აქტივები 1998 წლის დასაწყისთან შედარებით 95 მლნ. ლარით გაიზარდა და 1 იანვრისათვის

შეადგინა 78 მლნ. ლარი, რაც ძირითადად განაპირობა უცხოური ვალუტის გადაფასების ანგარიშზე აქტიური ნაშთის, აშშ. დოლარის მიმართ SDR-ის და ლარის გაცვლითი კურსის ცვლილების შედეგად, 214 მლნ. ლარით ზრდამ, იმავდროულად მთავრობის სესხით სარგებლობისთვის დარიცხული პროცენტებისა და სხვა დებიტორების ანგარიშებზე აქტიური ნაშთების შემცირებამ.

ხოლო, რაც შეეხება ბანკების წმინდა დავალიანებას, იგი წინა წელთან შედარებით, გაიზარდა 3,1 მლნ. ლარით და მიმდინარე წლის 1 იანვრისათვის შეადგინა 6,6 მლნ. ლარი.

ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, მთავრობის წმინდა დავალიანებების, სხვა აქტივების და ბანკების წმინდა დავალიანებების მაჩვენებლებში მომხდარი ცვლილებების შედეგად წმინდა

საშინაო აქტივები - წლის დასაწყისიდან გაიზარდა 209 მლნ. ლარით და შეადგინა 592,5 მლნ. ლარი (იხ. გრაფიკი №2).

1998 წლის აგვისტოდან ჩამოყალიბებული ინფლაციური მოლოდინისა და შესაბამისად უცხოურ ვალუტაზე მოთხოვნის სისტემატური ზრდის შედეგად შემცირდა როგორც სარეზერვო ფულის ბაზა, ასევე საქართველოს ეროვნული ბანკის საერთაშორისო რეზერვები. საბოლოოდ, სარეზერვო ფული 1998 წლის დასაწყისიდან შემცირდა 17 მლნ. ლარით და 1 იანვრისათვის შეადგინა 259,7 მლნ. ლარი (იხ. გრაფიკი №1), მიუხედავად იმისა, რომ დეკემბრის თვეში ეს მაჩვენებელი გაიზარდა 51,7 მლნ. ლარით, მათ შორის:

- მიმოქცევაში ნაღდი ფული დეკემბერში 42,4 მლნ. ლარით გაიზარდა, 222 მლნ. ლარი შეადგინა. მიმოქცევაში ნაღდი ფულის ზრდა ძირითადად გამოწვეულია დეკემბერში მთავრობაზე 25 მლნ. ლარის, ხოლო ბანკებზე 4 მლნ. ლარის ოდენობით სესხების გაცემით, აგრეთვე სუბ-ის მიერ თბსბ-ზე აშშ. დოლარის შესყიდვით განხორციელებული წმინდა ინტერვენციების შედეგად 1,6 მლნ. აშშ. დოლარის ექვივალენტი 3 მლნ. ლარის გაცემით.


- ბანკების საკორესპოდენტო ანგარიშებზე თანხები გაიზარდა 13,3 მლნ. ლარით, 1 იანვრისათვის შეადგინა 19,7 მლნ. ლარი, თელასის პრივატიზაციის თანხიდან მერიის და ქონების მართვის კომიტეტის კუთვნილი თანხის 10,4 მლნ. ლარის, მათ მომსახურე ბანკის „საქართველოს ბანკის“ ანგარიშზე ჩარიცხვით.

- სავალდებულო რეზერვები შემცირდა 4 მლნ. ლარით და შეადგინა 18 მლნ. ლარი, რაც განპირობებულია ბანკების დეპოზიტების შემცირებით.

წმინდა საშინაო აქტივების ფაქტობრივი

ოდენობა 123,9 მლნ. ლარით აღემატებოდა პროგრამით გათვალისწინებულ მაჩვენებელს.

დიაგრამა №2



1999 წლის 1 იანვრის მდგომარეობით მან 592,5 მლნ. ლარი შეადგინა. საქართველოს ეროვნული ბანკის წმინდა საშინაო აქტივები ძირითადად ფორმირებულია მთავრობის წმინდა დავალიანებით, რომელიც შეადგენს მთელი აქტივების 97,6 პროცენტს. იგი ბიუჯეტის დეფიციტის დაფარვის მიზნით საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ 1994-1998 წლებში აღებულ კრედიტებს - 507,9 მლნ. ლარს მოიცავს, ასევე საქართველოს ეროვნული ბანკის დეფიციტის დასაფარავად ფინანსთა სამინისტროს მიერ გამოშვებულ სავალ ვალდებულებების თანხას - 70,3 მლნ. ლარს. წმინდა საშინაო აქტივების პროგრამულთან ზრდა განაპირობა მთავრობის წმინდა დავალიანების და სხვა წმინდა აქტივების გაზრდამ შესაბამისად 78,1 მლნ. ლარით და 52,1 მლნ. ლარით, კომერციული ბანკების დავალიანების 6,3 მლნ. ლარით ნაკლებობის პირობებში.

1999 წელს პარლამენტმა განსაზღვრა ეროვნული ბანკის მიერ მთავრობისათვის მისაცემი სახსრის ოდენობა, რომელსაც მოსამაჟად საზღვარსაღეთ შემოსავლების დეფიციტისა არ უნდა გაიზარდოს.

საქართველოს პარლამენტის დადგენილებით „საქართველოს 1999 წლის ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების შესახებ“ განისაზღვრა, რომ 1999 წელს ფულის M2 აგრეგატი 1998 წელთან შედარებით გაიზარდეს 12,8 პროცენტით, ხოლო M3 ფართო ფულის აგრეგატი — 11 პროცენტით.

ამ ზოგად პარამეტრებთან ერთად, 1999 წელს საქართველოს ეროვნული ბანკი ფულის მიწოდებას ბაზარზე განხორციელებს ორი მიმართულებით: მთავრობისა და კომერციული ბანკების დაკრედიტების გზით.

მთავრობის დავალიანების ზრდა საქართველოს ეროვნული ბანკის მიმართ მიმდინარე წელს 125,5 მლნ. ლარის ოდენობით უნდა განხორციელდეს, მათ შორის სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის დასაფარავად გათვალისწინებულია 15,5 მლნ. ლარი. ხოლო საქართველოს ეროვნული ბანკის რეკაპიტალიზაციისათვის დავალიანების ზრდა (შესაბამისად 11 და 20 პროცენტის წლიურად გადახდით) ფინანსთა სამინისტროს მიერ გამოშვებული ფასიანი ქაღალდებით (110 მლნ. ლარის ოდენობით) არის დაგეგმილი.

ხოლო კომერციული ბანკების დაკრედიტებით, რომელიც ფულის მიწოდების მეორე მიმართულებაა, 1999 წლის ბოლოს დავალიანების თანხამ დაახლოებით 12 მლნ. ლარი უნდა შეადგინოს. საბაზრო საპროცენტო განაკვეთით ეს სახსრები კომერციული ბანკების ლიკვიდურობის შევსებისა და ქვეყნის ეკონომიკის რეალური სექტორის დაკრედიტებისათვისაა გათვალისწინებული.

ამასთან არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლებში, გადასახადების დროულად ამოუღებლობის პირობებში, საქართველოს ეროვნულმა ბანკმა არავითარ შემთხვევაში არ უნდა დააკმაყოფილოს ფინანსთა სამინისტროს მოთხოვნები დამატებით კრედიტებზე, რადგან აღნიშნული წარმოადგენს მიმოქცევაში ნაღდი ფულის ზრდას, უცხოური ვალუტის რეზერვების შემცირებისა და ინფლაციური მოლოდინის განმტკიცების მნიშვნელოვან ფაქტორს.

დღევანდელ ეტაპზე მეტად მნიშვნელოვანია ინფლაციის პროცესის ანალიზი და მისი სწორი პროგნოზი, რაც უმთავრესად განსაზღვრავს ისეთი პარამეტრების დაგეგმვას, როგორიცაა მშპ, სახელმწიფო შემოსავლები და სხვა.

წინა წლების განმავლობაში სწორად შერჩეულმა მონეტარულმა პოლიტიკამ უზრუნველყო ინფლაციური პროცესების შენელება და ფასების სტაბილურობა. სამომხმარებლო ფასების დონე 1995 წელს, წინა წლის დეკემბერთან შედარებით, 57,4 პროცენტით გაიზარდა, ხოლო 1996 წელს ეს მაჩვენებელი 13,8 პროცენტი იყო, 1997 წელს იგი 7,3 პროცენტს


1998 წლის დეკემბრის მდგომარეობით საქართველოს ეროვნული ბანკის აქტივების ზრდა, რომელიც 1998 წლის დეკემბრის მდგომარეობით 123,9 მლნ. ლარს შეადგენდა, 1999 წლის იანვრის მდგომარეობით 592,5 მლნ. ლარს შეადგინა.

გაუტოლდა (იხ. გრაფიკი №3).

1998 წლის განმავლობაში შეიმჩნეოდა ინფლაციის დონის შემცირების ტენდენცია და მან თვეში საშუალოდ 0,6 პროცენტი შეადგინა, ანუ 0,45 პროცენტით ნაკლები გასული წლის შესაბამის მაჩვენებელთან შედარებით.

მაისის თვემდე ფასები ზომიერი ტემპით მატულობდა და ინფლაციის ტემპი 2,3 პროცენტი იყო; ხოლო შემდეგ დაიწყო დეფლაციური

დიაგრამა №3



პროცესები და ნოემბრის ბოლოს მისი დონე, 1997 წლის დეკემბერთან შედარებით 1,2 პროცენტით შემცირდა (იხ. გრაფიკი №4). ხოლო დეკემბრის თვეში წინა თვესთან შედარებით 12,1 პროცენტით გაიზარდა.

თუ წლის დასაწყისიდან ოქტომბრის ჩათვლით ეროვნული ბანკი სავალუტო ბაზარზე ინტერვენციების მეშვეობით, ასე თუ ისე, ახერხებდა დოლართან მიმართებაში ლარის გადაცვლის სტაბილური კურსის შენარჩუნებას, ნოემბრის ბოლოდან მან, სავალუტო რეზერვების მკვეთრი შემცირების გამო, უკვე ვეღარ შეძლო ასეთი პოლიტიკის გაგრძელება და იძულებული გახდა გადასულიყო თავისუფალი სავალუტო კურსის პოლიტიკის განხორციელებაზე. ყოველივე ამან სათანადო ასახვა ჰპოვა საქონლისა და მომსახურების ბაზარზე მოთხოვნა-მიწოდებასა და, საბოლოო ანგარიშით, ფასების დინამიკაზე.

საყურადღებოა, რომ ფასები გაიზარდა იმპორტირებულ საქონელზე, როგორცაა სასაქონლო ჯგუფებიდან: ზეთი და ცხიმი (36,1 პროცენტით), თამბაქოს ნაწარმი (31,7 პროცენტით). საერთო ჯამში 1998 წლის სამომხმარებლო ფასების ინდექსი წინა წელთან შედარებით დაფიქსირდა 110,7 დონეზე, რაც 4-5 პუნქტით აღემატება ამ პარამეტრის მიზნობრივ მაჩვენებელს.

უნდა აღინიშნოს, რომ თავისუფალ სავალუტო კურსზე გადასვლა არსებითად ცვლის მაკროეკონომიკურ სიტუაციას. თუ ცოტა წინ გავუსწრებთ მოვლენებს და პროგნოზს გავუკეთებთ 1999 წლის ინფლაციის დონეს, ის ლარის დევალვაციის პროცესთან ერთად (სხვა ქვეყნების გამოცდილების გათვალისწინებით)

კიდევ უფრო გაიზრდება და არა მგონია, რომ მთავრობის პროგნოზმა გაამართლოს (10 პროცენტის დონეზე). რადგან 1999 წლის პირველი სამი თვის მონაცემებით უკვე დაფიქსირებულია 9,8 პროცენტიანი ინფლაცია, რაც საფრთხეს შეუქმნის სხვა მაკროეკონომიკური პარამეტრების პროგნოზირებას.

ამასთან, თუ გადავხედავთ უკანასკნელი ორი-სამი წლის სამომხმარებლო ფასების ინდექსსა და მიმოქცევაში არსებული ფულზე დაკვირვებას დავინახავთ, რომ მათი ზრდა წლის გარკვეულ მონაკვეთში განპირობებულია სოფლის მეურნეობის პროდუქციის სეზონურობასთან, აგრეთვე ტრადიციისამებრ მოსახლეობის შობა-ახალი წლის დღესასწაულისადმი დამოკიდებულებით. ნაღდ ფულზე მოთხოვნა და ფულის მასა მიმოქცევაში სექტემბრიდან იანვრის პირველ ნახევრამდე იზრდება, რასაც თან ახლავს ფასების გარკვეულწილად მატება.


თანამედროვე ეტაპზე საქართველოში ინფლაციურ პროცესებზე ძირითადად მოქმედებს შემდეგი ფაქტორები:

- რომლებიც ფულადი მასის მოძრაობაზე ზემოქმედებენ და ინფლაციური პროცესების დაჩქარებას ხელს უწყობენ;

- მეორე ჯგუფის ფაქტორები საქონელთა და მომსახურების ფასების ზრდის კვალობაზე ინვევენ მიმოქცევაში ფულის მასის გადიდებას.

ინფლაციის დროს, როცა ფულის მიწოდება პოლიტიკით იზღუდება, ფულის მიმოქცევის სიჩქარეს ზრდის ტენდენცია გააჩნია და პირიქით,

დიაგრამა №4



ეკონომიკის დაქვეითების პერიოდში ფულის მიმოქცევის სიჩქარე ფულის მიწოდების გასაზრდელად განხორციელებული პოლიტიკის განხორციელებით შეიძლება დაეცეს. არ შეიძლება ფულად-საკრედიტო სისტემაში მიმდინარე პროცესები საბიუჯეტო-საგადასახადო სისტემის გარეშე განვიხილოთ.

ქვეყნის განვითარების თანამედროვე ეტაპზე სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულება წარმოადგენს ეკონომიკაში სტრუქტურული გარდაქმნების

განხორციელების ერთ-ერთ ძირითად ხელშეწყობ მექანიზმს. ამ მხრივ მეტად საინტერესოა 1998 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების მაჩვენებლები.

1998 წლის სახელმწიფო შემოსავლების მობილიზაციით მიღწეულმა დონემ (გრანტების გარეშე) 830 მლნ. ლარს გადააჭარბა (ფინანსთა სამინისტროს მონაცემებით), ხოლო საგადასახადო შემოსავლების მიხედვით კი 509 მლნ. ლარს მიაღწია. სახელმწიფო ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლების მოცულობამ (გრანტების ჩათვლით) შეადგინა 666,5 მლნ. ლარი (შესრულდა 68 პროცენტით), ხოლო საგადასახადო შემოსავლების სახით მიღებულ იქნა 330,96 მლნ. ლარამდე სახსრები, რომელიც გეგმასთან შედარებით 54 პროცენტით შესრულდა.

ქვეყნის საგადასახადო შემოსავლების ზრდის ტემპზე 1998 წლის განვლილ პერიოდში გარკვეულ უარყოფით გავლენას ახდენდა სამომხმარებლო ფასების ინდექსის უკანასკნელ პერიოდში ჩამოყალიბებული შემცირების ტენდენცია და აგვისტოს თვეში რუსეთში განვითარებული მოვლენები; სახელმწიფო ბიუჯეტის შეუსრულებლობა უმთავრესად საგადასახადო და საბაჟო სამსახურებში არსებულ რთულ კორუფციულ სიტუაციას უნდა მივაწეროთ, რომლებმაც ამ წლის საგადასახადო გეგმა შეასრულეს მხოლოდ 49 და 60 პროცენტით. 1998 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლების გეგმის შეუსრულებლობით ბიუჯეტს დააკლდა 284,6 მლნ. ლარი.

1998 წლის მეორე კვარტლიდან საგადასახადო ინსპექციის მიერ გეგმიური დავალებების შესრულების მდგომარეობა გაუარესდა, ხოლო წლის პირველი კვარტლის შედეგების მიხედვით აღნიშნული 101,5 პროცენტით იქნა შესრულებული. 1998 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლების გეგმით, საგადასახადო ინსპექციის მიერ, უმთავრესად, ვერ შესრულდა დღგ (გეგმასთან შედარებით 64,7 პროცენტით შესრულდა) და აქციზი (41,3 პროცენტით შესრულდა).

რაც შეეხება საბაჟო სისტემაში მობილიზებულ საბიუჯეტო შემოსავლებს, იგი 1998 წლის გეგმასთან შედარებით 60 პროცენტით შესრულდა და შეადგინა 209,2 მლნ. ლარი. აქედან, ცენტრალურ ბიუჯეტში გადაირიცხა 163,2 მლნ. ლარი. მათ შორის, საქართველოს ეროვნული ბანკის მონაცემებით, დღგ-დან მიღებულ იქნა 80,1 მლნ. ლარი, აქციზი - 24,9 მლნ. ლარი და საბაჟო გადასახადი - 58,1 მლნ. ლარის ოდენობით. უმთავრესად სახელმწიფო ბიუჯეტის გეგმით ვერ შესრულდა დღგ (შესრულების მაჩვენებელი 87,6 პროცენტი იყო) და აქციზი (24,9 პროცენტით იქნა

შესრულებული).

უნდა აღინიშნოს, რომ 1998 წელს საგარეო ვაჭობაში მთლიანი ბრუნვა, წინა წელთან შედარებით, გაიზარდა და შეადგინა 1242,6 მლნ. აშშ დოლარი. მათგან საგადასახადო დაბეგვრას ძალიან მცირე ნაწილი ექვემდებარებოდა, რადგან ძირითადად იმპორტირებულ იქნა ისეთი საქონელი, რომელიც თითქმის განთავისუფლებულია დაბეგვრისაგან (კერძოდ, რეესპორტის რეჟიმით განხორციელებული იმპორტი, უცხოური ინვესტიციების ხარჯზე შემოტანილი საიმპორტო საქონელი, ჰუმანიტარული დახმარების ტვირთები და სხვა). ამის გამო აუცილებელია მაქსიმალურად შემცირდეს ყოველგვარი შეღავათები.

თუ თვეების მიხედვით განვიხილავთ საბაჟო სისტემაში მობილიზებულ სახსრებს ნათლად დავინახავთ, რომ აპრილის თვის შემდეგ შემოსავლები მნიშვნელოვნად მცირდებოდა და უკვე ივნისის თვეში ყველაზე დაბალი მაჩვენებელია - 9 986 ათასი ლარი. ხოლო ოქტომბრის თვეში ყველაზე არასახარბიელოდ შესრულდა გეგმა და შეადგინა 63,6 პროცენტი.

ასევე, აღსანიშნავია, რომ მსხვილმა გადახდებმა სულ საგადასახადო შემოსავლების გეგმა შეასრულეს 70,4 პროცენტით, რის გამოც ბიუჯეტმა ვერ მიიღო 42,8 მლნ. ლარი. საბოლოოდ შეიძლება ითქვას, რომ

1998 წლის მეორე ნახევარში გადასახადების მობილიზაციის დაბალმა დონემ გამოიწვია არა მხოლოდ ფინანსური კრიზისი, არამედ შემდგომი სავალუტო კრიზისის განვითარებისათვის მთავარი ფაქტორი შეიძნა

დაგეგმილი საგადასახადო შემოსავლების ვერ უზრუნველყოფა, ძირითადად ადმინისტრირებაში არსებული ნაკლოვანებების შედეგია. სათანადო აღრიცხვიანობის არ არსებობასთან ერთად, გადასახადების ამოღებასთან დაკავშირებით არ იგრძნობა ხელისუფლების პოლიტიკური ნება. თუ სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების გეგმა 1998 წლის პირველ კვარტალში შესრულდა 118,1 პროცენტით, ნახევარი წლის განმავლობაში ეს პარამეტრი 85,6 პროცენტამდე, ხოლო 11 თვეში 77 პროცენტამდე და საბოლოოდ 68 პროცენტამდე შემცირდა. არსებული ჩავარდნები ძირითადად გამოწვეული იყო საგადასახადო და საბაჟო შემოსავლების მობილიზაციაში დაშვებული გარღვევებით.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ახლად ჩამოყალიბებული საბანკო სისტემისათვის და განხორციელებული ეკონომიკური რეფორმებისათვის ერთ-ერთი ყველაზე აღსანიშნავი ფაქტი ფულადი რეფორმა — ეროვნული ვალუტის ღირის შემოღება და მისი

სტაბილური გაცვლითი კურსის შენარჩუნება იყო. თუ ახლო წარსულს გადავხედავთ: 1995 წელს საბოლოოდ დასრულდა ფიქსირებულიდან რეგულირებად მცურავ კურსზე გადასვლა, რამაც საქართველოს ეროვნულ ბანკს საშუალება მისცა მოქნილი საინტერვენციო პოლიტიკა გაეტარებინა და საერთაშორისო რეზერვები დაეზოგა. ინტერვენციები უპირატესად არასტერილურ ხასიათს ატარებდა და მისი გამოყენება მიზნად ისახავდა არა მხოლოდ ქვეყნის სავალუტო ბაზრის კონიუნქტურის რეგულირებას, არამედ მიმოქცევის არსებში ემიტირებული ფულადი სახსრების განეიტრალებასა და ინფლაციის მოთოკვას. ინტერვენციების ეფექტიანობა ნათლად აისახა ლარის რეალური სავალუტო კურსის დინამიკაში.

(საქართველოში საპროცენტო განაკვეთების და ფულის მასის რეგულირებისათვის ეროვნული ბანკის ძირითად იარაღად მინიმალური სარეზერვო მოთხოვნები და სავალუტო პოლიტიკა გვევლინება. რადგან, სხვა საშუალებების (ფასიანი ქაღალდების, მათ შორის სახაზინო ვალდებულებების და თამასუქების ბაზრების), სუსტი განვითარების გამო, ფულად ბაზარზე ზემოქმედება შეზღუდულია.)

1995-1996 წლებში საქართველოში მიმდინარე ეკონომიკური რეფორმებით შეიქმნა ქვეყანაში სავალუტო რეჟიმის ლიბერალიზაციის საშუალება, რაც უპირველეს ყოვლისა გამოიხატება საგადასახადო ბალანსის, როგორც მიმდინარე ასევე კაპიტალის მოძრაობის ოპერაციებზე შეზღუდვების მოხსნით. ეს საერთაშორისო სავალუტო ფონდის იურიდიული სამსახურის მიერ ჩატარებული ექსპერტიზით იქნა დადასტურებული.

ლარის აშშ დოლართან გაცვლის კურსი, 1995 წლის ოქტომბერის თვიდან 1998 წლის შემოდგომამდე, შედარებით სტაბილური იყო. ამ პერიოდში საქართველოს ეროვნული ბანკი ატარებდა „მართვადი მცურავი“ კურსის პოლიტიკას. 1996 წლის განმავლობაში ლარის ოფიციალური კურსი, აშშ დოლართან მიმართებაში, 3,1 პროცენტით დაეცა, ხოლო 1997 წელს ლარის კურსი აშშ დოლართან მიმართებაში კვლავ 3 პროცენტით შემცირდა.

სავაზრო დეფიციტის გამომწვევად ზრდა უარყოფითად უნდა შეფასდეს, კერძოდ აღნიშნული თუ 1997 წელს 703,7 მლნ. აშშ დოლარი იყო, 1998 წელს 854,6 მლნ. აშშ დოლარს გაუტოლდა

1998 წელი საქართველოს ეკონომიკისათვის უმწვავესი გამოდგა. მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის მისაღწევად განხორციელებულმა რეფორმებმა, ეროვნული ვალუტის ლარის შემოღებამ, ინფლაციური პროცესების

კონტროლმა, გაცვლითი კურსის სტაბილიზაციამ, რითაც ჩვენ ამ ხნის განმავლობაში ვამაყოფდით, ერთიანი ეკონომიკური პოლიტიკის არარსებობის პირობებში, კრახი განიცადა.

თანამედროვე ეტაპზე საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განხორციელებული პოლიტიკიდან დიდი მნიშვნელობა ენიჭება სავალუტო პოლიტიკას, რომელიც 1998 წლის განმავლობაში აყენებდა ისეთი ამოცანების გადწყვეტის აუცილებლობას, როგორიცაა აშშ დოლარის მიმართ ლარის გაცვლის კურსის მკვეთრი რყევების თავიდან აცილება, ინფლაციური მოლოდინის გაქარწყლება და ეროვნული ვალუტის მიმართ ეკონომიკური სუბიექტებისა და მოსახლეობის ნდობის შენარჩუნება.

განსაკუთრებით აღსანიშნავია 1998 წლის პირველი ათი თვის მიმოხილვა. უმთავრესად ფულად-საკრედიტო კრიზისი ამ პერიოდში მომწიფდა. რასაც, არაორდინალური გადანყვეტილების შედეგად, გაღრმავების პროცესი მოჰყვა.

1998 წლის 10 თვეში წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით ფასების დონე შემცირდა. კერძოდ, ადგილი ჰქონდა 2,25 პროცენტთან დეფლაციას (იხ. გრაფიკი №3), მაშინ როდესაც გასული წლის ანალოგიურ პერიოდში ინფლაციის მაჩვენებელი 4,11 პროცენტი იყო. ფასების დონის მნიშვნელოვანი დაცემას ადგილი ჰქონდა მაის-ივლისის პერიოდში. ასეთი მდგომარეობა საამაყო კი არაა, როგორც ამას ზოგიერთი ეკონომისტი ფიქრობს, არამედ საგანგაშოა. საქართველოს ეროვნულმა ბანკმა ამ პროცესს ლარების მიმოქცევიდან ამოღებით უპასუხა და ხელი შეუწყო ლარის „შიმშილს“.

ბოლო წლების დადებით ტენდენციად შეიძლება ჩაითვალოს საგარეო ვაჭრობის ბრუნვის ზრდა. მაგალითად საქართველოში: 1994 წელს მისი მოცულობა იყო 539,2 მლნ. აშშ. დოლარი, 1995 წელს - 542,8 მლნ. დოლარი, 1996 წელს იგი 884 მლნ. აშშ. დოლარს გაუტოლდა. ე.ი. ზრდა, წინა წელთან შედარებით, 342 მლნ. დოლარი იყო. 1997 წელს ქვეყნის სავაჭრო ბრუნვა 1160 მლნ. აშშ. დოლარი გახდა, რაც 276 მლნ. აშშ. დოლარით მეტია წინა წელთან შედარებით, ხოლო 1998 წელს კიდევ გაიზარდა 59 მლნ. აშშ. დოლარით

და შეადგინა 1242,6 მლნ. აშშ. დოლარი (იხ. ცხრილი №3), რაც 1997 წლის მაჩვენებელს 5 პროცენტით აღემატება. ასევე გაფართოვდა სავაჭრო პარტნიორი ქვეყნების გეოგრაფია და მათი რიცხვი, წინა წლის 93-ის ნაცვლად, 102 გაუტოლდა.

1998 წელს ექსპორტი 194,0 მლნ. აშშ დოლარი იყო, ხოლო იმპორტი 1048,6 მლნ. აშშ დოლარი (1997 წელს — შესაბამისად 239,8 მლნ. და 943,5 მლნ. დოლარი). მთლიანობაში საქართველოს საგარეო

სავაჭრო ბალანსის სალდომ 854,6 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა. (1997 წელს შესაბამისად - 703,7 მლნ. აშშ დოლარი).


აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენთან განვითარებულ მოვლენებს რუსეთის საფინანსო კრიზისმაც შეუწყო ხელი. ამან მნიშვნელოვნად გააუარესა საქართველოს სავაჭრო ბალანსი, რის

რუსეთის კრიზისმა საგარეოდაცო სისტემაზე მნიშვნელოვნად იმოქმედა. დიპლომატიურ, ლურჯად უფრო დიდ იმყოფება ამას რუსეთის საგარეო პოლიტიკაზე გავლენაზე. განსაკუთრებით მოგუხავს საგარეოდაცო მთავრობის ფულადი გზავნილების რაოდენობა მაკატირად შემცირდა, რითაც აშშ დოლარზე გზი მოთხოვნა მაკატირად გაიზარდა

შედეგადაც მკვეთრად შემცირდა უცხოური ვალუტის შემოღინება და ბაზარზე დოლარზე მოთხოვნა გაიზარდა.

საგადასახადო შემოსავლების მობილიზაციის საქმეში შექმნილი კრიტიკული ვითარება თანდათანობით ფართომასშტაბიან საფინანსო-სავალუტო კრიზისში გადაიზარდა, რაც მნიშვნელოვანწილად გლობალური კრიზისით, კერძოდ კი რუსეთსა და დსთ-ს სხვა ქვეყნებში

დიაგრამა №5



განვითარებული კრიზისული მოვლენებით იყო განპირობებული.

მიუხედავად იმისა, რომ 1998 წლის სექტემბერ-ნოემბერში ფულის მასა მიმოქცევაში მნიშვნელოვნად შემცირდა, მაინც ვერ იქნა მიღწეული შიდასავალუტო ბაზრის კონიუნქტურის გაუმჯობესება. საქართველოს ეროვნული ბანკი იძულებული გახდა შეეწყვიტა ინტერვენციები თბილისის ბანკთაშორის სავალუტო ბირჟაზე და ლარის დევალვაცია მოეხდინა.

დევალვაციის დიპაზონის განსაზღვრისას საქართველოს ეროვნული ბანკი მხედველობაში იღებდა ისეთ ფაქტორებს როგორიცაა:

საერთაშორისო რეზერვების დონე და მისი შესაბამისობა საერთაშორისო სავალუტო ფონდთან შეთანხმებულ ლიმიტებთან, შიდა ინფლაცია, და ეკონომიკის რეალურ სექტორში მიმდინარე პროცესები.

1998 წელს აშშ დოლარის მიმართ ლარის ოფიციალური გაცვლის კურსის ცვლილებამ 38 პროცენტი შეადგინა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ცვლილება 33 პროცენტის ოდენობით 1998 წლის აგვისტოს ბოლოდან დეკემბრის ბოლომდე აღინიშნა.

რუსეთში განვითარებული მოვლენების საქართველოშიც განმეორების საშიშროებამ მოსახლეობის ინფლაციური მოლოდინი უკიდურესად გაზარდა, რაც ძირითადი მიზეზი იყო უცხოური ვალუტის რეზერვის მნიშვნელოვანი შემცირებისა.

მზარდ ინფლაციურ მოლოდინს ადასტურებს ბანკებიდან ანაბრების ამოღებაც. თუ 1998 წლის აგვისტოში ანაბრები ეროვნულ ვალუტაში 63,8 მლნ. ლარის ტოლი იყო, ნოემბერში ანუ ლარის გაუფასურების მომენტში, ის 41,5 მლნ. ლარი გახდა ანუ 34,9 პროცენტით შემცირდა. აღსანიშნავია, რომ უცხოური სავალუტო ანაბრების მოცულობაც 13,5 პროცენტით ანუ 14,4 მლნ. ლარით შემცირდა და შეადგინა 91,6 მლნ. ლარი, რაც საბანკო სისტემისადმი მოსახლეობის უნდობლობით აიხსნება.

1995 წლის ფულის რეფორმის შედეგად, კუპონისა და რუსული მანეთის ლარით ჩანაცვლება განხორციელდა, ხოლო დოლარის მიმოქცევის სფერო თითქმის უცვლელი დარჩა. დოლარი კვლავ ფულადი დანაზოგების ძირითად საშუალებად რჩება და მისი ეს პოზიცია სულ უფრო მტკიცდება. ამასთან, ლარის გაუფასურების კვალობაზე, თანდათანობით ხდება მისი განდევნა საგადასახდლო ბრუნვიდანაც. ამ ნეგატიური პროცესის შესანარჩუნებლად, საქმარისი არ არის წმინდა ეკონომიკური ბერკეტები. საქართველოს ეროვნული ბანკის მხრიდან საჭიროა მიღებულ იქნას გარკვეული მკაცრი ადმინისტრაციული ზომებიც.

1998 წელს, წმინდა გაყიდვებთან შედარებით, ადგილი ჰქონდა საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ მთავრობაზე პირდაპირ გაცემული სესხის სიჭარბეს; მოსახლეობა, ახლო წარსულის ინფლაციის გამო, იოლად აპყვია 4-5 სექტემბრის პანიკას და საფრთხის მოლოდინში სწრაფად დაიწყო აშშ დოლარების დიდი რაოდენობის შესყიდვა.

უცხოური ვალუტის რეზერვის შემცირების და SDR-ის მიმართ დოლარის გაცვლითი კურსის

1.35061-დან 1.3759-მდე ცვლილების შედეგად უცხოური ვალდებულებების მკვეთრი ზრდის საფუძველზე 1 ნოემბრის მდგომარეობით საქართველოს ეროვნული ბანკის წმინდა საერთაშორისო რეზერვებმა -217,9 მლნ. აშშ დოლარი ანუ 300,4 მლნ. ლარი შეადგინა.

საქართველოს საგარეო სავაჭრო ბალანსი

1998 წელს (ათასი აშშ დოლარი)

ცხრილი №3

	ექსპორტი (F.O.B.)	იმპორტი (S.I.F.)	ბალანსი
საგარეო სავაჭრო ბალანსი, სულ	194028,8	1048607,1	-854578,3
მათ შორის:			
დსთ-ს ქვეყნებთან	104106,4	368849,4	-264742,9
არა დსთ-ს ქვეყნებთან	89922,3	679757,8	-589835,4

საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გატარებული პოლიტიკის — ბანკებიდან ჭარბი ლიკვიდურობის ამოღების და ბაზარზე ლარის „შიმშილის“ უზრუნველყოფის

— შედეგად სარეზერვო ფულის მასა 1998 წლის დასაწყისიდან 10 თვის განმავლობაში შემცირდა 44,2 მლნ. ლარით და შეადგინა 232,9 მლნ. ლარი. შემცირება განაპირობა სექტემბრის თვეში უცხოურ ვალუტაზე მზარდმა მოთხოვნამ და საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განხორციელებული ინტერვენციების შედეგად მიმოქცევაში ნაღდი ფულის მასის 59,1 მლნ. ლარის ამოღებამ. 14 სექტემბერს საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭოს დადგენილებით - კომერციული ბანკების მინიმალური სარეზერვო მოთხოვნების ნორმა გაიზარდა 4 პუნქტით და განისაზღვრა 16 პროცენტის ოდენობით. ამით ეროვნულ ბანკში სექტემბრის თვეში სავალდებულო რეზერვები გაიზარდა მლნ. ლარით, ხოლო ეროვნული ბანკის მიერ კომერციულ ბანკებიდან აღებული მას სესხმა 3 მლნ. ლარი შეადგინა.

ქვეყნის სამეურნეო ფორმირებათა საფინანსო და ფულად-საკრედიტო რეგულირების პრაქტიკას ბევრი პრობლემა გააჩნია ფულად-საკრედიტო და საბიუჯეტო პოლიტიკის რაციონალური შეთანხმების საკითხებში, რომლებიც გარეგნულად გამოდიან როგორც ორგანიზაციული საკითხები, მაგრამ ფაქტობრივად ისინი ფუნდამენტური ხასიათის არიან, რომლებიც განსაზღვრავენ არა მარტო სტრატეგიას, არამედ თვით საფინანსო-საკრედიტო ურთიერთობათა შინაარსს, მეურნეობათა დარგებისა და სანარმოების ფინანსებას.

საქართველოში ყველა უწყება „თავის“

მაკროეკონომიკურ პოლიტიკას ახორციელებს. საქართველოს ეროვნული ბანკი ქვეყნის ეკონომიკური სისტემისათვის სასიცოცხლო ღონისძიებების გატარებას ცდილობდა: მაშინ როდესაც ლარის კურსის დაცემისათვის ყველა წინაპირობა არსებობდა (ბიუჯეტში შემოსავლები მინიმუმამდე შემცირდა, წარმოების დონე დაეცა, მომხმარებელთა შემოსავლები შემცირდა და ა.შ.), საქართველოს ეროვნული ბანკი მის ხელთ არსებული რეგულირების ბერკეტებით ცდილობდა შეენარჩუნებინა ეროვნული ვალუტის კურსის სტაბილურობა. ცხადია გასათვალისწინებელი იყო ის, რომ ასეთი მოქმედება მხოლოდ დროებით ეფექტურობას მოგვცემდა.

აქვე შეიძლება შევხვთ 1998 წლის 5-6 სექტემბერს მომხდარ ფინანსურ არასტაბილურობას, როდესაც კურსი დაეცა, ხოლო მის აღდგენას მნიშვნელოვანი სავალუტო რეზერვების დახარჯვა დასჭირდა. ამ სიტუაციაში საქართველოს ეროვნულ ბანკს

ლარის კურსის დაცემისათვის 1998 წლის შემოდგომაზე ყველა წინაპირობა არსებობდა, გამოყენებულ ამაღან საქართველოს ეროვნულ ბანკს უნდა გაეთვალისწინებინა, რომ რეზერვების ხარჯვა მხოლოდ დროებით ეფექტურობას მოგვცემდა

საკმარისი საფუძველი გააჩნდა კურსი ძველ დონეზე არ დაებრუნებინა, უმოკლეს ვადაში გადასულიყო თავისუფალ მცურავ სავალუტო რეჟიმზე და კურსის სტაბილიზაციის პოლიტიკა ბაზარზე ჩამოყალიბებული წონასწორობის შემდეგ გაეგრძელებინა, რაც მხოლოდ დეკემბრის დასაწყისში გააკეთა.

ვალუტის გადამცვლელ პუნქტებში და ბანკთაშორის სავალუტო ბირჟაზე მკვეთრი კურსთა სხვაობის წარმოქმნამ სავალუტო ბირჟაზე კომერციული ბანკებისათვის ვალუტის ყიდვა ხელსაყრელი გახადა. მისი რეალიზება მათივე გადამცვლელი პუნქტების მეშვეობით გაცილებით მომგებიანი აღმოჩნდა, ვიდრე მოსახლეობასა და სანარმოებზე რისკიანი სესხების გაცემა. ამიტომ კომერციული ბანკების მხრიდან სავალუტო ბაზარზე დიდი რესურსები იქნა გადასროლილი.

შექმნილ ვითარებაში საქართველოს ეროვნულმა ბანკმა კიდევ უფრო გაამკაცრა ფულად-საკრედიტო პოლიტიკა და დაწვეის მიმართულებით მნიშვნელოვნად გააფართოვა ლარის გაცვლითი კურსის მერყეობის დიაპაზონი. ამ ეტაპზე საქართველოს ეროვნულმა ბანკმა უარი თქვა ინტერვენციების შეწყვეტაზე. ეროვნული ბანკის წარმომადგენლები ამბობდნენ ამას, იმ დროინდელი მონეტარული პარამეტრების


პირობებში შეიძლება ფართომასშტაბიანი საბანკო კრიზისი მოჰყოლოდა.

საქართველოს ეროვნული ბანკი ინტერვენციების ზომიერ ფარგლებში გაგრძელებით მიზნად ისახავდა ლარის კურსის თანდათანობით დაწევის კვალობაზე მიმოქცევაში ფულის მასის მკვეთრ შეზღუდვას. ასეთმა მიდგომამ შესაძლებელი გახადა მთლიანობაში შენარჩუნებულიყო საბანკო სისტემა და მისი ლიკვიდურობა.

1998 წლის აგვისტოს ბოლოდან ოქტომბრის ბოლომდე, ფულის მასის ფართო მაჩვენებელი ნომინალურ გამოსატყულებაში 75 მლნ. ლარით შემცირდა, ხოლო სექტემბერში ფულის მიმოქცევის სიჩქარე 23,2 გახდა (პროგრამის საპროგნოზო მაჩვენებელი 20 ითვალისწინებდა). ფინანსური მდგომარეობის გაუარესების საპასუხოდ საქართველოს ეროვნულმა ბანკმა უფრო მკაცრი ფულად-საკრედიტო პოლიტიკის გატარება დაიწყო, რაც საკმარისი არ აღმოჩნდა სავალუტო ბაზარზე ქარბი მოთხოვნის თავიდან ასაცილებლად და თბილისის ბანკთაშორის სავალუტო ბირჟაზე ნომინალური გაცვლითი კურსის დაცემის შესაჩერებლად მსხვილი ინტერვენციები განახორციელა. თუ საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ წინა წლებში გატარებულ საინტერვენციო პოლიტიკასა და მიღებულ მაკროეკონომიკურ შედეგებს გადავხედავთ, ნათლად დავინახავთ ამ ინსტრუმენტის ეფექტურობას.

1996 წელს საქართველოს ეროვნული ბანკის წმინდა ინტერვენციამ ბანკთაშორის სავალუტო ბირჟაზე - 97,2 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა. 1997 წელს - 39,5 მლნ. აშშ დოლარი, ხოლო 1998 წელს - 84,2 აშშ დოლარი.

დიაგრამა №6



1998 წელს თბილისის ბანკთაშორის სავალუტო ბირჟაზე უცხოური ვალუტით ვაჭრობის მოცულობამ 128,9 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის შესაბამის მაჩვენებელს 11 მლნ. აშშ დოლარით აღემატება (იხ. ცხრილი №4).

1998 წლის განმავლობაში თბილისის ბანკთაშორის სავალუტო ბირჟაზე შემდგარი გარიგებიდან 118 მლნ. აშშ დოლარი ანუ გარიგების 85 პროცენტი კომერციულმა ბანკებმა შეიძინეს, რაც 22 მლნ. აშშ დოლარით წინა წლის შესაბამის მაჩვენებელს აღემატება. საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ აქტიური წმინდა ინტერვენციების შეწყვეტამ ლარის საკურსო ცვლილება 36,8 პროცენტამდე გაზარდა.

საქართველოს ეროვნული ბანკის საინტერვენციო პოლიტიკა განპირობებული იყო სავალუტო რეზერვების შევსების გეგმით, რომლის თანახმადაც საქართველოს 1998 წლის განმავლობაში საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებისაგან 226,4 მლნ. აშშ დოლარი უნდა მიეღო. ფაქტობრივად, ნოემბრის მდგომარეობით მიღებულ იქნა 114,3 მლნ. აშშ დოლარი, ანუ 112,1 მლნ. აშშ დოლარით ნაკლები. 1998 წლის განმავლობაში საგადასახდელ ბალანსის დეფიციტის დასაფარავად საერთაშორისო სავალუტო ფონდიდან მიღებული ESAF-ის 82 მლნ. აშშ დოლარის ოდენობის კრედიტი გამოიყენეს.

ამასთან, ამ პერიოდში მოხდა ლარის აშშ დოლარის მიმართ გაცვლის კურსის შედარებით „უმტიკვენულო“ 1,35 ლარის ნიშნულიდან 1,73

საერთაშორისო სავალუტო ფონდთან შეთანხმებული პროგრამით წმინდა საერთაშორისო აქტივები -118,7 მლნ. აშშ დოლარი უნდა ყოფილიყო, ფაქტობრივად კი მისმა ოდენობამ -184,9 აშშ დოლარი ანუ 66,2 მლნ. დოლარით ნაკლები შეადგინა

ლარის ნიშნულამდე ანუ 28,1 პროცენტით დაწევა. ამავე დროს მნიშვნელოვნად შემცირდა საქართველოს ეროვნული ბანკის სავალუტო რეზერვები, რომელმაც კრიტიკულ ზღვარს - 62 მლნ. აშშ დოლარს მიაღწია.

საქართველოს ეროვნული ბანკის უცხოური ვალუტის რეზერვების პროგრამული მაჩვენებლის შეუსრულებლობა ძირითადად განპირობდა: საერთაშორისო სავალუტო ფონდიდან მისაღები ESAF-ის კრედიტის მორიგე ტრანშის 37,4 მლნ. აშშ დოლარის ოდენობით მიუღებლობამ (ეს ჩვენი ვალდებულებების შეუსრულებლობამ გამოიწვია) და საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ თბილისის ბანკთაშორის სავალუტო ბირჟაზე, ლარის ნომინალური გაცვლის კურსის დაცემის შესაჩერებლად, აშშ დოლარების მსხვილ-მასშტაბიანი ინტერვენციების განხორციელებამ.



საქართველოს ეროვნული ბანკის ხელმძღვანელობა 1996-1997 და 1998 წლებში უცხოური ვალუტის რეზერვებს გაუმართლებლად ფლანგავდა.

საქართველოში 1996 წლის 15 ივნისიდან დაიწყო პურზე ფასების სრული

ლიბერალიზაციის პროცესი. სამი თვის თავზე პურის ფასები მნიშვნელოვნად გაიზარდა, რასაც

საქართველოში ხორბლით მოვაჭრე ორგანიზაციების სასარგებლოდ (მათ მიერ

დიაგრამა №7



სხვა სამომხმარებლო საქონელზე ფასების ზრდა არ გამოუწვევია. პურის ფასების გათავისუფლების პირობებში, საქართველოს ეროვნულმა ბანკმა პურპროდუქტების და სხვა სახის სასურსათო-სამრეწველო საქონლის ფასების სტაბილურობის შენარჩუნებისათვის,

კონსიგნაციის წესით ხორბლის შემოტანისათვის) საგარანტიო წერილები გასცა. ამის გამო, დადგენილ ვადებში შემოტანილი იქნა 115 000 ტონა ხორბალი და 7 200 ტონა ფქვილი, რომელთა საერთო ღირებულებამ 30 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა.

შენიშვნა: №7,8 დიაგრამებში გამოყოფი ხაზი ნიშნავს, რომ ამ დღიდან თბს-ზე ერივნული ბანკი არ ახორციელებს ინტერვენციებს.

გარანტიები, 1996-1997 წლებში საქართველოს სანარმოებსა (იმპორტიორები) და საერთაშორისო მიმწოდებლებს შორის, ხორბლის შემოტანის ოპერაციებს მოიცავდნენ. შესაბამისი ოდენობის თანხებს უცხოურ ვალუტაში საქართველოს ეროვნული ბანკი წინასწარ განათავსებდა უცხოეთის პირველი კლასის კომერციულ ბანკში გახსნილ საგირავნო ანგარიშზე, რომლის საფუძველზეც აღნიშნული ბანკი გასცემდა შესაბამის გარანტიებს.

საქართველოს პარლამენტის დადგენილების შესაბამისად „საქართველოს ეროვნული ბანკის 1996 და 1997 წლების საქმიანობის ანგარიშის შესახებ“ გარანტიებთან დაკავშირებით სახელმწიფომ მნიშვნელოვანი რეზერვები გაფლანგა:

„საქართველოს კონტროლის პალატამ საქართველოს პარლამენტის 1998 წლის 20 მარტის დადგენილების შესაბამისად განახორციელა საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ 1995 წლის 1 იანვრიდან 1998 წლის 1 აპრილამდე განეული საქმიანობის კომპლექსური რევიზია.

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ერთპიროვნული გადაწყვეტილებებისა და საგარანტიო წერილების საქართველოს კანონმდებლობის უხეში დარღვევით გაცემის გამო, სახელმწიფო სავალუტო რეზერვიდან ჩამოიჭრა 25,9 მლნ. აშშ დოლარი და სახელმწიფომ განიცადა 12,2 მლნ. აშშ დოლარის ზარალი დაუბრუნებელი თანხის სახით“.

განვიხილოთ უცხოური ვალუტის რეზერვები, რომელმაც საქართველოს ეროვნული ბანკის ანგარიშებზე მიმდინარე ცვლილებების შედეგად 1999 წლის 1 იანვრის მდგომარეობით 118,4 მლნ. აშშ. დოლარი შეადგინა (ნოემბრის თვესთან შედარებით 48 მლნ. აშშ. დოლარით გაიზარდა). აღნიშნული ზრდა გასულ თვეებში გათვალისწინებული და მიუღებელი 58,5 მლნ. აშშ. დოლარის (მსოფლიო ბანკის SAC-ის II ტრანშის 20 მლნ. აშშ დოლარის, ევროგაერთიანების გრანტის 6 მლნ. ეკიუს (ექვივალენტური თანხის 8 მლნ. აშშ დოლარის) და საგადასახდებლო ბალანსის მხარდასაჭერად 16 მლნ. გულდენის, ექვივალენტურია 8,5 მლნ. აშშ დოლარის, ასევე თელასის პრივატიზაციის 22 მლნ. აშშ. დოლარის) დეკემბრის თვეში მიღებამ განაპირობა. ამის შედეგად დეკემბრის თვის დასაწყისიდან წმინდა საერთაშორისო რეზერვები 42,7 მლნ. აშშ დოლარით გაიზარდა და 184,9 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა.

1998 წელს საქართველოს ეროვნულმა ბანკმა დაკარგა კურსის სტაბილიზაციის ფუნქცია და სავალუტო რეზერვები ემსახურებოდა ძირითადად იმას, რომ არ მომხდარიყო დევალვაცია. ამის გამო სავალუტო რეზერვების შემცირებამ მიიღო შეუქცევადი ტენდენციის სახე

და აუცილებელი გახდა სავალუტო კურსის ცვლილება. ამასთან, წინა წელთან შედარებით, ინტერვენციების საშუალო მოცულობის მნიშვნელოვანი ზრდის ტენდენცია შეინიშნებოდა.

1998 წლის განმავლობაში ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელი კლებას განიცდიდა. საქართველოს ეროვნულ ბანკს უნდა განესაზღვრა ის მომენტი, როდესაც კურსის ხელოვნური შენარჩუნება, როგორც ძირითადი პრიორიტეტი, ეწინააღმდეგებოდა ეკონომიკური განვითარების პრიორიტეტს. ამასთან უნდა გაეთვალისწინებინათ 1997-1998 წლებში ფასების დონისა და ფულის მასის დინამიკა. აქ აშკარად ჩანს, რომ 1997 წელს ფასების დონის შემცირების პირობებში, ხდება ფულის მასის ზრდა, რაც ეკონომიკის ინფლაციურ ტენდენციაზე დაბრუნებას განაპირობებს.

1998 წელს იგივე შემთხვევაში ფულადი მასა უმნიშვნელოდ გაიზარდა, რაც რეალურად ხელს უწყობდა ეკონომიკაში დეფლაციური ტენდენციების არსებობას.

მას შემდეგ, რაც ლარის კურსის კონტროლი და მისი მართვა შეუძლებელი აღმოჩნდა და ფინანსთა სამინისტროს კრედიტორების წინაშე საკმაოდ დიდი დავალიანება გაუჩნდა, შეწყდა სახელმწიფო სახაზინო ვალდებულებების ემისია. დროებით აღარ იმართება ბანკთა შორის საკრედიტო რესურსების აუქციონები.

საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭომ, სავალუტო ბაზარზე შექმნილი სიტუაციისა და საერთაშორისო სავალუტო ფონდის მისიის ნოემბრის თვის რეკომენდაციებით, თბილისის ბანკთაშორის სავალუტო ბირჟაზე ინტერვენციები შეწყვიტა.

ქვეყანაში, რეფორმის დაწყებიდან დღემდე, მიმდინარე ეკონომიკური პროცესების ანალიზი გვიჩვენებს, რომ აღნიშნული ცვლილებები სამი-ოთხი თვით ადრე, კერძოდ სექტემბერში (ამ პერიოდში აღინიშნა კრიზისის იმპულსის მიმცემი წინაპირობები), რომ განხორციელებულიყო გაცილებით უფრო ეფექტური, კანონზომიერი და მოსახლეობისთვის უმტკივნეულო იქნებოდა. ხოლო საქართველოს ეროვნული ბანკი რეზერვებს დაზოგავდა გრძელვადიანი.

ეროვნული ბანკი ზემოხსენებული გადაწყვეტილების მიღებამდე, ლარის სტაბილური ნომინალური გაცვლითი კურსის შენარჩუნებას ცდილობდა, რისთვისაც დიდი რაოდენობით ინტერვენციები განხორციელდა: სექტემბერში 25 მლნ. აშშ დოლარი, ოქტომბერში — 11 მლნ. აშშ დოლარი, ნოემბერში — 18,8 მლნ. აშშ დოლარი გამოყო (იხ. გრაფიკი №5). ამასთან 2 დეკემბერს ბანკთაშორის სავალუტო ბირჟაზე დაფიქსირებულსა და ბირჟის გარეთ არსებულ სავალუტო ბაზარზე ლარის აშშ დოლართან გაცვლის კურსის მნიშვნელოვანი (30 პროცენტის) განსხვავება აღინიშნა.

„თავისუფალ მცურავ“ სავალუტო კურსის რეჟიმზე გადასვლის შემდეგ თბილისის ბანკთაშორის სავალუტო ბირჟაზე დეკემბერში 118 გარიგება დაიდო. ვაჭრობაში ძირითადად 10-11 კომერციული ბანკი მონაწილეობდა. გარიგებათა მოცულობამ 16 მლნ. დოლარს გადააჭარბა, საიდანაც საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 7 989 ათასი აშშ დოლარი შეისყიდა (იხ. გრაფიკი №6), რაც საახალწლოდ ლარზე მოთხოვნის ზრდამ განაპირობა. ამ ცვლილებებმა თბილისის ბანკთაშორის სავალუტო ბირჟაზე შესაბამისი ასახვა პოვა ვაჭრობის მოცულობის ზრდაში.


4 დეკემბრის შემდეგ ლარის კურსის აშშ დოლართან მიმართებაში მაქსიმალური ვარდნა დაფიქსირდა: თბილისის ბანკთაშორის სავალუტო ბირჟაზე - 9 დეკემბერს - 1 აშშ დოლარის კურსმა 2,15 ლარს მიაღწია (მიახლოებით ასეთივე იყო საბაზრო კურსიც). თვის ბოლოს აშშ დოლარის კურსი 1,715 - 1,85 ლარს შეადგენდა (იხ. გრაფიკი №7).

მოსახლეობაში გავრცელებული იყო აზრი, რომ საახალწლოდ 1 აშშ დოლარის ფასი 3 ლარს მიაღწევდა, მაგრამ ლარის გაუფასურება დოლართან მიმართებაში 2,15-ს არ გადასცილებია და წლის დასასრულს 1,8-ზე დაფიქსირდა.

1999 წლის იანვრის თვიდან თბილისის ბანკთაშორის სავალუტო ბირჟაზე მკვეთრად შემცირდა ვაჭრობის მოცულობა, რომელიც 500 ათასი აშშ დოლარის ფარგლებში იყო და ვაჭრობაში მხოლოდ კომერციული ბანკები

დიაგრამა №9

ბანკთაშორის საკრედიტო რესურსების აუქციონზე ვადების მიხედვით დაფიქსირებული საპროცენტო განაკეთების დინამიკა



იღებდნენ მონაწილეობას. ამ ვაჭრობების 1999 წლის 3 თვის შედეგების მიხედვით ლარის აშშ დოლართან გადაცვლის კურსმა მაქსიმუმს (1 აშშ დოლარი — 2,451 ლარი) 22 თებერვალს მიაღწია, ხოლო საბაზრო კურსმა (1 აშშ დოლარი — 2,59 ლარი) — 24 თებერვალს. ლარის გადაცვლის კურსი ასეთი პიკის შემდეგ, კერძოდ 7 მარტიდან იწყება გამყარების პროცესი (იხ. გრაფიკი №8). ეს ყველაფერი ადმინისტრაციული და პოლიტიკური გადანყვეტილებების მიღების შედეგია, რის მიმართაც ბაზარი ძალიან მგრძნობიარეა.

ბოლო პერიოდში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს საერთაშორისო სავალუტო ფონდის მისიასთან შეთანხმებული პროგრამის რეალიზაციის უზრუნველყოფა, რაზეც საქართველოსათვის შემდგომი ფინანსური დახმარების დროული გამოყოფა დამოკიდებულია.

საერთაშორისო სავალუტო ფონდთან შეთანხმებულ პროგრამაში გათვალისწინებული მაკროეკონომიკური მიზნები საქართველოს 1998 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით, ინდიკატური გეგმით და საქართველოს ეროვნული ბანკის ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებებით განსაზღვრულ პარამეტრებს შეესაბამებოდა.

საქართველოს მთავრობასთან შეთანხმებით, საქართველოში საერთაშორისო სავალუტო ფონდის მისიის ვიზიტის შედეგად, შემუშავებული იქნა კონკრეტული ღონისძიებების გეგმა ეკონომიკური და ფინანსური პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების შესახებ.

საერთაშორისო სავალუტო ფონდთან შეთანხმებული პროგრამის განხორციელებაში 1997 წელს არსებული ჩამორჩენა 1998 წლის პირველ ოთხ თვეში თითქმის დაძლეულ იქნა, რითაც გაჩნდა საშუალება, რომ შემუშავებულიყო შემდგომი მოქმედებების გეგმა.

1998 წელს განსახორციელებელი პროგრამა შემდეგ მიზნებს ითვალისწინებდა:

- ქვეყნის ეკონომიკური ზრდის ტემპები - წლიური 10 პროცენტის დონეზე;
 - ინფლაციის ტემპი — 6 პროცენტი (პერიოდის ბოლოსათვის);
 - საქართველოს ეროვნული ბანკის მთლიანი ოფიციალური რეზერვები - 210 მლნ. აშშ დოლარი;
 - სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტი - მთლიანი შიდა პროდუქტის 2,5% დონეზე;
 - საქართველოს ეროვნული ბანკის ხარჯზე სახელმწიფო ბიუჯეტის წმინდა შიდა დაფინანსება - 102 მლნ. ლარი.
- 1998 წლის ფულად-საკრედიტო პოლიტიკის და საბანკო სექტორის რეფორმის სფეროში პროგრამა ითვალისწინებდა:

- 1998 წელს ფულის მიმოქცევის სიჩქარის 8 პროცენტით შემცირებას, ლარისადმი ნდობის გამყარების ხარჯზე;
- საქართველოს ეროვნული ბანკის წმინდა შიდა აქტივების, ყველა დონის მმართველობის ორგანოთა მიმართ საბანკო სისტემის წმინდა მოთხოვნების, ყველა დონის მმართველობის ორგანოთა მიერ შიდა სესხების საერთო თანხის, აგრეთვე წმინდა საერთაშორისო რეზერვების ქვედა ზღვარის ცვლილებების ევარტალური ლიმიტების დაწესებას;
- საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ სახელმწიფო ბიუჯეტიდან კუთვნილი

პროცენტების არასრულად მიღების შემთხვევაში მთავრობისათვის წმინდა კრედიტის ავტომატურ კორექტირებას;

- 1998 წელს არსებული სავალუტო რეჟიმის შენარჩუნებას;
- 1998 წლის 1 ოქტომბრიდან საქართველოს ეროვნული ბანკის „რეპო“-ს კონტრაქტების შემოღებას და სახაზინო ვალდებულებების მეორადი ბაზრის შექმნას;
- საბანკო დეპოზიტებზე სარეზერვო მოთხოვნის 12 პროცენტის დონეზე შენარჩუნებას;
- 1998 წელს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ სერტიფიცირებული კომერციული ბანკების

ფულად-საკრედიტო მაჩვენებლები
(1995-1998 წლები)

ცხრილი №1

	ერთეული	1995	1996	1997	1998
1. ფულის აგრეგატები					
ლარი მიმოქცევაში (M0)	მლნ. ლარი	131,4	185,6	254,6	222
სარეზერვო ფული (M1)		153,8	208,9	277,1	259,7
ფართო ფული (M2)		157,6	217,9	295,2	261,1
ფართო ფული (M3)		180,6	256,3	373	368,5
2. მიმოქცევის სიჩქარე					
ფართო ფული (M2)		25,41	24,32	21,78	26,23
ფართო ფული (M3)		22,18	20,68	17,24	18,58
მულტიპლიკატორი (M2)-ის		1	1	1,07	1,01
მულტიპლიკატორი (M3)-ის		1,2	1,2	1,35	1,42
3. დეპოზიტები					
საერთო თანხა	მლნ. ლარი	78,7	117,8	133,2	156,4
ეროვნულ ვალუტაში		55,8	79,5	55,3	48,9
უცხოურ ვალუტაში		22,9	38,3	77,8	107,4
4. კრედიტები					
საერთო დაგეგმიანება		146,7	123,8	172,9	238,2
მოკლევადიანი და საშუალო-ვადიანი კრედიტებით		129,4	110	165,5	184,7
სახელმწიფო სექტორის		23,2	19,1	18,2	20,5
კერძო სექტორის		57,5	46	147,3	164,2
მოსახლეობის		48,7	44,9	83,8	74,7
საერთო დაგეგმიანება დარგების მიხედვით		148,2	111,8	169,2	224,1
მოკლევადიანი და საშუალო-ვადიანი სესხებით		129,4	110	165,5	184,7
მრეწველობის		13,4	10,9	21,8	34
სოფლის მეურნეობის		19,3	14,9	11,6	7,5
მშენებლობის		5,2	3,8	3,4	9,1
ტრანსპორტის		1,1	0,9	0,9	1,9
გრძელვადიანი კრედიტებით		1,5	1,8	3,7	39,4

რეგულარული გასვლითი შემოსემების გაგრძელებას და იმ კომერციული ბანკების ლიკვიდაციას, რომლებიც არ ასრულებენ პრუდენციალურ ნორმატივებს;

- 1999 წლის 1 იანვრისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ მომზადებული თვიური საბანკო ანგარიშგების ახალი ფორმების დანერგვას;
- უფრო მკაცრი პრუდენციალური მოთხოვნების (ეკონომიკური ნორმატივების)

შემოღებას ბანკების მინიმალური კაპიტალისა და „ინსაიდერების“ დაკრედიტების მიმართ (1998 წლის 1 ივლისიდან დაწესდება „ინსაიდერების“ დაკრედიტების 25 პროცენტიანი ლიმიტი);

- საბანკო ანგარიშსწორების სისტემის შემდგომ მოდერნიზაციას;

• საქართველოს ეროვნული ბანკი პროგრამის მოქმედების პერიოდში სამამულო სანარმოებზე იმპორტისათვის ახალ გარანტიებს არ გასცემს.

საქართველოს პარლამენტის მიერ დამტკიცებული „საქართველოს 1998 წლის ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები“ - მასში აღნიშნულია, რომ „საქართველოს ეროვნულმა ბანკმა საქართველოს ოფიციალური საერთაშორისო რეზერვების დაზოგვისა და საგადამხდელო ბალანსის გაუმჯობესების მიზნით შეინარჩუნოს რეგულირებადი მცურავი კურსის რეჟიმი, შიდა სავალუტო ბაზარზე განახორციელოს ინტერვენციები ინფლაციის კონტროლისა და ლარის მნიშვნელოვანი საკურსო რყევების თავიდან აცილების მიზნით“. ასევე, ზემოთ თქმული ნორმატიული აქტით, 1998 წელს ეროვნულ ბანკს საერთაშორისო რეზერვები 210 მლნ. აშშ დოლარამდე უნდა გაეზარდა, რაც ვერ უზრუნველყო (პირიქით დაიწყო გაფლანგვა) და 1999 წლის 1 იანვრისათვის 184,9 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა.

აქედან გამომდინარე, ეროვნულ ბანკს მცურავ სავალუტო კურსის რეჟიმზე გადასვლის, როგორც საფუძველი ასევე რეალური საშუალებაც გააჩნდა (მაგ. 5-6 სექტემბერს). ამით საერთაშორისო რეზერვებსაც დაზოგავდა. მითუმეტეს რომ, არსებობდა ამჟამად განვითარებული კრიზისის პროგნოზის შესაძლებლობა. ხოლო, ამ შემთხვევაში ეროვნული ბანკის მიერ ჩატარებული ღონისძიებები, არარაციონალური აღმოჩნდა.

საქართველოს ეროვნული ბანკის საერთაშორისო რეზერვების დაბალი დონის და განონასწორებული გაცვლითი კურსის გაურკვევლობის გათვალისწინებით, 1999 წლის პროგრამაში შენარჩუნებული იქნება მართვადი მცურავი გაცვლითი კურსის რეჟიმი, ე.ი. თბილისის ბანკთაშორის სავალუტო ბირჟაზე საქართველოს ეროვნული ბანკი გაცვლის კურსის დასაცავად, ინტერვენციებს არ განახორციელებს. მაგრამ თავისი რეზერვების შესავსებად შესაძლებლობა ექნება შეიძინოს უცხოური ვალუტა. საქართველოს ეროვნული ბანკის საბოლოო მიზანია სავალუტო რეზერვების დონე გახადოს იმპორტის სამი თვის ღირებულების ექვივალენტური. საქართველოს ეროვნულ ბანკს წმინდა საერთაშორისო რეზერვების, პროგრამით გათვალისწინებული დონის ზრდის პირობებში, საერთაშორისო სავალუტო ფონდის პერსონალთან კონსულტაციების შემდეგ, ლარის გაცვლითი კურსის ამალღების შესაძლებლობა

ეწეება. ასეთ პირობებში ეროვნულმა ბანკმა ფრთხილად უნდა იმოქმედოს, რათა საქართველოს სავალუტო ბაზარზე ოპერაციითა მოცულობის სიმცირემ არ გამოიწვიოს ნომინალური გაცვლითი კურსის მკვეთრი ცვალებადობა. გარდა ამისა, ეროვნული ბანკი გაცვლითი კურსის ადექვატურობის შეფასებისას, ანალიზს გაუკეთებს საგარეო სავაჭრო სექტორის მაჩვენებლებს და მთლიანად ეკონომიკის ზრდის პერსპექტივებს. ოფიციალური გაცვლითი კურსი წინანდებურად იქნება განსაზღვრული იმ გაცვლითი კურსის შესაბამისად, რომელიც ყალიბდება თბილისის ბანკთაშორის სავალუტო ბირჟაზე, იმგვარად რომ საბაზრო კურსიდან მისი გადახრა არ აღემატებოდეს ერთ პროცენტს.

ეროვნული ვალუტის - ლარის გათავისუფლება, მისი თვით დინებაზე მიშვება და საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლარის კურსის რეგულირების სტიქიური ბაზრისათვის გადაცემა, რომელიც ფაქტობრივად ქაოსურია და შიდა და გარე ფაქტორებისადმი ძლიერ

მთავრობაზე ეროვნული ბანკის მიერ გაცემული სესხები 1995-1998 წლებში (მლნ. ლარებში)
(ზხრილი №2

თვე	თვიური დაკრედიტება	ნაზარდი ჯამი მიმდინარე წელს	თვიური დაკრედიტება	ნაზარდი ჯამი მიმდინარე წელს
	1995 წელი		1996 წელი	
იანვარი	0,9	900	0	0
თებერვალი	7,2	8100	38,5	38450,8
მარტი	18,4	26505	17	55473,8
აპრილი	-1,7	24805	14,7	70173,8
მაისი	2,3	27110	7	77173,8
ივნისი	34,3	61387	8,1	85273,1
ივლისი	1,1	62442	10	95273,8
აგვისტო	9	71412	15,7	110973,8
სექტემბერი	11,1	82504,6	36	146973,8
ოქტომბერი	0	82504,6	14	160973,8
ნოემბერი	0	82504,6	4,8	165773,8
დეკემბერი	0	82504,6	20,2	185975
	1997 წელი		1998 წელი	
იანვარი	0	0	12,2	12200
თებერვალი	0	0	11,7	23858
მარტი	36,7	36700	9,5	33375
აპრილი	17,1	53800	14,5	47875
მაისი	9,9	63700	6,1	53975
ივნისი	12,4	76100	27	80925
ივლისი	19,2	95341	44,4	125331,7
აგვისტო	18	113341	-2,8	122489,7
სექტემბერი	14,7	128041	12,5	135034,7
ოქტომბერი	3	131030,9	8,4	143434,7
ნოემბერი	0	131030,9	5,5	148912,7
დეკემბერი	-15	116007	-20,1	128774,6

მგძნობიარე, დიდ ზიანს მიაყენებს ქვეყნის ეკონომიკას და საქართველოს მოსახლეობას უმძიმეს ტვირთად დააწევბა. ასეთ პირობებში ჩვენს ქვეყანაში უცხოური ინვესტიციების ნაკადი მნიშვნელოვნად შემცირდება, რადგან ინვესტიორებისათვის სავალუტო კურსის ცვლილებები დამატებით რისკთან და გაურკვევლობასთან ერთად დაკავშირებული. შექმნილ ვითარებაში, საქართველოს ეროვნულმა ბანკმა სავალუტო ბაზარზე უნდა გააგრძელოს ზომიერი ინტერვენციები, გაცვლითი კურსის

რყევები უნდა მოაქციოს გარკვეულ შუალედში. წინააღმდეგ შემთხვევაში არასტაბილური და არაპროგნოზირებადი მონეტარული ვითარება და მაღალი ინფლაცია ქვეყნის ეკონომიკას სერიოზულ პრობლემებს შეუქმნის.

საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ფულად-საკრედიტო რეგულირების მეთოდებს შორის მნიშვნელოვანია სადისკონტო განაკვეთი, რომელიც სასესხო კაპიტალის ბაზარზე სახელმწიფოს რეგულირების ოპერატიულ ინსტრუმენტს წარმოადგენს. ოფიციალური სადისკონტო განაკვეთი საფუძვლად უნდა დაედოს საბაზრო საპროცენტო განაკვეთებს. ანტი-ინფლაციური მიზნებისათვის სადისკონტო პროცენტის ამაღლება, ე.ი. „ძვირი ფულის“ პოლიტიკა, ზღუდავს საქართველოს ეროვნული ბანკიდან კომერციული ბანკების მიერ სესხების მიღების შესაძლებლობებს. ამასთან, ერთად ზრდის იმ ფულის ფასს, რომელიც კრედიტის სახით კომერციულ ბანკებს ეძლევა. ამის შედეგად ეკონომიკაში საკრედიტო დაბანდება მცირდება, რაც ინვესს წარმოების შემდეგი აღმავლობის დამუხრუჭებას.

მთავრობის ერთ-ერთი უმთავრესი მიზანია საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი კონკურენტუნარიანი ფინანსური სექტორის ჩამოყალიბება, რომლის განვითარებისათვის აუცილებელია კომერციული ბანკების მიერ სასესხო განაცხადების სწორი შეფასება და სასესხო პორტფელის მართვის შესაძლებლობების გაუმჯობესება. აღმოცენებადი საწარმოო სექტორის მხარდასაჭერად, აგრეთვე ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარების უზრუნველყოფა დანაზოგებისა და საპენსიო ფონდების შესაქმნელად მნიშვნელოვანი ფაქტორია.

თანამედროვე ეტაპზე მეტად მნიშვნელოვანია კომერციული ბანკების საკრედიტო საქმიანობა. მიუხედავად ფულად-საკრედიტო სისტემაში არსებული კრიზისისა, კომერციული ბანკების მიერ გაცემული შიდა კრედიტები 1998 წელს 54 მლნ. ლარით გაიზარდა და 224 მლნ. ლარი შეადგინა. აღსანიშნავია, რომ ამ პერიოდში კომერციული ბანკებისადმი საწარმოთა დავალიანება (ეროვნულ ვალუტაში) 14 მლნ. ლარით შემცირდა, ხოლო ფიზიკური პირების დავალიანება (ეროვნულ ვალუტაში) 2 მლნ. ლარით გაიზარდა, ხოლო საერთო დავალიანებამ 83,7 მლნ. ლარი შეადგინა. რაც შეეხება უცხოურ ვალუტაში გაცემულ სესხებს საწარმოებზე და ფიზიკურ პირებზე, იგი 77 მლნ. ლარით გაიზარდა და 154 მლნ. ლარი შეადგინა.

სექტემბრის თვის ცნობილი მოვლენების შედეგად, საპროცენტო განაკვეთების მნიშვნელოვნად ზრდის მიუხედავად, მათი სავალუტო ბაზარზე გადართვის გამო საკრედიტო რესურსების მიწოდება მკვეთრად

შემცირდა.

დღეს საქართველოში მეტად მნიშვნელოვანია საკრედიტო ბაზრის სტრუქტურული დახვეწა და განვითარება. საქართველოს ეროვნულმა ბანკმა კოველი ზომა უნდა მიიღოს იმისათვის, რომ ბანკთაშორის საკრედიტო აუქციონები იყოს მიმზიდველი ყველა კომერციული ბანკისათვის, როგორც რესურსის მიმწოდებლისათვის, ისე მომთხოვნისათვის. ამით, საკრედიტო აუქციონების რაოდენობისა და მოცულობის გაზრდა გამოიწვევს საკრედიტო რესურსებზე საპროცენტო განაკვეთის შემცირებას, რის შედეგად გაიზრდება ფინანსური ინექციები ქვეყნის ეკონომიკაში.

თუ წინა წლების მიმდინარე მოვლენებს გადავხედავთ — 1996 წელს ბანკთაშორის საკრედიტო აუქციონზე გაიყიდა 39,1 მლნ. ლარის საკრედიტო რესურსი, რაც 36,7 მლნ. ლარით აღემატებოდა 1995 წლის იგივე მაჩვენებელს.

1998-1999 წლებში თბილისის ბანკთაშორის სავალუტო ბირჟაზე აშშ დოლარით ყაჭრობის შედეგები (ათასი აშშ დოლარი)

(ცხრილი №4

	იანვარი	თებერვალი	მარტი	აპრილი	მაისი	ივნისი	ივლისი	აგვისტო	სექტემბერი	ოქტომბერი	ნოემბერი	დეკემბერი
1998 წელს გაყიდული USD	13965	11106	5721	1670	8987	9394	9026	7359	17305	9541	18224	16558
კომერციული ბანკების მიერ	682	1498	1620	1308	126	4747	4850	1842	1384	1184	300	10164
ეროვნული ბანკის მიერ	13283	9608	4101	362	8861	4647	4177	5517	15922	8357	17924	6394
1999 წელს გაყიდული USD	2664	3446	3836									
კომერციული ბანკების მიერ	2664	3446	3836									
ეროვნული ბანკის მიერ	0	0	0									
1998 წელს ნაყიდი USD	13965	11106	5721	1670	8987	9394	9026	7359	17305	9541	18224	16558
კომერციული ბანკების მიერ	13683	10821	4824	519	8977	6865	4714	6573	17066	9541	18224	8587
ეროვნული ბანკის მიერ	282	285	897	1151	10	2529	4313	786	239	0	0	7971
1999 წელს ნაყიდი USD	2664	3446	3836									
კომერციული ბანკების მიერ	2664	3446	3635									
ეროვნული ბანკის მიერ	0	0	201									
საშუალო თვიური კურსი												
1998 წელი	1,32	1,329	1,334	1,335	1,341	1,348	1,347	1,349	1,354	1,379	1,459	1,799
1999 წელი	2,066	2,268	2,263									

კომერციული ბანკების მიერ იმავე წელს გაყიდული რესურსების თანხამ 17,7 მლნ. ლარი ანუ გარიგების 46 პროცენტი შეადგინა, და იგი 15,8 მლნ. ლარით აღემატებოდა 1995 წლის იგივე მაჩვენებელს.

ამ პერიოდში საქართველოს ეროვნული ბანკი, სხვა ფინანსურ ბერკეტებთან ერთად, მასიურად მიმართავდა ბანკთაშორის საკრედიტო აუქციონებზე ინტერვენციებს, რათა გავლენა მოეხდინა საბანკო სისტემასა და საპროცენტო განაკვეთებზე.)

აუქციონების შედეგებით, 1996 წლიდან საკრედიტო რესურსებზე საპროცენტო განაკვეთები კლებულობს, რაც განაპირობა ქვეყნის ეკონომიკის გარკვეულმა სტაბილიზაციამ, ხოლო 1997 წლის ბოლოდან მდგომარეობა შეიცვალა, როცა საპროცენტო განაკვეთებმა შესამჩნევად მოიმატეს. 1998 წლის პირველი კვარტლის ბოლოს ეს აჟიოტაჟი ასე თუ ისე ჩაცხრა, მაგრამ ივლისიდან ამ მაჩვენებელმა

შემაშფოთებელი ტემპით იწყო ზრდა და ნოემბრისათვის საშუალოდ თითქმის წლიურ 80 პროცენტს მიაღწია. 1998 წლის განმავლობაში ბანკთაშორის საკრედიტო რესურსების აუქციონზე გაიყიდა 48,9 მლნ. ლარის ოდენობის საკრედიტო რესურსი, რომელიც მთლიანად კომერციული ბანკების მიერ იქნა მიწოდებული, რაც 1997 წლის შესაბამის მაჩვენებელს 17,6 მლნ. ლარით აღემატება (იხ. ცხრილი №5).

ამჟამად არსებული მაღალი საპროცენტო განაკვეთი (იხ. გრაფიკი №9) ძირითადად შემდეგი ფაქტორებით: საკრედიტო ოპერაციებში რისკის მაღალი დონითა და საკრედიტო რესურსების დეფიციტით არის განპირობებული.

(საქართველოს ეროვნულ ბანკს კომერციული ბანკების სასესხო ოპერაციების საპროცენტო განაკვეთებზე არ შეუძლია უშუალო ზემოქმედება მოახდინოს. ასეთი ზემოქმედება განისაზღვრება მხოლოდ ფულის მიწოდების

რეგულირებით და საბანკო სისტემის განვითარების, დახვეწის ღონისძიებებით.)

საპროცენტო განაკვეთების დონის შემცირებისათვის მთავარი ხელისშემშლელი ფაქტორია საკრედიტო რესურსების დეფიციტი. საქართველოს ეროვნულმა ბანკმა უნდა იზრუნოს იმისათვის, რომ საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებიდან; ევროკავშირიდან და სხვა დონორი ქვეყნების საკრედიტო ინსტიტუტებიდან საქართველოს კომერციულმა ბანკებმა შეღავათიანი კრედიტები მიიღონ. ასეთი ღონისძიებების გატარება ოდნავ მაინც შეამცირებს საკრედიტო რესურსების დეფიციტს და საფუძველს შეუქმნის ოპტიმალური განაკვეთების ჩამოყალიბებას.

საქართველოს საბანკო სისტემის განვითარებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს დეპოზიტების მოზიდვის დონესა და მის გაუმჯობესებას, რომელიც საკრედიტო რესურსების ფორმირების ძირითადი წყარო უნდა

იყოს.

რაც შეეხება კომერციულ ბანკებს - დეპოზიტების თანხა 1996 წლის ბოლოს უტოლდებოდა 78 მლნ ლარს, რაც მშპ-ს 1,4% იყო, ხოლო 1997 წელს ამ მაჩვენებელმა 2,1% შეადგინა, ხოლო 1998 წელს გაიზარდა 23 მლნ. ლარით და 1 ინვერისათვის შეადგინა 156 მლნ. ლარი. უნდა აღინიშნოს, რომ ფინანსური წლის განმავლობაში ლარზე მოთხოვნის დაცვამ და წლის ბოლოს მისმა დევალვაციამ კომერციულ ბანკებში დეპოზიტები (ეროვნულ ვალუტაში) 1998 წელს შეამცირა 6 მლნ. ლარით (იხ. ცხრილი №1).

1998 წლის დასაწყისიდან აგვისტომდე წლიური ინფლაციის დაბალმა მაჩვენებელმა, ასევე საბანკო სისტემისადმი მოსახლეობის

ბანკთაშორის საკრედიტო აუქციონის შედეგები (ათას ლარებში)
(ცხრილი №5)

წლები	7-დეკანო	30-დეკანო	60-დეკანო	90-დეკანო	ჯამურა
1995	2441				2441
1996	21707	10907	187	6304	39105
1997	24654	23797	11218	700	60369
1998	13457	28372	4450	2505	48784
მათ შორის:					
1995	ეროვნული ბანკის მიერ	543			543
	კომერციული ბანკების მიერ	1898			1898
1996	ეროვნული ბანკის მიერ	9277	6011	34	6
	კომერციული ბანკების მიერ	12480	4896	153	256
1997	ეროვნული ბანკის მიერ	13163	9751	10973	33887
	კომერციული ბანკების მიერ	11491	14047	246	700
1998	ეროვნული ბანკის მიერ	13457	28372	4450	2505
	კომერციული ბანკების მიერ	2441			2441
1996	ნაციონალური საკრედიტო	21707	10907	187	6304
1997	რესურსები	24654	23797	11218	700
1998		13457	28372	4450	2505
მათ შორის:					
1995	ეროვნული ბანკის მიერ	271			271
	კომერციული ბანკების მიერ	2170			2170
1996	ეროვნული ბანკის მიერ	2813	1297		4110
	კომერციული ბანკების მიერ	18894	9610	187	6304
1997	ეროვნული ბანკის მიერ	4484	3930		8414
	კომერციული ბანკების მიერ	20170	19867	11218	700
1998	ეროვნული ბანკის მიერ	4453	7611	898	12962
	კომერციული ბანკების მიერ	9004	20760	3552	2505

ნდობამ, საფუძველი შეუქმნა დეპოზიტების როგორც ეროვნულ, ისე უცხოურ ვალუტაში ზრდას. მისმა ზრდის ტემპმა 1998 წლის 1 სექტემბერს, წლის დასაწყისთან შედარებით, 27,5 პროცენტი შეადგინა. შემდგომ პერიოდში ლარის დევალვაციამ, რუსეთში დასაქმებული საქართველოს მოქალაქეების სავალუტო გზავნილებების შეფერხებამ, რუსეთში კრიზისის გავლენით იაფი რუსეთის საქონლის იმპორტის დასაფინანსებლად სახსრების აქტიური გამოყენებამ და სხვამ, გამოიწვია დეპოზიტების მნიშვნელოვანი შემცირება, როგორც ეროვნულ ისე უცხოურ ვალუტაში და მისმა ოდენობამ 1999 წლის 1 იანვრის მდგომარეობით 156 მლნ. ლარი შეადგინა (მათ შორის ეროვნულ ვალუტაში 48,9 მლნ. ლარი).

ეს ცუდი მაჩვენებელი გამოხატავს მოსახლეობის უნდობლობას ფულად-საკრედიტო სისტემის მიმართ. უნდობლობა გამოწვეულია ეროვნული ვალუტის გაცვლითი კურსის დაცემით

და მოსახლეობის ანაბრების გაუფასურებით. ასევე, თუ დავუმატებთ მოსახლეობის უდიდესი ნაწილის დაბალი შემოსავლების დონესა და დაგროვების უმცირეს ნაწილს, მაშინ ნათლად დავინახავთ მთელ სურათს. შეუძლებელია ბანკების მიმართ მოსახლეობის უარყოფითი შეხედულების სწრაფი შეცვლა. ნდობა შეიძლება მხოლოდ თანდათანობით სტაბილური ფულადი პოლიტიკის გატარებითა და საბანკო სისტემის გამყარებით მოვიპოვოთ. ეს პროცესი ბოლო წლებში დაბალი ტემპებით, მაგრამ მაინც მიმდინარეობს.

დაბალ საშემსახველო დონესთან ერთად, პრობლემას წარმოადგენს დეპოზიტებში დოლარების დიდი წილი. მაღალი ინფლიაციის პირობებში ეს მოვლენა ადვილად ასახსნელი იყო. 1994 წლის ბოლოს კერძო სექტორის უცხოურ ვალუტაში დეპოზიტები ბანკებში განთავსებული ყველა სახსრების 60 პროცენტს შეადგენდა. ლარის შემოღების შემდეგ სიტუაცია შეიცვალა—1995 წლის ბოლოს უცხოურ ვალუტაში მყოფი დეპოზიტების წილი 40%-მდე დაეცა, ხოლო შემდეგ კვლავ განიცადა ზრდა და 1997 წლის დასაწყისში 50%-ს მიაღწია. იმავდროულად ეროვნული ბანკი ხელს უწყობდა დეპოზიტებში „დოლარიზაციის“ ხარისხის შემცირებას. 1996 წელს მიღებული იქნა გადაწყვეტილება, რომ აუცილებელი რეზერვები ეროვნულ ბანკში უნდა შევიდეს მხოლოდ ეროვნულ ვალუტის სახით. ამან გამოიწვია ბანკებში უცხოური ვალუტის დეპოზიტებზე მომსახურების ხარჯების გაზრდა. ხოლო 1998 წელს, ქვეყანაში არსებული ფინანსური კრიზისის მიუხედავად, დეპოზიტების საერთო თანხა, წინა წელთან შედარებით, 23 მლნ. ლარით გაიზარდა და 156,4 მლნ. ლარი შეადგინა. ამასთან უცხოურ ვალუტაში მყოფი დეპოზიტების წილი 68,7 პროცენტამდე გაიზარდა.

საქართველოს პარლამენტმა 1999 წლის 19 მარტს მიიღო დადგენილება „საქართველოს 1999 წლის ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების შესახებ“, სადაც ჩამოყალიბებულია საქართველოს ეროვნული ბანკის მიმდინარე წლის ზოგადი მიმართულებები:

1999 წლის ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკას საფუძვლად დაედოს მაკროეკონომიკური წონასწორობის აღდგენის სტრატეგია, რომლის შესაბამისადაც მთლიანი შიდაპროდუქტის ზრდა 1999 წელს განისაზღვროს 2 პროცენტით, ხოლო წლიური ინფლაცია - 10 პროცენტით.

1999 წელს ფულის მულტიპლიკატორი გაიზარდოს 0,03 პროცენტით, წლის მეორე ნახევარში ფინანსური შუამავლობის გააქტიურების ხარჯზე, რაც უზრუნველყოფს ეროვნული ვალუტის მსყიდველობითი უნარის

მკვეთრად დაცემის თავიდან აცილებას, ლარის გაცვლის კურსის სტაბილურობასა და საპროცენტო განაკვეთების შემცირების პირობების შექმნას.

1999 წელს უნდა გამოიყენონ ეროვნული ვალუტის თავისუფალი მცურავი კურსის რეჟიმი; ვალუტის კურსი ჩამოყალიბდეს ბაზარზე აღნიშნულზე მოთხოვნისა და მიწოდების თანაფარდობის საფუძველზე; ლარის კურსის საშუალო წონასწორული მაჩვენებელი განისაზღვროს 1 აშშ დოლარის მიმართ 2,1-2,3 ლარის ფარგლებში.

გაცვლითი კურსის წონასწორულმა მნიშვნელობამ, რომელიც 1999 წლისათვის ნავარაუდევია საშუალოდ 1 აშშ დოლარის მიმართ 2-2,3 ლარის დონეზე, უნდა უზრუნველყოს ერთის მხრივ, საექსპორტო ოპერაციების რენტაბელობა, ხოლო მეორეს მხრივ, დაიცავს ადგილობრივი მწარმოებლებისა და მომხმარებლის ინტერესები.

1999 წლის განმავლობაში საქართველოს ეროვნულმა ბანკმა:

- განახორციელოს ფულადი მასის ზრდა ეკონომიკური ზრდის ადეკვატურად; უზრუნველყოს მიმოქცევაში არსებული ფულის (M2 აგრეგატი), ეროვნულ ვალუტაში დეპოზიტების ჩათვლით, ცვლილების მნიშვნელოვანი გავლენა ნომინალური მთლიანი შიდა პროდუქტის დინამიკაზე; 1999 წელს M2 აგრეგატი 1998 წელთან შედარებით გაიზარდოს 12,8 პროცენტით, ხოლო M3 ფართო ფულის აგრეგატი, უცხოურ ვალუტაში დეპოზიტების ჩათვლით, - 11 პროცენტით. 1999 წელს უზრუნველყოფილ იქნეს, 1998 წლის ბოლოსთან შედარებით, ფულის მიმოქცევის სიჩქარის 5 პროცენტით ზრდა;

- ფულის მიწოდების რეგულირებითა და საბანკო სისტემის სრულყოფის ღონისძიებების განხორციელებით, შექმნას საპროცენტო განაკვეთების საერთო დონის თანდათანობით შემცირებისა და ოპტიმიზაციის პირობები, მდგრადი საბანკო სისტემის ჩამოყალიბებით ხელი შეუწყოს საერთაშორისო საფინანსო დანესებულებებიდან და დონორი ქვეყნების საკრედიტო ინსტიტუტებიდან შეღავათიანი კრედიტების მიღებას.

საბოლოოდ შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს ეროვნული ბანკის საქმიანობის უმთავრესი მიზანი იყო ეკონომიკური ზრდის, ინფლაციის ტემპის რეგულირებისა და ვალუტის კურსის სტაბილურობის უზრუნველსაყოფად პირობების შექმნა. დასახული მიზნის სრულად

მიღწევა ვერ მოხერხდა, რაც განპირობებული იყო არა მარტო საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გატარებული ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკით, არამედ მისგან დამოუკიდებელი ისეთი მიზეზებით, როგორიცაა ქვეყანაში განვითარებული ფისკალური კრიზისი, რომელსაც წლის მეორე ნახევარში საგარეო ფაქტორი — მსოფლიოსა და რუსეთის გლობალური კრიზისის გავლენა დაემატა.

საქართველოს ეროვნული ბანკის ფულად-

1999 წლისათვის ეროვნული ბანკის მიზნები: ეროვნული ვალუტის კურსის შენარჩუნება 1 აშშ დოლარის მიმართ 2,1 — 2,3 ლარის ფარგლებში; განახორციელოს ფულადი მასის ზრდა ეკონომიკური ზრდის ადეკვატურად; შექმნას საპროცენტო განაკვეთების საერთო დონის თანდათანობით შემცირებისა და ოპტიმიზაციის პირობები.

საკრედიტო პოლიტიკის განხორციელებისას გამოყენებული უნდა იქნეს მოწინავე ქვეყნების პრაქტიკაში არსებული რეგულირების საერთო და სელექციური მეთოდები. საერთო მეთოდები, ფაქტობრივად მოიცავს რა არაპირდაპირ მეთოდებს, საკრედიტო ბაზარს მთლიანობაში ეხება. სელექციური მეთოდები მიმართულია კრედიტის კონკრეტულ სახეობაზე. ეს მეთოდი უპირატესად გამოიყენება კერძო ამოცანების გადასაწყვეტად. მაგალითად, სელექციურ მეთოდებს მიეკუთვნება საბანკო სესხების ლიმიტირება, ცალკეული სახეობის კრედიტის გამოყენების რეგლამენტაცია, დაბალ-რენტაბელური სანარმოების დაკრედიტებისას კომერციული ბანკების ოპერაციებისათვის სახსრების შეღავათიანი რეფინანსირება და ა.შ.

საქართველოს ეროვნული ბანკი პოლიტიკურ ზენოლას არ უნდა განიცდიდეს, მის წევრებს და მესვეურებს არ უნდა ჰქონდეთ თანამდებობის დაკარგვის საშიშროება. ამით საქართველოს ეროვნული ბანკისათვის უფრო ადვილი იქნება პარლამენტთან შედარებით პოლიტიკურად არაპოპულარული ღონისძიებების განხორციელება, რომლებიც ქვეყნის ეკონომიკის გაჯანსაღებისათვის აუცილებელია.

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა უნდა გააქტიუროს მუშაობა ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ირიბი ინსტრუმენტების ეფექტიანობის ასამაღლებლად და საბანკო სექტორის რეფორმების ტემპის დასაჩქარებლად.

საბოლოოდ შეიძლება ითქვას, რომ შეუძლებელია ფულად-საკრედიტო პოლიტიკის განხორციელება საბიუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკასთან შეთანხმების გარეშე. რამდენადაც ფისკალური კრიზისის დაძლევა

წარმოადგენს ანტიინფლაციური მაკრო-
ეკონომიკური პოლიტიკის კურსის გაგრძელების
ფუნდამენტურ პირობას და უზრუნველყოფს
ეკონომიკური ზრდის მაღალ სტაბილურ ტემპებს.
აუცილებელია ქვეყნის ფისკალური პოლიტიკის
ფულად — საკრედიტო პოლიტიკასთან
თანმიმდევრულად გატარება, კანონმდებლობის
შესაბამისად, საბაჟო და საგადასახადო

პოლიტიკის გარდაქმნით.

ამ მხრივ, მდგომარეობის გაუმჯობესების
უმთავრეს ამოცანას წარმოადგენს: გადასახადების
ამოღების მიზნით მუშაობის გააქტიურება,
საგადასახადო და საბაჟო სამსახურების
სრულყოფისათვის სტრუქტურული რეფორმების
გატარება და საგადასახადო შეღავათების
გაუქმება.

გამოყენებული ლიტერატურა:

ს. ეროვნული ბანკის 1996 წლის ანგარიში
ს. ეროვნული ბანკის 1997 წლის ანგარიში
ს. ეროვნული ბანკის 1998 წლის ანგარიში
ს. პარლამენტის დადგენილება „საქართველოს ეროვნული ბანკის 1996 და 1997
ს. ანგარიშის შესახებ“
ს. პარლამენტის დადგენილება „საქართველოს 1998 წლის ფულად-საკრედიტო და
ს. კის ძირითადი მიმართულებების შესახებ“
ს. პარლამენტის დადგენილება „საქართველოს 1999 წლის ფულად-საკრედიტო და
ს. კის ძირითადი მიმართულებების შესახებ“
ს. ეროვნული ბანკის ბრძანება „კომერციული ბანკების საერთო ღია სავალუტო
ს. (ორისკის) ლიმიტის დადგენის, გაანგარიშებისა და დაცვის“ დამტკიცების შესახებ
ს. ეროვნული ბანკის საბჭოს დადგენილება „კომერციული ბანკების მიერ ეროვნულ
ს. ღი მინიმალური სარეზერვო მოთხოვნების შესახებ“
ს. კრიზისი — ლარის დევალვაციის მიზეზები და მოსალოდნელი შედეგები“
ს. პარლამენტის საბიუჯეტო ოფისი
ს. ეროვნული ბანკის ინფორმაცია „მონეტარული მიმოხილვა და ეროვნული ბანკის
ს. ბი“, 1998 წ.

1. საქართველო
2. საქართველო
3. საქართველო
4. საქართველო
5. საქართველო
6. საქართველო
7. საქართველო
8. საქართველო
9. „სავალუტო
10. საქართველო
11. საქართველო

ს. ფინანსთა სამინისტროსა და საგადასახადო ინსპექციის ინფორმაციები „1998 წლის
ს. ტის საშემოსავლო ნაწილის გეგმის შესრულების შესახებ“